

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ევროპულისტიკის დეპარტამენტი

არმაზ მელაძე

ენის ლოგიკა და ენობრივი სტრუქტურა  
ლინგვისტურ-ფილოსოფიური თარგმნის თეორიასთან მიმართებით

ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად  
სპეციალობა - ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელძღვანელი: ნანა ბოლქვაძე  
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ბათუმი 2012

# *ს ა რ ჩ გ ვ ი*

## *შესავალი - გვ. 4*

### *თავი I - ენის ლოგიკა და ენობრივი სტრუქტურა ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში*

I. 1 ენა და აზროვნება .....	გვ. 16
I. 2 წინადადება - აზრის ლოგიკურ-სტრუქტურული ხატი.....	გვ. 32
I. 3. სამეტყველო აზროვნება თარგმნის პროცესში.....	გვ. 38

### *თავი II - თარგმნის ფენომენის ფილოსოფიურ განზომილებაში აღქმა*

II. 1 თარგმანისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება ლინგვისტურ-ფილოსოფიურ პრიზმაში .....	გვ. 42
II. 2 რა არის ლინგვისტურ - ფილოსოფიური თარგმანი?.....	გვ. 47
II. 3 თარგმანისა და მთარგმნელის პოზიცია გაგებისა და ახსნის კონცეპტებიდან გამომდინარე .....	გვ. 56

### *თავი III - თარგმნისა და უთარგმნელობის ფენომენი ეროვნულ - კულტურული სპეციფიკის ფონზე (იდიომა - მეტაფორულების მაგალითზე)*

III. 1 ინტერპერაციულტურული სპეციფიკა გერმანულ-ქართულ ფრაზეოლოგიზმებში .....	გვ. 63
III. 2 გაგებისა და ახსნის კლასიკური დიმენზია თარგმნისა და უთარგმნელობის სპექტრთან მიმართებაში .....	გვ. 70
III. 3 მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები და მთარგმნელობითი ეპიფალენტები ლინგვისტურ - ფილოსოფიურ სპექტრში .....	გვ. 83

### *თავი IV - ენის ლოგიკისა და ენობრივი სტრუქტურის როლი როგორც ინტრალინგვისტურ, ასევე ექსტრა - და ინტერლინგვისტურ პარამეტრებში*

IV. 1. ენის პრაგმატიკული ასპექტები ინტერალინგვისტურ და ინტერლინგვისტურ პარამეტრებში თარგმნის დროს .....	გვ. 90
IV. 2. ენის ლოგიკურ-სტრუქტურული ფაქტორები როგორც ინტრალინგვის	

ტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში თარგმნის დროს ..... გვ. 96

IV. 3. რეციპროკული და ასიმეტრიული დამოკიდებულება ინტრა - და  
ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შორის თარგმნის დროს ..... გვ. 101

**დახმარებელი დოკუმენტები** ..... გვ. 105

**გამოყენებული ლიტერატურა** ..... გვ. 111

## შესავალი

### თემის აქტუალობა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განაპირობებს: უპირველეს ყოვლისა, ესაა დამოკიდებულება ენასა და აზროვნებას შორის, რის სიღრმეს და კომპლიკაციურ ხასიათს არაერთი ცნობილი მოაზროვნე იკვლევდა და იკვლევს.

აქტუალურია ასევე ენის სტრუქტურის ლინგვისტურ-ფილოსოფიურ ჭრილში განხილვაც.

ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების ფენომენის პრობლემა ყოველთვის იყო და დღეისათვისაც აქტუალურად რჩება, რასაც არაერთმა ცნობილმა ენათმეცნიერმა თუ ენის ფილოსოფოსმა მრავალი კვლევა მიუძღვნა.

ჰუმბოლდტის მიხედვით ენა აზროვნების წარმომქმნელი ორგანოა, ის დამოუკიდებელია—თავისუფალია.

ვიტგენშტაინის აზრითაც, „ენა დერმია აზროვნებისა“, „ენა სიტყვიერ სამოსელში ახვევს აზრებს“, მაგრამ გამოხატვა და ჩაღრმავება პრობლემაში ბევრად უფრო ფილოსოფიური ხასიათისაა და შესაბამისად, განსხვავებულ შტრიხებსაც იძენს.

ნიცშესთან სინამდვილეს არა აქვს ენასთან და აზროვნებასთან პირდაპირი დამოკიდებულება. მისთვის ენა და აზროვნება კონტრუქციებია სინამდვილესთან მიმართებაში, რასაც თავისთავად კიდევ სხვა ენობრივ პრობლემებთან მივყავართ.

დისერტაციის აქტუალურ მხარედ უნდა ჩაითვალოს ენის სტრუქტურის დაკავშირება ყველა იმ ენობრივი გამოხატვის საშუალებათა ერთიანობასთან, რაც ნებისმიერი და განსაკუთრებით ფილოსოფიური აზროვნების არაერთმნიშვნელოვან და კრეატიულ პრეზენტაციას ემსახურება.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას კიდევ ერთი საინტერესო საკითხი განაპირობებს: თარგმნის ფენომენის როგორც ლინგვისტურ, ასევე ფილოსოფიურ ჭრილში განხილვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღეისათვის თარგმნის თეორიის საკვანძო საკითხებს უამრავი კვლევა მიემდვნა და რა თქმა უნდა, ბევრი საპრობლემო საკითხი დღესაც სადაც და შეიძლება ითქვას, გადაუჭრელი რჩება,

თუმცა საზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ მეტწილად თარგმნის თეორეტიკოსთაგან ბევრი ამ მხრივ საინტერესო საკითხებს ლინგვისტურ ჭრილში იკვლევს, მაგრამ ისინი თითქმის არ მოიაზრებენ თარგმნის ფენომენს ფილოსოფიურ ჭრილში, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ საინტერესო, ამავდროულად ორიგინალური და შესაბამისად, ნაყოფიერიც იქნება თეორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ენის ფილოსოფიაში თარგმნის პრობლემა იმ მხრივაა საინტერესო, რომ სამი მნიშვნელოვანი ცნების: ენის, მნიშვნელობისა და აზრის არსი ზუსტად ერთი ენიდან მეორე ენაში გადასვლის დროს ყველაზე მეტად კონკრეტდება ან კიდევ თვალში საცემი და საინტერესო ხდება.

თუკი თარგმნის ფენომენს ლინგვისტური კუთხით მვუდგებით, მაშინ მისი ეწ. „კულტურული დიმენზია“ (აქ იგულისხმება ტექსტების კულტურულ-სპეციფიკური ნიშნები და ელემენტები) მთარგმნელისათვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს. აქ აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ შემდეგი საყოველთაოდ ცნობილი განმაზოგადებელი კონცეფცია ეპვიგალენტურობისა: ეს არის ერთი მხრივ თარგმანის მთარგმნელობით-სპეციფიკური დამოკიდებულება საწყის ტექსტსა და მეორე მხრივ იმავე მთარგმნელობით - სპეციფიკური დამოკიდებულება ადრესატის კომუნიკაციურ-კულტურულ მახასიათებლებსა თუ განპირობებულობებზე. სწორედ პრობლემის ამგვარი გაცნობიერება-გათავისებით წარმოჩნდება ენაში თარგმანის ანთროპოლოგიური კუთხე. ეს შეიძლება იყოს თარგმნის ჩაქსოვება დუმილში წმინდა ადამიანური აღქმის მახასიათებლებიდან გამომდინარე; ჯერ ართქმულის სწორი გაგება და აღქმა; ეს იქნება ასევე ვარაუდებისა და დანახვის სხვადასხვა სახე.

თარგმანში, როგორც ინტერკულტურული შეხვედრის, გაცნობისა და ზოგჯერ კი შეჯახების სარბიელში, შეიძლება „უფსკრულმა შთანთქოს“ გარე და შიდაენობრივი ფაქტორები, რაც ნაყოფია ეწ. „არ შემდგარი თარგმანისა“. ეს კიდევ თავის მხრივ ის ელემენტებია, რაზედაც აგებულია თარგმანის ანთროპოლოგია.

Diese Anthropologie der Übersetzung bezieht sich nicht zuletzt auf die Aufwertung von Missverständnissen, die „ja bekanntlich in jedem Gespräch sehr viel genauerem Aufschluss über das Besprochene geben, als Verständigung über angebliches „Verstehen.“ (Neumann 1995: 16).

საყოველთაოდ ცნობილი და მიღებულია თარგმანის პიბრიდთან გაიგივება. თარგმანი ერთ მთლიანობას კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის კონგლუმერანტი, დუღაბი ორი სტრუქტურა-კულტურისა.

მთავარი შტრიხები, რომელთა ექსტრაპოლირებასაც ჩვენ ფილოსოფიური თარგმანის მიმართ ვახდებო, შემდეგია: ორი განსხვავებული მიმართულება ფილოსოფიური თარგმანისა და მათი როლი ე.წ. დუეტში „თარგმანი თარგმნის პროცესში“. ამას გარდა, საუბარია იმაზე, რომ ფილოსოფიური თარგმანი არ ნიშნავს მხოლოდ ფილოსოფიური ტექსტის თარგმანს, არამედ ის შეიძლება ნებისმიერი ჟანრის ტექსტის თარგმანშიც მანიფესტირდებოდეს.

აქტუალურობის განზომილებაში შეიძლება შევიდეს ჩვენებული ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პერსპექტივის წინაპირობები. არსებობს შემთხვევები, როცა სემანტიკური ექსპლიკაციები ფრაზეოლოგიზმების არსის ასახესნელად არ კმარა. იდიომების გამოყენების ძირებითი თავისებურებანი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ-სპეციფიკური ფაქტორების დახმარებით განიმარტოს. ამის დამატებით მაგალითია ის, რომ შეუძლებელია რომელიმე იდიომის სამიზნე ენაში ზუსტად ისეთივე სიტყვიერ სამოსელში გამოხატვა, როგორც ეს ამოსავალ ტექსტშია.

კულტურულ-სპეციფიკური მახასიათებლები, ან კიდევ გამონათქვამის ცალკეული ელემენტები მთარგმნელისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ეს იმით აისხება, რომ ამ შემთხვევაში ყოველივე ეს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების თარგმანი და მათი სტილურად განპირობებული დალაგებაა, არამედ უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინტერკულტურულ-სემანტიკური ელემენტების მთელი „გროვა“; ხოლო მათი კატეგორიზაცია კი ენის სტრუქტურიდან გამომდინარე, კულტურული სპეციფიკის პარამეტრების ჭრილში ხდება. ამ დროს, მთარგმნელს ენის ლოგიკის არსში კარგი გარკვევა დაეხმარება გაიგოს ორი კულტურის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი რელევანტური თავისებურებები.

როგორ და შეიძლება ითქვას, შეუძლებელია ზუსტი შინაარსობრივი ეპვივალენტის არსებობა ორ ენას შორის, ეს გამომდინარეობს ცალკეული ერის მენტალიტეტისა და ენის სტრუქტურის ფუნდამენტური სხვაობიდან. ყურადღებას გამახვილებოთ ისეთ ტექსტებზე, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ დატვირთვას იძენს, ასევე იმ სიტყვებზე, რომლებიც უკვე მოძველებულია და აღარ აღნიშნავენ იმას, რასაც პირველად აღნიშნავდნენ. ეს კი

უშუალოდ დროის ფაქტორითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ადგილი აქვს კონფრონტაციას მთარგმნელსა და აზრის იმ გამოხატვის საშუალებებს შორის, რომლებიც ავტორს აქვს გამოყენებული.

დროთა განმავლობაში ეკვივალენტურობის ტიპებს შორის ცვლილებები ხდებოდა, მაგრამ პრინციპში ეს თარგმნის ზოგადთეორიული საფუძვლებიდან გამომდინარე, მისი ყველაზე აქტუალური პრობლემების მიხედვით ადიქმებოდა; ამდენად, ეკვივალენტურობის ცნება დროთა განმავლობაში დრმავდებოდა და კრეატიულ მრავალფეროვნებას იძენდა.

ამ მიმართებაში ყველაზე მეტად საინტერესოა ლინგვისტურ-ფილოსოფიური ნიუანსი.

მთარგმნელობითი პრობლემის ფილოსოფიურ ჭრილში გადაწყვეტისას, ჩვენი აზრით, მთარგმნელობით ეკვივალენტებზე მეტ როლს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები თამაშობს. ცნობილი მოსაზრების მიხედვით, არ არსებობს ერთ ენაში გამოყენებული სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი მეორეში. სწორედ ამიტომაა, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით მეტად გამართლებულია ტრანსფორმაციათა მეტი გამოყენება თარგმნის პროცესში, ვიდრე მთარგმნელობითი ეკვივალენტებისა. აქ კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვათ ჩვენებულ მოსაზრებას, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით ე.წ. „თავისთავადი თარგმანი“, როგორც შედეგი ცნებისა, ვერ ან ძალიან ძნელად შედგება.

რაც შექება ურთიერთდამოკიდებულებას მთარგმნელობით ეკვივალენტებსა და მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს შორის, აქ ხდება სწორედ ე.წ. „შეჯახება“ ამ სტერეოტიპებისა და ასევე მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რაც საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგან თარგმნის ენა ხშირად არ შეიცავს ისეთ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომ ზუსტად და უდანაკარგოდ გამოიხატოს თარგმანში საწყის ტექსტში გაინტენსიურებული არაერთი უნიკალიზმი, რომელიც დაკავშირებულია როგორც ამოსავალი ენის სპეციფიკასთან, ასევე მის ეთნოკულტურულ რეალობასთან.

თარგმნის თეორიაში აქტუალურია და ასევე ჩემს სადისერტაციო ნაშრომშიც ანალოგიურად წინ წამოიწევა ისეთი საკითხები, როგორიცაა მთარგმნელობითი მოდელები და მათი განხილვა. მთარგმნელობით მოდელებს თუ ჩვენს საკუთარ ლინგვისტურ - ფილოსოფიურ სქემას შევადარებთ, რის შედეგადაც მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში არა გარეენობრივ მთარგმნელობითი

კომუნიკაციის პარამეტრებსა და მის მახასიათებლებს უკეთდება აქცენტი, არამედ ხაზი ესმება თარგმნის პროცესის ფილოსოფიურ ხასიათსაც.

დისერტაციის აქტუალურ მხარეს წარმოადგენს ასევე კულტურების ასიმეტრიული და რეციპროკული გაგება თარგმნის დროს, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ის, რომ როგორც გარეუნობრივ, ასევე შიდაენობრივ ჭრილში მოხდება მრავალი აგრეთვე მნიშვნელოვანი კულტურულ - სპეციფიკური საკითხის ურთიერთგადაკვეთა. ამის უზრუნველყოფა შეიძლება ორივე ფენომენის: ასიმეტრიულისა და რეციპროკულის მახასიათებლების არა ურთიერთდაპირისპირებით, არამედ მათი თანამოქმედებით. ამ ე.წ. „კოპერაციის“ განხორციელება შესაძლებელია ასევე ინტრა- და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ურთიერთგადაკვეთით, დამთხვევით და არა გამორიცხვით.

## თემის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს თარგმნის თეორიის რამდენიმე საკვანძო საკითხის ლინგვისტურ-ფილოსოფიურ ჭრილში განხილვა და ასევე ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების ფენომენიდან გამომდინარე, თარგმანისა და თარგმნის პროცესის ლინგვისტურ-ფილოსოფიურ სპექტრში წარმოდგენა. შეიძლება ითქვას, ნაშრომის განსაკუთრებულ მიზანს წარმოადგენს მცდელობა ფილოსოფიური თარგმანი განხილულ იქნეს არა მხოლოდ როგორც ფილოსოფიური ტექსტების თარგმანი, არამედ დადგინდეს მისი ფენომენი სხვა ჟანრის ნაწარმოებების თარგმანშიც. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ძალიან ცოტა კვლევაა მიძღვნილი ფილოსოფიური თარგმნისადმი და სწორედ, ჩვენს მიზანსაც თარგმანისა და თარგმნის პროცესის ფილოსოფიურ ჭრილში ფოკუსირება წარმოადგენს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ასევე იდიომა-მეტაფორებისა და Kurzgeschichte - ების თარგმანის სპეციფიკის ანალიზი, რაც ძალიან საინტერესო და კომპლექსურია პრობლემური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე როგორც ლინგვისტურ-მთარგმნელობით, ასევე ფილოსოფიურ-მთარგმნელობით ასპექტებში. ამ მიზნის განსახორციელებლად ვახდენთ სხვადასხვა ფრაზეოლოგიურ ლექსიკონზე დაყრდნობით ორ კულტურასა და მენტალიტეტში არსებული ასეთი

გამონათქვამების შედარება-შეპირისპირებას ეკვივალენტურობის სხვადასხვა ფონზე. Kurzgeschichte -ს ფენომენთან დაკავშირებით განსაკუთრებით რელევანტურია ნაცვალსახელების ფენომენის თარგმანის თავისებურებასა და სხვა ისევ განსაკუთრებულ სპეციფიკაზე ყურადღების გამახვილება, რომლებთანაც კონფრონტაცია მთარგმნელს ამ სიუჟეტის მოთხოვნების თარგმნის დროს უხდება.

### პლევის მეთოდოლოგიური ასპექტები

ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია შეპირისპირებითი და ინტერპრეტაციული მეთოდები.

მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს შეხვედრა და საუბარი ცნობილ გერმანელ მთარგმნელთან პროფესორ იურგენ ბრანკელთან, რომელიც თარგმნის უმეტესწილად ფილოსოფიურ ტექსტებს ფრანგული და ესპანური ენიდან გერმანულ ენაზე და პირიქით, გერმანული ენიდან ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ის არის მთარგმნელი შემდეგი ფრანგი ფილოსოფოსების - ფერდინანდ ალქუუს, ვლადიმერ იანკელევიჩის, ავგუსტ ქომტესი და ვაკლის (ამ უგანასკნელის თარგმანი ჯერ არ გამოქვეყნებულა) ფილოსოფიური ნაწარმოებებისა. ამ შეხვედრა-საუბრებში კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში ისეთი მეთოდოლოგიური ასპექტები, როგორიცაა შედარება-შეპირისპირებისა და ინტერპრეტაციული მეთოდების აქტუალურობა და რელევანტურობა. აქვე მოგვყავს მისი კონცეფცია თარგმანის ფენომენსა და თარგმანთან დაკავშირებულ სიძნელეებთან დაკავშირებით, რაც როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გამოძახილია ნაშრომში გამოყენებული შეპირისპირებითი და ინტერპრეტაციული მეთოდებისა.

Jürgen Brankel: ``Ich nehme den Ausgangstext als gegeben an und hinterfrage ihn nicht hinsichtlich der Enkodierung des ausgangssprachlichen Autors. Ich versuche dann den gegebenen Ausgangstext in die Zielsprache zu übersetzen, wobei sich eine beinahe sklavische Abhängigkeit von zweisprachigen Wörterbüchern ergibt. Da ich annahme, dass ich die Ausgangssprache, Französisch, recht gut beherrsche, als bilingual bin, missfällt mir oft die Übersetzung ins Deutsche, da diese nicht die Konnotationen der Ausgangssprache hat. Erst dritte deutsche Leser vermittelt mir dann, ob die Übersetzung gelungen ist``.

„სამიზნე ტექსტს, როგორც ასეთი, მე აღვიქვამ მის მთლიანობაში მოცემულს და არ ვცდილობ მასში ავტორის ჩანაფიქრის ენკოდირების მოძიებას. ამის შემდეგ ვცდილობთ მოცემული ამოსავალი ტექსტის სამიზნე ენაში თარგმნას, რომლის დროსაც თავს იჩენს თითქმის მონური დამოკიდებულება ორენოვანი ლექსიკონებისადმი. და რადგანაც ვფიქრობ, რომ ამოსავალ ენას, და ამ შემთხვევაში ფრანგულს, როგორც ბილინგუალი, საკმაოდ კარგად ვფლობ, ხშირად არ მომწონს ჩემეული გერმანული თარგმანი, რადგან ამ უგანასკნელს ორიგინალისათვის დამახასიათებელი კონტაციები არ გააჩნია. მხოლოდ მესამე პიროვნების - გერმანელი მკითხველის რეაქცია გაგვცემს პასუხს კითხვაზე, შედგა თუ არა თარგმანი“.

### **გეცნიერული სიახლე**

სადისერტაციო ნაშრომის სიახლეა წამოყენება და ჩვენი აზრით, სრულიად ახლებური მიდგომა პრობლემისადმი - ფილოსოფიური თარგმანი და მისი პარამეტრები; ამით იგულისხმება, რომ ფილოსოფიური თარგმანი შეიძლება გავრცელდეს როგორც ფილოსოფიურ, ასევე სხვა ჟანრის ნაწარმოებების თარგმნაზეც. ეს იმიტომ, რომ აქ ყველაფერი მენტალური და მირითადაზრობრივი თარგმანის ირგვლივ ტრიალებს. ამით იგულისხმება ისიც, რაც სტრიქონებს შორის იმაღლება და რაც იმპლიკიტურადაა გამოხატვული ორიგინალში.

სიახლეა თარგმნისა და უთარგმნელობის ფენომენის ლინგვისტურ-ფილოსოფიურ სპექტრში წარმოდგენა.

სიახლეა ასევე რეციპროკული და ასიმეტრული დამოკიდებულების ჩვენეული განხილვა - დანახვა ინტრა - და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შორის თარგმნის დროს. აქ რელევანტურია ასიმეტრიული და რეციპროკული მახასიათებლების არა ურთიერთდაპირისპირება, არამედ მათი თანამოქმედება-კოოპერაცია. ასევე გასათვალისწინებელია ინტრა- და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ურთიერთგადაკვეთა და არა ურთერთგამორიცხვა პარალელურად ასიმეტრიული და რეციპროკული მახასიათებლების ფონზე.

### **თეორიული მნიშვნელობა**

ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას შეიძლება სამ მთავარ დიმენზიაში გაესვას ხაზი. პირველი ლინგვისტურში, მეორე ლინგვისტურ-ფილოსოფიურსა და მესამე თარგმნითში. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს მისი ინტერდისციალინური ხასიათი, სწორედ ამ სამი პარამეტრის ერთ ფოკუსში მოქცევა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ერთი ხაზით მიზანმიმართული პლევა თავისებური მანიფესტაციაა წინამდებარე დისერტაციის თეორიული დირებულებისა.

ლინგვისტურსა და თარგმნით განზომილებებს განეკუთვნება აგრეთვე ის თეორიული არგუმენტები, რაც „სამეტყველო აზროვნება თარგმნის პროცესში“ დაკავშირებით ჩამოვაყალიბეთ. მთარგმნელობით მოდელთან დაკავშირებით შემუშავებული ჩვენეული ლინგვისტურ-ფილოსფიური სქემა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თარგმნის პროცესის ფილოსოფიურ ხასიათს და თეორიულად ასაბუთებს ამ სქემის ლინგვისტურ მახასიათებლებს. ლინგვისტურ განზომილებაში ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას განეკუთვნება ვიტგენშტაინის, პუმბოლდტისა და ნიცშეს მოსაზრებების შედარება-შეპირისპირება. ამავე ლინგვისტურ-თეორიულ დირებულებაში შედის წინადადების, როგორც აზრების ლოგიკურ-სტრუქტურული ხატის ინტერპრეტირება.

### პრაქტიკული მნიშვნელობა

თემის პრაქტიკული მნიშვნელობა ჩანს უპირველეს ყოვლისა, თარგმნის პროცესში, როცა ხდება ამ თეორიული დებულებებისა და მოსაზრებების გადატანა-განხორციელება; მეორე, როგორ აღიქვამს მთარგმნელი კომუნიკაციურ-ფსიქოლოგიურ მოდელს და როგორ მოარგებს მას თარგმნის პროცესს. აქ შედის ეკვივალენტებისა და პრაგმატული ეკვივალენტების შესაბამისად, აზრობრივად გამართული გააზრება და გათვალისწინება თარგმნის პროცესში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი მოიცავს 115 გვერდს და შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტარატურის ჩამონათვალი.

**შესავალში** დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა; განსაზღვრულია ნაშრომის მიზნები და ამოცანები, გათი გადაჭრის მეთოდოლოგიური საფუძვლები. აქვე, შესავალში ხაზგასმულია ასევე სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველი თავი - „**ენის ლოგიკა და ენობრივი სტრუქტურა ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში**“ - შედგება სამი პარაგრაფისგან და ეხება ფილოსოფიური აზროვნების როლს ენის ლოგიკასა და ენობრივ სტრუქტურაში. აქედან გამომდინარე, ამ თავში ენის სტრუქტურას ვუკავშირებთ ყველა იმ ენობრივი გამოხატვის საშუალებათა ერთიანობას, რაც ნებისმიერი და განსაკუთრებით ფილოსოფიური აზროვნების არაერთმნიშვნელოვან და კრეატიულ პრეზენტაციას ემსახურება, ანუ ვტოვებთ ვარაუდების, წარმოდგენების დაშვება - განხილვის შესაძლებლობას ენის ლოგიკის სპეციფიკიდან გამომდინარე.

პირველ პარაგრაფში - „**ენა და აზროვნება**“ - საუბარია ორი უმნიშვნელოვანები ფენომენის „ენისა“ და „აზროვნების“ ურთიერთმიმართების პროცესში და დამოკიდებულებაზე, რომელთა უფრო თვალსაჩინოდ გამოსახატავად, მოცემულ პარაგრაფში პუმბოლდტის, ვიტგენშტაინისა და ნიცშეს ცნობილ მოსაზრებებს ვეყრდნობით.

მეორე პარაგრაფში - „**წინადადება - აზრის ლოგიკური სტრუქტურული ხატი**“ - ვახდენთ წინადადების ფენომენის, როგორც აზრის ლოგიკურ-სტრუქტურული ხატის სემანტიკურ - სტრუქტურულ ანალიზს პეტერ ერნსტისა და ვიტგენშტაინის ნააზრევზე დაყრდნობით; ასევე შეძლებისდაგვარად ვეხებით ცნებებს: კონიუნქციას, დისიუნქციას, კონტრავალენტურობას, იმპლიკაციას, ტავტოლოგიასა და კონტრადიქციას და მოგვყავს შესაბამისი მაგალითები.

მესამე პარაგრაფი - „**სამეტყველო აზროვნება თარგმნის პროცესში**“ - ეხება თარგმნის დროს იმ ლინგვისტური საშუალებების მიზნობრივ გამოყენებას, რაც ერთი და იმავე აზრის ორ ენაში სწორი გადმოცემის აუცილებელი წინაპირობაა.

ნაშრომის მეორე თავი - „თარგმნის ფენომენის ფილოსოფიურ განზომილებაში აღქვა“ - შედგება სამი პარაგრაფისაგან.

პირველი პარაგრაფი - „თარგმანისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება ლინგვისტურ - ფილოსოფიურ პრიზმაში“ - ეხება იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც განაპირობებენ ენას, როგორც დიმენზიონალურ თარგმნით მოვლენას და მის არა მხოლოდ მჭიდრო კავშირს სიტუაციასა (კონტექსტსა) და სამყაროსთან, არამედ ახდენს მისი, როგორც ენის შუამავლის პრეზენტირებას ორივე ინსტანციას შორის.

მეორე პარაგრაფი - „რა არის ლინგვისტურ - ფილოსოფიური თარგმანი?“ - ეთმობა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, როგორიცაა: თარგმანისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება ლინგვისტურ-ფილოსოფიურ პრიზმაში, ფილოსოფიური თარგმანის არსი და თარგმანისა და მთარგმნელის პოზიცია გაგებისა და ახსნის სტერეოტიპებიდან გამომდინარე.

მესამე პარაგრაფში - „თარგმანისა და მთარგმნელის პოზიცია გაგებისა და ახსნის კონცეპტებიდან გამომდინარე“ ვეხებით ზოგადად თარგმანის არსებობის წინაპირობებს და მის როლს გაგებინების შესაძლებლობის სპექტრში სხვადასხვა მენტალიტებისა და სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანთა შორის. აღნიშნულ პარაგრაფში მოცემულია კიდევ ერთი ცდა იმის გადამოწმებისა, გადალახავს თუ არა თარგმანის ცნება პარადიგმის კლასიკური ალტერნატივის ბარიერს ახსნასა და გაგებას შორის.

ნაშრომის მესამე თავი - „თარგმნისა და უთარგმნელობის ფენომენი ეროვნულ - კულტურული სპეციფიკის ფონზე (იდიომა - მეტაფორების მაგალითზე)“ - შედგება სამი პარაგრაფისაგან. ამ თავის მიზანია ენის, როგორც სტრუქტურული ასპექტის დიმენზიონიდან გამომდინარე თარგმნისა და უთარგმნელობის სტერეოტიპის განხილვა, შედარება ეროვნულ - კულტურულ საფუძველზე, რაც როგორც ექსპლიციტურად, ასევე იმპლიციტურად ჩაქსოვილია მის სპეციფიკაში.

პირველ პარაგრაფში - „ინტერკულტურული სპეციფიკა გერმანულ - ქართულ ფრაზეოლოგიზმებში“ - საუბარია იმ ასპექტებზე, რომელთა საშუალებითაც ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის ფონზე ინტერკულტურული დიმენზია გაიგება, როგორც უცხოურის „მოშინაურების“ ან კიდევ ნაცნობის „გაუცხოების“ მომენტი.

მეორე პარაგრაფი - „გაგებისა და ახსნის კლასიკური დიმენზია თარგმნისა და უთარგმნელობის სპეცირთან მიმართებით“ - ეთმობა იმ მნიშვნელოვან პუნქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება თარგმნის შესაძლებლობას. ეს არის მცდელობა იმის დასაბუთებისა, რომ შეუძლებელია მნიშვნელობის პირდაპირი გათავისება-აღქმა.

აქვე განხილულია კულტურის სპეციფიკის პრობლემაც, რომელიც ყოველთვის საკმაოდ პრობლემური და ამავდროულად საინტერესო იყო და არის, და რომელიც ასხვავებს რეალიების, ობიექტებისა და ფაქტების სხვადასხვა ტიპს გარეუნიბრივ სინამდვილეში, რაც თარგმნის დროს საკმაო სირთულეებს ქმნის და რის ალტერნატიული გადაწყვეტა შესაძლებელია გარე და შიდაენობრივი ფაქტორების ურთიერთგადაკვეთის გათვალისწინებით.

მესამე პარაგრაფში - „მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები და მთარგმნელობითი ეკვივალენტები ლინგვისტურ - ფილოსოფიურ სპეცირში“ მთარგმნელობით ეკვივალენტებთან დაკავშირებით განხილულია პელიდებისა და ნაიდას მოსაზრებები, ხოლო მთარგმნელობით ტრანსფორმაციებთან დაკავშირებით ვეხებით რიცკერისა და ბარხუდაროვის ცნობილ კონცეფციებს და ვასაბუთებო წვენეულ შეხედულებებს. ეკვივალენტურობის პრობლემას წინა თავშიც ვეხებით, როცა საუბარია ფრაზეოლოგიზმების სპეციფიკაზე, მაგრამ ამ პარაგრაფში კცდილობთ ეს პრობლემა სხვა თეორიულ განზომილებაში გავიაზროთ და შეძლებისდაგვარად ღრმა განხილვის საგნად ვაქციოთ.

ნაშრომის მეოთხე თავი- „ენის ლოგიკისა და ენობრივი სტრუქტურის როლი როგორც ინტრალინგვისტურ, ასევე ექსტრა - და ინტერლინგვისტურ პარამეტრებში“ - შედგება სამი პარაგრაფისაგან.

პირველი პარაგრაფი - „ენის პრაგმატიული ასპექტები ინტრალინგვისტურ და ინტერლინგვისტურ პარამეტრებში თარგმნის დროს“ - ეხება იმ მნიშვნელოვან

საკითხებს, რომელთა განხილვა და ჩართვა თარგმანის ფენომენის არსიდან გამომდინარე რელევანტურია პრაგმატული ასპექტების შიდაენობრივ და ენათშორის კომუნიკაციაში ანუ საუბარი ეხება „თარგმანის პრაგმატიკას“ და მის როლს თარგმნის პროცესში, სადაც თავს იყრის როგორც ინტრა-, ასევე ექსტრალინგვისტური ასპექტები.

მეორე პარაგრაფი - „ენის ლოგიკურ-სტრუქტურული ფაქტორები, როგორც ინტრალინგვისტურ ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში თარგმნის დროს“ - ეხება კადეს, პოლისა და ბარხუდაროვის მთარგმნელობითი მოდელებისა და შულც ფონ თუნის ფსიქოლოგიურ - კომუნიკაციური სქემის განხილვას და ამ მოდელებსა და სქემასთან დაკავშირებით ჩვენეული მოსაზრებების წარმოდგენას. აქვე წარმოდგენილია ფილოსოფიური თარგმანის ჩვენეული სქემა და მისი შედარება ზემოაღნიშნული მეცნიერების მთარგმნელობითს მოდელებთან.

მესამე პარაგრაფში - „რეციპროკული და ასიმეტრიული დამოკიდებულება ინტრა - და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შორის თარგმნის დროს“ ასიმეტრიული და რეციპროკული დამოკიდებულებები კულტურასთან მიმართებებში განხილულია როგორც ინტრა, – ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში, მსჯელობა ეხება ნოსტრიფიცირებისა და გაუცხოების პრობლემებსაც. ასიმეტრიული და რეციპროკული დამოკიდებულებების გარკვევის დროს ჩვენ არ შემოვიფარგლებით ერთი კულტურით, არამედ ვარკვევთ დამოკიდებულების რომელი სახეა ორივე შესაძარებელი კულტურის სპექტრში. ყოველივე ამას განვიხილავთ თარგმანის ბაზისზე, სადაც რომელიმე ცნების თარგმნის კულტურულ-სპეციფიკური განპირობებულობა როგორც ასიმეტრიული, ასევე სიმეტრიული ურთიერთობის საკითხს კიდევ ერთხელ აყენებს დღის წესრიგში, სხვადასხვა კულტურის სტერეოტიპების სასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე.

# **თავი I - ენის ლოგიკა და ენობრივი სტრუქტურა ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში**

## **§ 1 ენა და აზროვნება**

დამოკიდებულება ენასა და აზროვნებას შორის ოდითგანვე იყო და არის ცენტრალური თემა ურიცხვი სამეცნიერო დისკუსიისა და ნაშრომისა.

ეს დამოკიდებულება შეიძლება ორნაირად მოვიაზროთ: 1) როგორც პრიორიტეტი აზროვნებისა, რაც აღიქმება ენის საწინააღმდეგოდ და აზროვნების სასარგებლოდ: ეს არის ენის აზროვნებისგან დამოუკიდებლობა. სიტყვები და წინადადებები ჩვეულებრივ ემსახურება აზრების გამოხატვას; 2) აპრიორულად ენა ისე მოიცავს და ერწყმის აზროვნებას, რომ ამ უკანასკნელიდან გამომდინარე მენტალური პროცესი ე.წ „გონის ენის“ საშუალებით ხორციელდება.

ამ თავში ენის სტრუქტურას ჩვენ ვუკავშირებთ ყველა იმ ენობრივი გამოხატვის საშუალებათა ერთიანობას, რაც ნებისმიერი და განსაკუთრებით ფილოსოფიური აზროვნების არაერთმნიშვნელოვან და კრეატიულ პრეზენტაციას ემსახურება, ანუ ვტოვებთ ვარაუდების, წარმოდგენების დაშვება-განხილვის შესაძლებლობას ენის ლოგიკის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ენისა და აზროვნების დამოკიდებულების უფრო თვალსაჩინოდ გამოსახატავად ძირითადად ვეურდნობით ჰუმბოლდტის, ვიტგენშტაინის და ნიცშეს ცნობილ მოსაზრებებს. საგნები სინამდვილისა არიან ობიექტურად მოცემული და ამ ობიექტურ ფორმაში ინდივიდუალურად ან კიდევ სუბიექტურად აღიქმებიან. ცნობიერებაში არსებობენ წარმოდგენები (გამოსახულებანი) საგნებისა. ეს მენტალური გამოხატულებები ენის სტრუქტურიდან გამომდინარე ყველა ინდივიდთან იდენტურია, მაგრამ თითოეულ ენაში განსხვავებულად გამოიხატებიან, რადგანაც დამოკიდებულება აღსანიშნესა და აღმნიშვნელს შორის, როგორც ვიცით, ჩვეულებრივ კონვენციის საშუალებითაა სისტემაში მოყვანილი. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ასახავენ თავიანთ დამოკიდებულებაში ენობრივი მთლიანობის სინამდვილეს. რეალობა უფრო მეტად ენისგან დამოუკიდებელია. ამრიგად, ჰუმბოლდტის აზრით, ენა ჩვეულებრივ ემსახურება მენტალური წარმოდგენების,

სახელდების რეპრეზენტაციის კომუნიკაციურ მიზნებს. აზროვნება ყველა თვალსაზრისით ენობრივად თავისუფალია.

აიერის მიხედვით კი ანალიტიკური პროპოზიციები მიმართულნი არიან ენის სტრუქტურისაკენ, რაც ექვემდებარება კონვენციის შედეგად მიღებულ წესებს. მხოლოდ ასეთ ემპირიულ პროპოზიციებს შეუძლიათ მისი აზრით შესაძლებელი აღქმის სემანტიკიდან გამომდინარე იქონიონ გავლენა ენის სტრუქტურაზე. ემპირიული პროპოზიციები აიერის მიხედვით ჰიპოტეთურია და მათი განზოგადება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში გამონაკლისს მხოლოდ ე.წ. ბაზისური პროპოზიციები წარმოადგენს, რომელთა შინაარსიც ერთი გარკვეული გამოცდილებიდან გამომდინარეობს, მაგრამ აიერი სტრუქტურასთან დაკავშირებით პრიორიტეტს ანალიტიკურ პროპოზიციებს ანიჭებს.

ვიტგენშტაინიც იმავე აზრისაა, მაგრამ გამოხატვა და ჩაღრმავება პრობლემაში, მასთან უფრო ბევრად ფილოსოფიური ხასიათისაა და შესაბამისად, განსხვავებულ შტრიხებსაც იძენს. მისი აზრით: „აზროვნება, ეს განსაკუთრებული ფენომენი, არ გვეჩვენება ასე განსაკუთრებულად და თავისებურად ფიქრის დროს. აზრს ვერ აღვიქვამო როგორც საიდუმლოებით სავსეს ან კიდევ მიუწვდომელს, როცა ის ჩვენ თავში მოგვდის, არამედ უბრალოდ, რეტროსპექტული ხასიათისაა”. (Wittgenstein, Ludwig 2003: § 428- 429).

რაც შეეხება სიტყვებს, როგორც საგნებზე წარმოდგენის გამოხატველს, ისინი ძალაში შედიან შესაბამისად წინადადებაში და ენის სტრუქტურიდან გამომდინარე სინტაქსური წესრიგი თითოეულ ენაში თავისას ითხოვს. ბევრ ენაში დიდი ყურადღება ექცევა (აუცილებელიც კია) წინადადებებში სიტყვათა განლაგებას. თუ სიტყვათა რიგი წინადადებებში სინტაქსურად დარღვეულია, სრულიად შესაძლებელია, რომ წინადადების აზრი სწორად ვერ იქნეს გაგებული. მაგალითად, გერმანულ ენაში აუცილებელია შემასმენელი იდგეს ყოველთვის არსებითი სახელის ან მეტყველების სხვა ნაწილის შემდგომ და ა. შ.

საწინააღმდეგო პოზიცია აღნიშნული მოსაზრებისა უარყოფს სინამდვილის შეცნობის ენისაგან დამოუკიდებლობის შესაძლებლობას. საგნები ენის ლექსიკურ შინაარსს ეწინააღმდეგებიან, სინამდვილე ისე აღიქმება, როგორც ენა აღიქვამს მას.

მიგვაჩნია, რომ ეს საპირისპირო პოზიცია რეალურ თვალსაზრისთან სხვაგვარად და შეიძლება ცოტათი იდეალისტურადაცაა გამოხატული, რადგანაც შემეცნებითი და თეორიული პრიორიტეტი მენტალურ კონცეპტოანან და ცნებებთანაა

წარმოდგენილი. მონაცვლეობა ცნებებისა: ჭეშმარიტება – აზროვნება – გარე ენა დინამიკურ-შემოქმედებითი პროცესია და ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ვიტგენშტაინთან ენა სიტყვიერ სამოსელში ახვევს აზრებს, იმგვარად, რომ შესაძლებელია ამ სიტყვიერ სამოსელში გახვეული გარკვეული აზრის ამოცნობა. ეს ხდება იმიტომ, რომ ამ სიტყვიერი სამოსელის გარეგნული ფორმა შექმნილია სხვა მიზნებიდან გამომდინარე და არა იმ მიზნიდან, რომ როგორმე სხეულის შინაგანი ფორმა შეცნობილი გახდეს.

„ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილესთან მიმართებით ხორციელდება ჩვენივე აზრებში“. გაორება „მე“ და სამყაროსი აისახება აზრებში. ენა არის დერძი აზროვნებისა. ამით არის ენა ნამდვილი მედიუმი, სადაც „ego“-სა და სამყაროს გაორება ხდება და სადაც ორივე მათგანი ერთმანეთს განაპირობებს და ერთმანეთისგან გამომდინარეობს“ (Wittgenstein, Ludwig 2003: § 329).

ვიტგენშტაინის აზრით, როცა ადამიანი ენის ფენომენს უღრმავდება, მაშინ ის ფიქრობს, ენის არა მეორად ანუ საკომუნიკაციო მნიშვნელობაზე, არამედ იმაზე, რომ „ენა არის თვითონ დერძი აზროვნებისა“, რასაც ჩვენ ასე განვავითარებდით, და სწორედ აზროვნება ანიჭებს ენას საკომუნიკაციო ფუნქციას გონში - „ზოგჯერ გვეჩვენება, რომ აზროვნება რაღაც მოვლენაა, რომელიც ენას ან კიდევ სხვა რამეს თან ახლავს, ან დამოუკიდებლად ვლინდება, მაგრამ თუ კარგად დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ აზროვნება თანმხლები მოვლენა კი არ არის, არამედ ის ჩაქსოვილია თვით ენაში“ (Wittgenstein, Ludwig 2003: § 329).

აზროვნება და ენა ერთმანეთს მიეკუთვნება. ცნობილი მოსაზრების მიხედვით, როცა ბავშვი ენას სწავლობს, ის პარალელურად ამავე ენაზე აზროვნებასაც იწყებს. საკითხავია, იქნებ ის ენის სწავლის დაწყებამდე იწყებს აზროვნებას? მიგვაჩნია, რომ არ არსებობს ე.წ. „წინა სტადია“, რომელშიც ბავშვი ენას არ იყენებდეს. ამ შემთხვევაში საუბარია გონის პირველად ენაზე (პუმბოლდტი), როგორც აზროვნების დერძზე. არავის შეუძლია მეტყველება აზროვნების გარეშე და არავის შეუძლია ფიქრი საკუთარ თავთან საუბრის გარეშე. როცა ადამიანი ფიქრობს, საუბრობს კიდეც.

ყველგან, სადაც წარმოდგენილია ენის ბუნება, ენის ყოფიერება, ენის შიდა ძალა, სიძლიერე და გენი და სადაც ეს ენის სული არ გაიგება, როგორც გრამატიკულ-ტიპოლოგიური თვისება, ყურადღებას ამახვილებენ რეალისტური

პოზიციის პრობლემაზე. მაგალითად, ბაროკოს ტექსტებში გერმანული ენის მცოდნები ისეთ სიტყვებს იყენებდნენ, როგორიცა: Aufrichtigkeit, Natürlichkeit, Treu, Würde და ა.შ. ასეთი არგუმენტაციები, ბუნებრივია, არ არის სრულიად რეფლექტური გამომჟღავნება ენის ფილოსოფიური პოზიციისა. ისინი წარმოდგენილი არის ტექსტებში საგნობრივ-სემანტიკური გამოთქმების გვერდით, მაგრამ ყოველთვის მიუთითებენ იმაზე, რომ ენა არ გვევლინება მხოლოდ საგნების პასიური გამოსახვის საშუალებად.

სიტყვები სეგმენტებად ყოფენ რეალობას და ერთხელ მომხდარი ენობრივი სეგმენტირება ერთი შეხედვით ახლოს დგას სინამდვილის სეგმენტირების ზღვართან. იქ, სადაც ენობრივი სეგმენტირება რეალურობის ფაქტობრივ მოცემულობებს ვერ ფარავს, შესაძლებელია სიტყვების ადამიანის ტვინის ხვეულების მიერ პროდუცირება. ადამიანები ადგენენ სიტყვების მნიშვნელობებს მათი ყოველდღიური ინტერესიდან და არა საგნის რეალური თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომელსაც შესაბამისად გამოხატულების უნარი არ გააჩნია. გამოხატულებები ეყრდნობა მხოლოდ სხვადასხვა, უმეტესად არააბსტრაქტულად აღქმულ საგნის ნიშნებს. მაგალითად, ბაგშვი ითვისებს და აქცეპტირებას უკეთებს კონკრეტული საგნების ცნებებს. როგორიცაა: ქუდი, სკამი და ა.შ. ის გაოცდება თუ მას აცნობებენ, რომ სიტყვები, რომლებსაც მისი მამა, მასწავლებელი ან მოძღვარი საუბრის დროს იყენებს, ზოგიერთ შემთხვევაში იმას გამოხატავენ, რაც სინამდვილეში კონკრეტულად არ არსებობს.

ჩვენ გვესაჭიროება ენობრივი ნიშნები არა მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენი აზრები სხვას ვაცნობოთ, არამედ რათა ისინი ჩვენც დაგვეხმაროს საგნის რეცეპტორებასა და აპერცეფციორებაში. მხოლოდ ენის საშუალებით არის შესაძლებელი კომპლექსური აზრების წარმოშობა, რადგანაც სიტყვები, როგორც მენტალური ნიშნები, აუცილებლობის კოგნიტურ ნაწყვეტებად აღიქმებიან. ენა (ამ შემთხვევაში გარე ანუ სამეტყველო ენა) არის „instrumentum rationis“ კომუნიკაციაში ღრმა აზროვნების გარეშე.

ჩვენი აზრით, ენა ითვლება არა მხოლოდ გარე სამყაროსთან, სინამდვილესთან დამოკიდებულების აუცილებელ ინსტრუმენტად ზოგადი და ყოვლისმომცველი გაგებით, არამედ ის შეიძლება აღვიქვათ, როგორც ხელსაწყო,

რომლითაც ჩვენ იმავე სამყაროს აღმოვაჩენთ და ჩვენებულ წარმოდგენას შევიქმნით მასზე. ამ შემთხვევაში კი ენა გვევლინება „ხელსაწყოს“ ამპლუაში.

ნიცშესთან ტრიადაში (ჭეშმარიტება - აზროვნება - ენა) ჭეშმარიტებას არა აქვს ენასთან და აზროვნებასთან პირდაპირი დამოკიდებულება. მისი აზრით, თუკი ჩვენ რამდენიმე ენას ერთმანეთის გვერდით წარმოვიდგენთ, მაშინ სიტყვებთან დამოკიდებულებაში ჭეშმარიტებას ვერ აღმოვაჩენთ და ვერც დაფუშვებთ.... „Das „Ding an sich“ ist auch dem Sprachbildner ganz unfasslich und ganz und gar nicht erstrebenswerth.“ აქედან ვასკვნით იმას, რომ ნიცშესთვის ენა და აზროვნება კონტრუქციებია ჭეშმარიტებასთან მიმართებაში, რასაც თავისთავად კიდევ ენობრივ პრობლემასთან მივყავართ.

ვილჰელმ ფონ პუმბოლდტი ხედავდა აზროვნების ენობრივ კონსტრუირებას, რომელიც გარეენობრივი ფაქტორია. მას გაუჩნდა კითხვა არსებული სინამდვილის ენობრივი დამოუკიდებულობის არსებობის შესახებ.

ის გამოდიოდა იმ თეზისიდან, რომ ენა მანიპულირებს აზროვნებას. თითოეული ენა სინამდვილეში ახლოს დგას აზროვნებასთან და შესაბამისად, გამოდის საკუთარი სამყაროს თვალსაზრისის გამოსახატავად.

როგორც თითოეული ბგერა საგანსა და ადამიანს შორის, ასევე გვევლინება ენაც თავის თავსა და მის გარე და შიდა ბუნებას შორის. ის გამოსცემს ბგერებს სამყაროში, რათა საგანთა სამყარო აღიქვას, თავისი სახელი დაარქვას და შესაბამისად გადაამუშავოს. ეს გამოხატულებები არასდროს აჭარბებენ ჭეშმარიტების წარმოდგენას: ადამიანი ფაქტობრივად ცხოვრობს მის ირგვლივ მყოფ საგნებთან ერთად და მათში, რადგანაც მასში ჩაქსოვილი შეგრძნებები და ქმედებები დამოკიდებულია მის წარმოდგენებთან, რომლებიც მიემართება ენისაკენ.

ჭეშმარიტი ყოფიერება ენაში აღიქმება. მისი შენარჩუნება წერილობით არ არის ყოველთვის სრულყოფილი. ის თვითონ არ არის ნაწარმოები (Ergon), არამედ მოღვაწეობა-ქმედებაა (Energeia). მისი ნამდვილი დეფინიცია შესაძლებელია გენეტიკურიც იყოს. ის არის იგივე ოდესლაც განმეორებული მუშაობა სულისა (ჩვენს შემთხვევაში იგივე გონისა), რომელსაც წარმოთქმული ბგერები აზრების გამოსახატავად იყენებენ.

პუმბოლდტი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს თითოეული ენის კომპეტენციის გვერდით ადამიანურ გაუცნობიერებელ მიღრეკილებაზე

უნივერსალურ ენასთან, რომელიც თითოეულ ენობრივ ტიპს წინ უსწრებს. ენა, ჩვენი აზრით, როგორც გონის გამომხატველი, უთანასწორდება სულს და თავისებურად ეწინააღმდეგება გარე ენას, რომელიც შესაბამისი ერის განვითარებასთან კავშირშია ან შესაბამის ხალხთან ერთად წარმოიშვა. ყოველი კონკრეტული ენა, ეს იქნება გერმანული, ინგლისური, ფრანგული თუ სხვა დანარჩენი, არის აბსოლუტურად სპეციფიკური ენა განსაზღვრული ერისა ან თუნდაც განსაზღვრული ხალხისა, მაგრამ მას აქვს წილი ამ უნივერსალური ენის ე.წ. „ადამიანური გონის სიღრმეში“, ყოველ ეთნიკურ და ნაციონალურ დიფერენციაციაში. ამის გამო გამოიხატება ყველა ენაში იდეათა მთელი რიგი, რისი წყაროც უნივერსალური ენაა.

ჩვენი აზრით, დედაქნით ადამიანები ჩვეულებრივ „იწოვენ“ წარმოდგენებს და იქმნიან თვალსაზრისს საგნებზე; ის არის ამავდროულად ფორმა, რომელშიც მიმდინარეობს მათი სულის (der Geist) მოღვაწეობა. ისე ფლობს ენა მათ სულს, რომ ისინი ამას ვერ აცნობიერებენ.

ვიტგენშტაინისთვის ენა, როგორც ინსტიტუციონალიზებული სისტემა, გვაძლევს ნებისმიერი აზრის გამოხატვისა და ენის სისტემაში რაიმე სიახლის შეტანის საშუალებას. ენა რომ მეტყველების დროს არ არის წარმოდგენილი, როგორც სისტემა, მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ აზრების გამოხატვა თითოეული გამოსაყენებელი სიტყვების მნიშვნელობების ცოდნის გარეშეც შეგვიძლია. ადამიანს აქვს უნარი, ფლობდეს ენებს, რითაც შესაძლებელია აზრების განსხვავებულ სიტყვიერ სამოსელში გამოხატვა, ისე, რომ მან არ იცოდეს ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა.

აზროვნების ყოფიერებას ადგილი აქვს იმ მონაკვეთში, სადაც ის წარმოიშობა და ვითარდება და რომლის მეშვეობითაც მისი მოღვაწეობის წილი, ცალ-ცალკე აღებული ერთ მთლიანობად იქცევა; და ეს წარმონაქმნები თავის მხრივ ერთმანეთს შორის, ან კიდევ ერთად აღებული მთლიანობაში, როგორც ობიექტი მოაზროვნე სუბიექტებისა, გაცვლა-გამოცვლითს დამოკიდებულებაში არიან.

„Kein Denken, auch das reinste nicht, kann anders, als mit Hilfe der allgemeinen Formen unsrer Sinnlichkeit geschehen; nur in ihnen können wir es auffassen und gleichsam festhalten“ (Wilhelm von Humboldt 1973: 5).

ენის შესწავლის დროს ადამიანი გაუთვითცნობიერებლად ეძებს ნიშნებს, რომლის საშუალებითაც ის თავის სექვენტებად დაყოფილ აზროვნებას უცხო ენაში ერთ მთლიანობად აქცევს. ასეთ ნიშნებად ჩვენ შეიძლება გამოგვადგეს არა სივრცითი დიმენზით გაგებული, არამედ დროის განზომილებით აღქმული მოვლენები.

ადამიანი ერთმნიშვნელოვნად განასხვავებს გამოხატულების რაგვარობასა და თავისებურებას აზროვნებასა და ენაში. აღქმა მანიპულირებს გონებას აბსოლუტურად. თუკი ადამიანზე ისე მოქმედებენ, რომ ის თავის წარმოდგენით ხატში საგნის „წაშლაზე“ იფიქრებს, მაშინ ის გაუგებრად არტიკულირებს. სხვა შემთხვევაში ადამიანი გასაგებად მეტყველებს და ის ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს აფექტურობის მომენტში ემოციის მიერ ენის მანიპულირებას და კოგნიციური მომენტის გაუფერულებას.

ჩვენ ვიზიარებთ ჰუმბოლდტის მოსაზრებას, რომ ინდივიდის წარმოშობისა და ენის სპეციფიკური ხასიათი ზოგადად მთლიანი ერის ხასიათსა და ენაში იკარგება, ამიტომაა, რომ ჰუმბოლდტი ცალკეული ინდივიდის ენას არავითარ გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ენა სხვა არაფერია, თუ არა კომპლექნტი (გავრცობა) აზროვნებისა, მისწრაფება გარედან მიღებული შთაბეჭდილებებისა და ჯერ კიდევ არაერთმნიშვნელოვანი შინაგანი აღქმის გარკვეულ ცნებებად მოხაზვა, რათა შემდეგ ეს ახალი ფენომენები ერთმანეთს დაუკავშიროს.

ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის, ფრანსუა ვაპლის მიხედვით რაიმეს წარმოთქმა არ ნიშნავს რაიმე მოსაზრების გამოთქმას. რა თქმა უნდა, არსებობს წარმოთქმის ლოგიკა, მაგრამ ცდება ის, ვინც მას აზრის გამოთქმის ლოგიკის წინ დააყენებს. ჩვენი აზრით, ეს ვაპლისეული თეზისი - აზრის გამოთქმა უახლოვდება აზრობრივად იმას, რასაც ჩვენ შიდა ენით მეტყველებას ანუ მენტალურ მეტყველებას ვუწოდებთ. სუბიექტის ფენომენი ეკუთვნის გამონათქვამის მოდელს და არა წარმოთქმის მოდელს. „.....aber das Aussprechen ist nicht die Aussage; und das, was die Logik der Aussage definiert, ist genau ihre Indifferenz gegenüber dem Aussprechen, nicht empirisch, sondern konstitutiv gesehen. Es gibt, jawohl, eine Logik des Aussprechens. Aber es wird immer ein Irrtum sein, zu glauben, dass sie über die Logik der Aussage Vorrang hat. Zwar gibt es eine Wahrheit, die durch das Aussprechen modalisiert ist, aber es ist nicht die des Diskurses im eigentlichen Sinne. Und, in Wahrheit, wer zweifelt daran? Das Gegenteil behaupten wäre eine

moderne Version des Diktums von Protagoras geben: „Der Mensch ist das Maß aller Dinge“ (Francois Wahl, Le Percu 2007: 548-549).

საერთოდ, აზროვნება და ფილოსოფიური თარგმნის ხასიათიდან გამომდინარე ფილოსოფიური აზროვნება საგანს იზოლირებულად არ განსაზღვრავს და არც არასდროს სჭირდება ის მას განსახილველად რეალობაში კონკრეტულად მოცემული. აზროვნება ამოწურავს დამოკიდებულებებს, კავშირებს, აზრებს მასთან მიმართებაში და მიზანმიმართულად აკავშირებს მათ ერთმანეთთან. სიტყვა თავისთავად აღებული არ არის რაღაც ცარიელი სუბტრატი, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი ნიუანსები შეგვიძლია განვალაგოთ, არამედ ეს არის ლრმა აზრობრივი ფორმა, რომელიც თავისი გამჭვირვალე უბრალოებით უშუალოდ ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ უკვე სიტყვით გამოხატული საგანი მხოლოდ აზროვნების მოთხოვნილების მიხედვით წარმოვიდგინოთ.

„In allen diesen Hinsichten ist die Art der sinnlichen Form, die nicht gedacht werden kann, ohne nicht auf eine weiter unten zu untersuchende vielfache Weise selbst als solche eine Wirkung auszuüben, auf keine Weise gleichgültig, und es läßt sich daher mit Grunde behaupten, daß auch bei durchaus sinnlichen Gegenständen die Wörter verschiedener Sprachen nicht vollkommene Synonyma sind, und daß wer 'equus' und Pferd ausspricht, nicht durchaus und vollkommen dasselbe sagt“ (Wilhelm von Humboldt 1973: 15).

საინტერესოა ვიტგენშტაინისეული შედარება ენისა და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულებისა: „როგორი იქნებოდა, მე რომ ორი სხეული მექნებოდეს, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩემი სხეული ორი განცალკევებული სხეულისგან უნდა შედგებოდეს? - ფილოსოფოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ აზროვნებაში გამოცდილება - განცდილის გაფართოება შეიძლება, იმაზეც უნდა დაფიქრდნენ, რომ ტელეფონის საშუალებით საუბარი გადაიცემა და არა წითელა (დავადება)“ (Wittgenstein, Ludwig 2006: § 66).

ზემოაღნიშნულ პოსტულატში ნათლად არის წარმოჩენილი ვიტგენშტაინის დამოკიდებულება ფილოსოფიურ აზროვნებასთან, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ის ადამიანის აზროვნებას, როგორც უმნიშვნელოვანესი ფენომენის შესაძლო გამოვლინების ნიუანსებს და არა ადამიანის გარეგნულ წარმოდგენითს ხატს ენის მიმართ.

აზრისა და სინამდვილის დამოკიდებულების ჰარმონიულობა მდგომარეობს იმაში, რომ “როცა მე გამბობ შეცდომით, რაიმე არის წითელი, ის მაინც არ არის

წითელი. და როცა ვინმეს მინდა ავუხესნა სიტყვა „წითელი“ წინადადებაში „ეს არის წითელი“, ამ დროს მე მას წითელ საგანზე მივუთითებ“ (Wittgenstein, Ludwig 2003: § 428, 429).

აღნიშნულ პოსტულატშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმულია აზროვნების განსაკუთრებულობა, რომელსაც ადამიანები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ; თუმცა ის ჩვეულებრივ მოცემულია ადამიანის გონში, ის მისთვის არ არის მიუწვდომელი და მისი პრეზენტაცია ნაწილობრივ ხდება მეტყველების დროს.

„ექსპერიმენტისათვის, წინადადების სისტემაში საგნებს ვარქმევთ სახელებს ან კიდევ ვადგენთ მათ ისე, როგორადაც ისინი სინამდვილეში გვესახება. ამ დროს ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე არალოგიკურად შევადგინოთ, რადგანაც ამისათვის უნდა შევძლოთ უარის თქმა ენის ლოგიკაზე. – მაგრამ როცა მთლიანი წინადადება მხოლოდ „ლოგიკურ კონსტანტებს“ შეიცავს, ამგვარად ის ჩვენთვის წარმოადგენს, როგორც ლოგიკურ წარმონაქმნს, რომელსაც არ შეუძლია მისი ლოგიკური თვისებების დაფარვა“ (Wittgenstein, Ludwig 1960: 101).

ზემოაღნიშნულ მონაკვეთში საუბარია ენის ლოგიკაზე და აქედან გამომდინარე, ეს მინიშნებაა ენის სტრუქტურაში სხვადასხვა ნიუანსზე, რომლებიც წინადადების გამართვისა და სრულყოფისათვის ერთ-ერთ ძირითად პარამეტრს წარმოადგენს. თუ წინადადება ლოგიკას მოკლებულია, მისი გაგებაც და გაგებინებაც შეუძლებელია, ხოლო „ლოგიკურ კონსტანტებს“ დიდი როლი ეკისრებათ ენის სტრუქტურის ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში სრულყოფილად წარმოჩინებაში.

„აზრებს მე ვუწოდებ იმ ჩანასახს, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს არტიკულაციური სახე. გამოხატულება-გამოთქმას ესაჭიროება ნიშნები. გამომხატველ ნიშნებში ხდება სამყაროსთან დაკავშირება. როცა აზროვნება და ენა ერთმანეთს განაპირობებს, მაშინ შესაძლებელია აზროვნება ენას არ შეიცავდეს. ის შესაძლებელია „გონშიც“ არ ამოტივტივდეს. ენა ნამდვილად არ ვლინდება გარეგნულად, ის ფარულია. ბევრი ამტკიცებს, თითქოს ენა გარეგნულად ვლინდებოდეს. „ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რაიმეს გადაყვანას გცდილობთ ერთი გამოხატულების ფორმიდან სხვა ფორმაში, მაგრამ მთელი სერიოზულობით შესაძლებელია ითქვას, რომ ის არსებობს გონში“ (Wittgenstein, Ludwig 2003: § 334).

აქ კიდევ ერთხელ მოვახდენთ ვიტგენშტაინის ამ პოსტულატების ენის სტრუქტურაში ექსტრაპოლირებას.

მეტყველებამდე არსებული აზროვნების წარმოდგენა განსაკუთრებულ გამოხატულებას წერითს მეტყველებაში პოულობს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია წინადადება ისე არ გვქონდა გააზრებული, როგორც ეს ჩვენ შემდეგ წერილობით წარმოვაჩინეთ. ამის საფუძველზე ის ისე უნდა ჩასწორდეს, რომ შეესაბამოს თავდაპირველ აზრებს. აზროვნება არ შეიძლება აზრთა გამოხატულებებს დაშორდეს. აზროვნებისა და მეტყველების გვერდით ან კიდევ სადღაც კულისებში არ ფიქრობენ (აზროვნებენ). „ფიქრობდი, რასაც ამბობდი? – მე ვფიქრობდი მხოლოდ იმას, რაც ვთქვი“. ეს მოსაზრება ჩვენ გვეკუთვნის და ის ვრცელდება აზროვნების მიმართებაზე წერილობით კომუნიკაციაშიც.

ჩვენი მიზანი არაა ამ თავში კომუნიკაციის წერილობით ფორმას შევეხოთ, როგორც მეორადი ენის ერთ-ერთ გამოხატულებას. ჩვენი აზრით, აზრის წერილობითი გამოხატვა, ანუ წერილობითი კომუნიკაცია იმ ე.წ. „უნივერსალურ გონის“ ენასთან თავისი სიდრმით უფრო ახლოსაა, ვიდრე აზრის ზეპირი გამოხატულება (ზეპირმეტყველება). ამ საკითხს კი შეიძლება ცალკე კიდევ ერთი სხვა კვლევა მიეძღვნას.

აქ ენის სტრუქტურა უფრო ფილოსოფიურ-ლინგვისტურად მოიაზრება, ვიდრე წმინდა ლინგვისტურად.

ზოგჯერ ისე გვეჩვენება, რომ როცა ვფიქრობთ, ვთარგმნით ჩვენს აზრებს. ასე იქცევა გერმანელი, რომელიც კარგად ფლობს ინგლისურ ენას და იყენებს გერმანიზმებს. მას ჯერ კი არა აქვს შექმნილი ინგლისური წარმოდგენა, არამედ ის არის იქ - ქვეცნობიერებაში, როგორც სქემა. სწორედაც რომ აზროვნების წინ აზროვნება არ არსებობს. ჩვენი აზრით, აქ საუბარი შეეხება აზროვნებას გონის ენას და არა რომელიმე კონკრეტული ერის ენას.

აქედან გამომდინარე, აზროვნების დამოკიდებულება ენაზე და განსაკუთრებით ენა, რომელზეც არტიკულირება ხდება, არ მოიაზრება. ახალი აზრების წარმოქმნა გულისხმობს ენის სტრუქტურაში ახალ გამოხატულებათა შექმნას. აზრები განსაკუთრებით ენაში პოულობს გამოხატულებას, მაგრამ მაინც შემთხვევითია, აზრების რომელიმე ენაზე ან რომელიმე სიტუაციებში გამოხატვა. ფილოსოფიურ გრამატიკაში ეს პოობლემა სხვანაირად არის წარმოდგენილი. ენობრივი თამაშები არის გამოყენებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთი პრაგმატიკული

სახე. ეს შეიძლება იყოს ენობრივი ქმედება დიალოგსა თუ მონოლოგზი. ენობრივი თამაშის სიმრავლის შესაბამისად, ხდება აზროვნებისა და საუბრის თანხვედრა (დამთხვევა) უამრავ ნიუანსში. მათი ურთიერთობის პრინციპი ერთგულია ენის ლოგიკის ფენომენისა: თავი ავარიდოთ აზრის გაუგებარ გამოხატულებას.

საგნის ცნება მოცემულია მისი გამოხატულების (გამოხახვის) უამრავ სფეროში. განსჯის დროს ხორციელდება პერსუაზიული, ლოგიკური მანევრები და შესაბამისი ტაქტიკა არის წინაპირობა ენის სტრუქტურაში ადამიანის შემეცნებითი ან კიდევ აღქმითი შესაძლებლობების პრეზენტირებისა.

Alfred Korzybski - „Einer Sprache, jeder Sprache liegt eine bestimmte Metaphysik zugrunde, die der Welt bewusst oder unbewusst eine Art Struktur zuschreibt.“

„Diese Strukturellen Annahmen sind in uns, sobald wir eine Sprache, jede Sprache übernehmen.“

„Wir machen uns nicht klar, welche gewaltige Macht die Struktur einer gewohnte Sprache hat. Es ist nicht übertrieben zu sagen, dass sie uns durch den Mechanismus semantischer Reaktion verklavt und dass die Struktur, die eine Sprache aufweist und uns unbewusst einprägt, auf unsere Umwelt automatisch projiziert wird.“ (<http://www.gleichsatz.de/b-u-t/gene/haya2.html>)

კორცუბსკის აზრით, ყოველ ენას საფუძვლად უდევს სტრუქტურა, რომელსაც ჩვენ გაუთვიცნობიერებლად აღვიქვამთ, რადგან ამ ენაზე ვმეტყველებთ. მაგრამ როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, მისი აზრით, ენა თავისი სემანტიკური მექანიზმით იმდენად გვატყვევას, რომ ენის სტრუქტურული მექანიზმის პროექცია ჩვენს გარემომცველ სამყაროსა და ჩვენზე უფრო ავტომატურად ხდება, კიდრე შეგნებულად.

ფილოსოფიური ანუ უნივერსალური გრამატიკა, ეს არის ე.წ. სამეცნიერო პროგრამა, რომლის მიზანსაც ლოგიკურ პრინციპებზე დაყრდნობით ზოგადი გრამატიკული მოდელის განვითარება წარმოადგენს. ამ მოდელის საშუალებით შეიძლება ყველა ენის სტრუქტურისა და კანონზომიერებათა ახსნა - განმარტება. ფილოსოფიური გრამატიკა ასახელებს და თხზავს გამოყენებით მაგალითებს. მაგალითების არაიზოლირების გზით ცნობილი ენის ფილოსოფოსების მიხედვით, ცნებას არ შეუძლია საგანი ერთმნიშვნელოვნად გამოხატოს; ენობრივ-ანალიზური თვალსაზრისით ეს ყველაფერი სხვანაირადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი. როცა კინომოყვარული კინოფილმს უყურებს დიდ ეკრაზე, ის ვერბალურად არ

მეტყველებს, თუმცა მასში შინაგანად მიმდინარეობს ეკრანზე მომხდარი ამბების განსჯის პროცესი, ანუ არავერბალური ინტერაქცია.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რადგანაც ფილმის მაყურებელი არ მეტყველებს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ენობრივ ქმედებას არ აქვს ადგილი. შედეგიანობის მიხედვით არავერბალური ინტერაქციას ენობრივი ანალიზისათვის მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ ამავე დროს უაღრესად რელევანტურია ფილოსოფიური აზროვნების პოზიციიდან გამომდინარე.

ენა და აზროვნება ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. არავერბალური მოქმედება შეუძლებელია იქცეს ენობრივი ქმედების ცნებად, რადგანაც ინდივიდუალურობა და თვითშეცნობა ენის გარეშე არ მოიაზრება. აქ აზროვნება ცოტა უფრო სხვანაირ დატვირთვას იძენს, რადგან აზროვნება ჩვენი მაგალითის შემთხვევაში ვიზუალური აღქმის საფუძველზე ხდება.

ან კიდევ წარმოვიდგინოთ მოკრივე განსაზღვრულ საბრძოლო სიტუაციაში. ეს სურათი შეიძლება იმისთვის გამოვიყენოთ, რომ ვინმეს ვაცნობოთ თუ როგორ იდგა ის და როგორ იქცეოდა, როგორ მოძრაობდა ან როგორ არ მოძრაობდა; ან კიდევ მივაწოდოთ ინფორმაცია მოკრივის კიდევ სხვა სავარაუდო პოზიციების შესახებ. შეუძლებელია ამ სურათს წინადადების რადიკალი უწოდონ, რადგან ენის სტრუქტურის ხასიათიდან გამომდინარე, აქ ჩვენ უკვე ვარაუდის ასპექტთან გვაქვს საქმე.

ეს კიდევ ერთი მანიფესტირებაა იმისა, თუ ვარაუდის ან წარმოდგენის საშუალებით როგორ შეიძლება აზროვნების შემდგომი განვითარება (დახვეწა), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ აზროვნება, განსაკუთრებით კი ფილოსოფიური, ენის სტრუქტურაში რაოდენ მდიდარი შემეცნებით შესაძლებლობების არსებობას განაპირობებს.

პრინციპი გამოხატვისა მიუთითებს, რომ მოსაუბრეს შეუძლია თქვას ის, რასაც ის ფიქრობს. ეს მხოლოდ იმ ასპექტზე არ ახდენს რეფერირებას, რომ მოსაუბრე ინსტრუქციით გამოხატავს იმას, რაც მას სურს. ამ თვალსაზრისით მას შეუძლია მისი აზრი სხვადასხვაგვარად გამოხატოს. ბუნებრივია, ეს არც იმას ნიშნავს, რომ მოსაუბრე თავიდან იცილებს ზუსტი და შესაბამისი გამოხატულების გამოყენებას. შესაძლებელია მოსაუბრემ თავისი აზრი ისე ვერ გამოხატოს, როგორც მან გაიგო ან როგორც მას უნდა გაეგო. ენობრივი გამოხატულების პრინციპი ადამიანს აძლევს საშუალებას, შესაძლებლობის ფარგლებში ზუსტად და

სრულყოფილად გაიგოს გამოხატვის აზრი, რადგან აზრის გამოხატვა შესაძლებელია გართულდეს გამოთქმის (გამოხატვის) საშუალებათა მრავალფეროვნების გამო.

ჩვენი დრმა რწმენით, ამით გამოხატულების პოსტულატი, რომელსაც შეუძლია თავის მიზანს მიაღწიოს, არის ისეთი სიტუაციებით შეზღუდული, რომელთა ინტენცია, შესრულება და აღიარება განსაზღვრულ ენობრივ პულტურებში ბუნებრივი და დასაშვებია. ეს უკეთესია გავიგოთ, როგორც პრინციპი დასახელებისა და გამოთქმისა. აზრები, რომლებიც სხვა ვარაუდების ჩარჩოებში დამაჯერებელია, სწორად უნდა გაიგებოდეს. ენის აქტის თეორია შეზღუდულია დამახასიათებელ და განსაკუთრებულ, კონკრეტულ სიტუაციებში.

ენა არ არის უბრალოდ ენა, რომელშიც ჩვენ როგორც ბგერათა ფორმას, ასევე მელოდიას, რიტმსა და მნიშვნელობას წამოვიდგენთ. ჩვენ მოვიაზრებთ ასობგერათა ფორმასა და სურათს, როგორც სიტყვათა სხეულს, მელოდიასა და რიტმს, რაც საბოლოოდ ენის სულს ქმნის. ენა შეიძლება გავიაზროთ ჩვეულებრივი ადამიანის შესაბამის ყოფიერების ჩარჩოში, სადაც წარმოდგენილი იქნება, როგორც სხეულის, ასევე სულის - გონის ერთიანობა. ენა არის თავშესაფარი ყოფიერებისა. ენის არსება აქედან გამომდინარეობს და ეს შესაბამისობა არის ადამიანური ყოფიერების საძირკველი აზროვნებასთან დამოკიდებულებაში.

შესაძლებელია თუ არა ენისა და აზროვნების ფენომენი განვიხილოთ ერთ ასპექტში? აღნიშნულ კითხვას შესაძლებელია ამ კუთხით მივუდგეთ. აზროვნება არის მეტყველება, აზროვნება არის „სულის ე.წ. შინაგანი მეტყველება საკუთარ თავთან“ (Sophistes 263e), როგორც ამას აღნიშნავდა პლატონი. „ჩემთვის საგანი წარმოდგენილია, როგორც სული. როცა ის ფიქრობს, არაფერს აკეთებს სხვას, გარდა საუბრისა, რომელშიც ის თვითონ უსვამს კითხვას საკუთარ თავს, პასუხობს, ეთანხმება ან კიდევ უარყოფს მას. ფიქრს მე ვუწოდებ შინაგან საუბარს და განსჯას, არა სხვათა წინააღმდეგ და არა ხმამაღლა, არამედ ჩუმად, საკუთარ თავთან მიმართულს“.

არისტოტელეც განიხილავს აზროვნებას, როგორც უნარს, რომელიც სწორედ იმ სისტემის უნარს განსაზღვრავს, რომელთა განკარგულებაში თავად ენაა და აქედან გამომდინარე, საკუთარ თავთანაც შეუძლია თათბირი. ძალიან ადვილად შეიძლება ამის გაგება-დასაბუთება, როცა რაღაცის შესახებ ვფიქრობთ. მაგალითად, იმის შესახებ, თუ სად უნდა გავატაროთ ჩვენი შემდეგი შვებულება,

ფიქრი ასეთ სახეს იდებს ჩვენს საკუთარ თავთან დიალოგში: „ალბათ ფინეთში, მიუხედავად იმისა, რომ გზა შორია, სხვა მხრივ უსასრულო ტყებია და ტბებია და მარტოდ ყოფნაც შესაძლებელია. თან ძვირიც არ არის“. ასეთი განცდები აქვს ადამიანს საკუთარ თავთან ფიქრის დროს; აღწერს რაიმეს, ხატავს მას წარმოდგენაში, სვამს კითხვას შვებულების დადებითი თუ უარყოფითი მხარეების შესახებ და აწონ-დაწონის მათ. ყველაფერი ეს მიმდინარეობს სამეტყველო აქტში, მაგრამ ეს არ არის იმ პრობლემის ერთ-ერთი მხარე, თუ რა კავშირშია ენა და აზროვნება ერთმანეთთან. აზროვნება არის, როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნე და ამას კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, შიდა ენით ნაწარმოები დიალოგი საკუთარ თავთან და საკუთარ თავთან საუბარი კი არის აზროვნება, რისი თავი და თავი მაინც ენაა. ყოველივე ამას ვილჰელმ ფონ ჰემდეგნაირად გამოხატავს: „ენა არის აზრის მაწარმოებელი ორგანო“ (Wilhelm von Humboldt 1988:426).

„აზროვნებას არაფერი ესაქმება ენასთან!“ - ასეთია სტევენ პინკერის შეხედულება, რომელიც კიდევ ერთხელ ყოველივე ზემოთქმულს იზიარებს, მაგრამ არ იყენებს ტერმინებს გარე და შიდა ენას, თუმცა საუბრობს აზრების ენაზე. „წარმოდგენის, აზრისა და ენის გაიგივება გარკვეული თვალსაზრისით კონვენციონალური აბსურდია“ - ფიქრობს სტევენ პინკერი. გონიში იგულისხმება მენტალური აზროვნება. გონიან დამოკიდებულებაში ენას აქვს გამოხატვის ფუნქცია. აქედან გამომდინარე, ენისმიერი აღქმა აწვდის აზროვნებას შინაარსს, მაგრამ არა ენობრივად, უბრალოდ მენტალურად, და შემდეგ ადამიანს კვლავ ესაჭიროება ენა შზა პროდუქციის გადასატანად: რასაც ადამიანი მოიფიქრებს, როგორც წესი, ის მან შეტყობინების ადრესატს უნდა გადასცეს, იქნება ეს ზეპირსიტყვიერად თუ წერილობით. ამ მოსაზრებას იზიარებს ალბერტ აინშტაინიც: „სიტყვები ან ენა, სულ ერთია წერილობით თუ ზეპირი მეტყველების ფორმით გადმოცემული, როგორც ჩანს მოელი ჩემი აზროვნების მექანიზმი არავითარ როლს არ თამაშობენ“. მოარული მეცნიერული მოსაზრების მიხედვით, რაიმე პრობლემის ზეპირი ასესნა - წარმოდგენა მეტ დაბრკოლებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე მასზე ფიქრი, რადგან ადამიანი გარეგანი მეტყველების დროს უფრო რთულად ფიქრობს, ვიდრე სიტყვების გარეშე. შოპენპაუერი გაბედულად აცხადებს, „რომ აზრები იმ მომენტში კვდებიან, როცა მათ სიტყვიერ სამოსელში ვახვევთ“ (Pinker 1998: 83).

კველამ ვიცით, რომ არ არსებობს დაუფიქრებელი გამოყენება ენისა. ნებისმიერი ენობრივი ქმედება გულისხმობს აზროვნებას. ისმება კითხვა: შეესაბამება თუ არა აზრები საგანს, აღმნიშვნელი აღსანიშნს, ან კიდევ სხვანაირად რომ ვთქვათ, სიგნიფიკანტი სიგნიფიკატი? ამაზე პასუხი დამოკიდებულია სხვადასხვა კონვენციისა და სამეტყველო პრაგმატიკული სიტუაციების რაგვარობაზე.

ენობრივ ქმედებასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფთ ენის სამ სახეს: ენა, როგორც საყოველთაო ფენომენი, რომელიც ჩვენ განგვასხვავებს ცხოველისაგან. ენა, როგორც გამოხატვის ფორმა განსაზღვრული საზოგადოებისა ან ნაციონალური ჯგუფისა და ენა, როგორც ინდივიდუალური ფორმა თითოეული მეტყველი სუბიექტისა. თანამედროვე ლინგვისტიკის დამაარსებელმა – ფერდინანდ დე სოსიურმა მიუსადაგა ზემოაღნიშნულ თითოეულ ვარიანტს ცნებები „Langage“, „Langue“ და „Parole“. სმენადაქვეითებულ ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს გააგებინონ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინიც არიან ენის სისტემის ნაწილი. სხვა მხრივ, ისინი არ არიან ინტეგრირებულნი ტრადიციულ ენაში, როცა სმენადაქვეითებულნი თვითით, ჟესტების ენას იყენებენ.

ჩვეულებრივ პირობებში სიტყვა „Stuhl“ გამოხატავს საგანს, რომელიც უკვე აღქმული და შეცნობილი გგაქს. მის აღმნიშვნელზე, ცნებაზე არ ვფიქრობთ, რადგანაც ფიქსირებული ვართ თვით საგანზე - დენოტატზე და ვვარაუდობთ, რომ თანამოსაუბრებ ის ისევე გაიგო და აღიქვა, როგორც ჩვენ, მაგრამ თუ ის ინგლისურენოვან გარემოშია აღზრდილი, მან შეიძლება გაიგოს გერმანული სიტყვა „Stuhl“, როგორც ინგლისური სიტყვა „stool“ და არა როგორც „chair“. ჟესტების ენა კი ამისგან განსხვავებით ნებისმიერი სმენადაქვეითებული ადამიანისათვის ერთია.

ლინგვისტთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ამ საგნის აღმნიშვნელი ცნება სხვადასხვა ენაზე განსხვავებულია, მაგრამ ამ დროს მოსაუბრები ერთნაირად აზროვნებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ვინმე წარმოთქვამს სიტყვას „disabled“, ამასთან დაკავშირებით ყველას ერთნაირი წარმოდგენა ექმნება. მაგალითად, ამ მიმართებაში გერმანული გამოიყენებდა შესაბამის სიტყვას „behindert“.

თუ წარმოვთქვამთ ცნება „weib“-ს, რომელიც ჩვენთვის ერთი კონკრეტული ფერის აღმნიშვნელია, ესკიმოსებისათვის ეს სიტყვა რეფერირებას ახდენს ამ ფერის სხვადასხვა დენოტატზე. ისინი თოვლსაც და მყინვარსაც თეთრს უწოდებენ,

მათთან მზეც თეთრად ანათებს და ნისლიც თეთრი ფერისაა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ ესკიმოსებს, მზის ფერის ადგვატური ცნება არ გააჩნიათ.

ვიტგენშტაინის მიხედვით, „რისთვისაც მე ცნება არ გამაჩნია, ის არ შემიძლია გამოვხატო. რასაც მე ვერ გამოვხატავ, მის ადგილს ჩემს აზრებშიც ვერ ვარულობ“. „Die Grenzen meiner Sprache sind die Grenzen meiner Welt“ (Wittgenstein Ludwig 1980: 87). ჩვენი გარემო ზემოქმედებს ჩვენი ენის დიდ სფეროზე, რომლის საზღვრებშიც ვითარდება აზროვნება.

## § 2 წინადადება - აზრის ლოგიკურ - სტრუქტურული ხატი

ადამიანის გონიერების სიტყვები გადანაწილდებიან სემანტიკურ ქსელში არა მხოლოდ შინაარსობრივი თვალსაზრისით, არამედ საერთო გრამატიკული მახასიათებლების მიხედვითაც. ისინი მთლიანი წინადადების აღქმისას სემანტიკური ერთობლიობის მიხედვით განლაგდებიან. ერთი და იმავე ტიპის სიტყვები, მაგალითად, არსებითი სახელები, ზმნები, ზმნიზედები ადამიანის ტვინში შესაბამისი სიდიდის სიბრტყეებზე განთავსდებიან, სადაც დიდი როლს თამაშობს მათი სემანტიკური მსგავსება. ასე რომ, ზმნიზედები და ზედსართავი სახელები მათი შინაარსობრივი მსგავსებიდან გამომდინარე, გვერდიგვერდ განლაგდებიან, რის გამოც ისინი ხშირად მსგავს კონტექსტში გამოიყენებიან.

როცა მთარგმნელი იღებს ინფორმაციას ამოსავალი ტექსტიდან, ის ცდილობს მის დალაგებას სამიზნე ენაში არსებულ წინადადებათა სემანტიკურ - სტრუქტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ინტერესმოკლებული არ იქნებოდა, თუ ჩვენ აქ ვიტგენშტაინის და სხვა ლინგვისტების მოსაზრებას წინადადებების სტრუქტურულ-სემანტიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით მოვიყვანდით. რაც მეტ-ნაკლებად ლოგიკური ხიდია ყოველივე ზემოთქმულსა და ფილოსოფიური თარგმნის თეორიას შორის, როცა წინადადებებს როგორც აზრების ლოგიკურ-სტრუქტურულ ხატს აღვიქვამთ.

წინადადების სტრუქტურასთან დაკავშირებით არსებობს ორგვარი თვალსაზრისი: გრამატიკული და ინტერპუნქციური (ანუ სასვენი ნიშნებიდან გამომდინარე).

გრამატიკული თვალსაზრისით, წინადადება არის ცენტრალურ სტრუქტურათა ერთობლიობა.

ინტერპუნქციის თვალსაზრისით, წინადადება არის ტექსტის შემადგენელი ნაწილი, რომლის არსებობისთვისაც აუცილებელია სასვენი ნიშნები: წერტილი, კითხვითი ნიშანი, ძახილის ნიშანი და ე.წ. “Großschreibung”, როგორც რელატიურად დამოუკიდებელი ერთიანობა.

ინტერპუნქცია არ იძლევა წინადადების სრულფასოვან სტრუქტურულ დეფინიციას, არამედ ის საუბრობს, თუ როგორ უნდა მოახერხოს ავტორმა ტექსტში წინადადებათა სწორად განაწილება, ისე რომ აზრი არ დაირღვეს.

ამგვარად, ინტერპუნქციას დიდი როლი ეკისრება წინადადების შინაარსის სწორ აღქმა-გაგებაში რეციპიენტის მიერ.

აქვე წარმოგიდგენთ გამომხატველობითი უნარის ინტენსიურობაზე ორიენტირებულ წინადადების განსაზღვრებას. აქ საუბარი გვაქვს “Dependenz bzw. Valenzgrammatik”-ის ერთ-ერთ ცნობილ წარმომადგენელზე – ტესნიერზე, რომელიც წინადადებას განმარტავს, როგორც ენობრივ მთლიანობას, შემდგარს შემდეგი კომპონენტებით: ზმა (პრედიკატი), როგორც სტრუქტურული ცენტრი და მთელი რიგი წინადადების წევრები (სუბიექტი, ობიექტი, განსაზღვრება და ა.შ), რომლებიც განსაზღვრულ დამოკიდებულებაში არიან ძირითადი აზრის მატარებელ ზმა - პრედიკატან.

აქედან გამოგვაქვს დასკვნა: წინადადება რეალურად შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

განსხვავებას ასეთ გრამატიკულ წინადადებათა დეფინიციებსა და ინტერპუნქციაზე დაყრდნობილ წინადადების ცნებებს შორის ხსნის ახალი ვერსია, რომელიც მ. კლაუდიუსს ეკუთვნის. „Der Mond ist aufgegangen, die goldenen Sterlein prangen am Himmel hell und klar; Der Wald steht schwarz und schweigt, und aus den Wiesen steiget der weiße Nebel wunderbar.“

ინტერპუნქციის თვალსაზრისით აქ გვაქვს მხოლოდ ერთი წინადადება. აქ საუბარია რთულ გავრცობილ წინადადებაზე, რომელიც შედგენილია მარტივი წინადადებებისაგან. ტრადიციული გრამატიკა საუბრობს წინადადების ერთ მთლიანობაზე. გრამატიკული თვალსაზრისით იმავე წინადადებიდან სრულიად შესაძლებელია მივიღოთ სულ ცოტა ოთხი წინადადება. „Der Mond ist aufgegangen. Die goldenen Sterlein prangen am Himmel hell und klar. Der Wald steht schwarz und schweigt. Und aus den Wiesen steiget der weiße Nebel wunderbar.“

წინამდებარე ნაშრომში წინადადების სემანტიკასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა მთლიანი დატვირთვა ვიტგენშტაინის მოსაზრებებზე მოდის, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა პეტერ ერნსტის რამდენიმე მოსაზრებაც, რაც მეტ - ნაკლებად წინადადების სემანტიკურ ნიუანსებს ეხება.

### კონიუნქცია (und)

Beispiele – Berlin ist die Hauptstadt Deutschlands und liegt an der Spree. (Die Gesammtheit ist Wahr)

Berlin ist die Hauptstadt Deutschlands und liegt an der Donau. (Die Gesamtheit ist falsch)

პირველი წინადადება შინაარსობრივად გამართულია. მიუხედავად იმისა, რომ მეორე წინადადებაში ერთი ნაწილი სწორია, და კერძოდ; „Berlin ist die Hauptstadt Deutschlands“ – „ბერლინი არის გერმანიის დედაქალაქი“, და მეორე ნაწილი არ არის სწორი „liegt an der Donau“ „მდებარეობს დონზე“, მთლიანი წინადადება კავშირ „und“ - ის „მიზეზით“ (წინადადების ერთ სწორ ნაწილს აპავშირებს მეორე არასწორ ნაწილთან) მაინც მცდარად ითვლება.

დისიუნქცია (inklusives)

Beispiele – Brüssel ist die Hauptstadt Belgiens oder die Zentrale der EU (beides zugleich ist möglich, die Gesamtheit ist wahr.)

Brüssel ist die Hauptstadt Belgiens oder die Zentrale der Nato (eines davon ist möglich, gesamtaussage ist Wahr)

პირველ წინადადებაში ბრიუსელი არის ბელგიის დედაქალაქი ან კიდევ ევროპის კავშირის რეზიდენცია. ორივე ვარიანტი დასაშვებია, აქედან გამომდინარე წინადადების შინაარსი სიმართლეს შეესაბამება. მეორე ვარიანტის მიხედვით „ბრიუსელი არის ბელგიის დედაქალაქი ან კიდევ ნატოს რეზიდენცია“. ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთია მხოლოდ დასაშვები, მაგრამ „oder“ - ის „ან კიდევ“ ფენომენმა განაპირობა მთლიანი გამონათქვამის სისწორე. მიუხედავად იმისა, რომ მეორე წინადადების მეორე ნაწილი არასწორია.

კონტრავალენტურობა (exklusives)

Beispiele – Brüssel ist größer oder kleiner als Berlin (Es kann nur eines zutreffen, beides zugleich ist nicht möglich, die Gesamtaussage ist daher falsch)

პირველ წინადადებაში, კონტრავალენტურობის შემთხვევაში როცა ბრიუსელზე, როგორც ბერლინთან შედარებით უფრო დიდ ან უფრო პატარა ქალაქზეა საუბარი, შეიძლება მხოლოდ ერთი იქნას სწორი. ამ ორი კომპარატივის ერთ დენოტატოან - ბერლინთან მიმართებაში გამოყენება აზრობრივად დაუშვებელია და ლოგიკურად მთელი გამონათქვამი არასწორია.

Brüssel ist kleiner als Berlin oder größer als Zürich (eines davon ist falsch, die Gesamtaussage ist daher wahr)

მეორე წინადადებაში, როცა ბრიუსელზე ბერლინთან დაკავშირებით, როგორც უფრო პატარა, ხოლო ციურისთან დაკავშირებით - უფრო დიდ ქალაქზეა

საუბარი, რომელიმე ნაწილის აზრობრივად არასწორ შემთხვევაშიც კი მთლიანი გამონათქვამი სიმართლეს შეესაბამება, რადგან თუ განსხვავებულ შინაარსის კომპარატიულ ფორმას თური განსხვავებული დენოტატი ესადაგება.

იმპლიკაცია (wenn – dann, nicht zu verwenden mit Implikatur)

Beispiele – Wenn Berlin an der Spree liegt, dann ist Brüssel die Hauptstadt Belgiens.  
(Gesammtaussage ist wahr)

მიუხედავად იმისა, რომ პირველ წინადადებაში წინადადების ორივე ნაწილს ერთმანეთთან არანაირი სემანტიკურ-ლოგიკური კავშირი არ გააჩნიათ, მაგრამ ცალ-ცალკე აღებული თითოეული ნაწილის აზრი სწორია, მთლიანი წინადადება სწორია.

Wenn Berlin an der Spree liegt, dann ist Brüssel die Hauptstadt der Schweiz.  
(Gesammtaussage ist falsch)

მეორე წინადადებაში წინადადების ერთი ნაწილი სწორია, ხოლო მეორე ნაწილი - არასწორი. და აქედან გამომდინარე, მთლიანი წინადადება არასწორია. ანუ წინადადების სისწორისათვის გადამწყვეტია არა ის, რომ ამ ორივე ნაწილს არანაირი ლოგიკურ - აზრობრივი ჯაჭვი არ აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ გადამწყვეტია ის, რომ მეორე ნაწილი მცდარია „პრიუსელი არ არის შვეიცარიის დედაქალაქი“.

ტავტოლოგია (gleiche Aussage: Aussage, die aufgrund ihrer Form immer wahr ist)

Beispiele – Beethoven ist tot oder er ist nicht tot

ტავტოლოგიის დროს გვაქვს იგივე გამონათქვამი, რომელიც მისი ფორმის სასიათიდან გამომდინარე ყოველთვის სიმართლეს შეესაბამება. მაგალითად; რაიმე არის სწორი ან არასწორი, და ამის დამტკიცება ან მანიფესტირება სხვა რაიმეს შეუძლია, აზრი სავსებით გამართულია და გასაგებია. „ბეთჰოვენი არის მკვდარი ან ის არ არის მკვდარი“ - ეს გამონათქვამი მის ლოგიკურ გაგრძელებაში რეცეპიუნტის მიერაც სწორად გაიგება და მისი აპერცეფციორებაც შესაბამისად მოხდება. მაგალითად, ეს „ლოგიკური გაგრძელება“ შეიძლება ასე ქლერდეს: ბეთჰოვენი ცოცხალია თუ მკვდარია, ამას მისი ნაწარმოებების შეფასებაში მნიშვნელოვანი როლი არ უკავია.

კონტრადიქცია (Widerspruch – Aussage, die auf Grund ihrer Form immer falsch ist.)

Beispiele - Beethoven ist tot und er ist nicht tot.

კონტრადიქციის დროს წინადადების კომპონენტებს შორის ისეთი წინააღმდეგობა არსებობს, რომ ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ და ამ ურთიერთგამორიცხვის ხასიათიდან გამომდინარე, მთლიანი გამონათქვამი და შესაბამისად, წინადადება არასწორია.

ახლა შევეხებით ვიტგენშტაინის თვალსაზრისს წინადადებასთან დაკავშირებით.

„ფაქტების ლოგიკური სურათი არის აზრები. ყველა ჭეშმარიტი აზრი ერთად ძლიერ სამყაროს სურათს.“

აზრები, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება წინადადებაში. წინადადებას აქვს თავისი აზრი და თითოეული ენობრივი ნიშანი ცალკე აღებული გადამწყვეტი არა. ადამიანი წარმოიდგენს საგანს, რომელიც წინადადებაში ენობრივი ნიშნის საშუალებით გამოიხატება. მაგალითად: Tische, Stühle Bücher.“

„წინადადება არის სინამდვილის სურათი. ჩვენ ვცნობთ წარმოდგენილ საგანს მაშინ, როცა წინადადებას ვიგებთ მისი აზრის აუხსნელად.“

- „Der Satz zeigt seinen Sinn.

Der Satz zeigt, wie es sich verhält, wenn er Wahr ist.

Und er sagt, dass es sich so verhält.

- Die Wirklichkeit muss durch den Satz auf ja oder nein fixiert sein.

Dazu muss sie durch ihn vollständig beschrieben werden.

Der Satz ist die Beschreibung eines Sachverhaltes.

- Einen Satz verstehen, heißt, Wissen was der Fall ist, wenn er wahr ist.

(Man kann also verstehen, ohne zu wissen, ob er wahr ist.)

Man versteht ihn, wenn man seine Bestandteile versteht.

- Die Bedeutung der einfachen Zeichen (der Wörter) muss uns erklärt werden, dass wir sie verstehen.

Mit den Sätzen aber verständigen wir uns.

- Es liegt im Wesen des Satzes, dass er uns einen neuen Sinn mitteilt.

Der Satz teilt uns eine Sachlage mit, also muss er wesentlich mit der Sachlage zusammenhängen.

Und der Zusammenhang ist eben, dass er ihr logisches Bild ist.

Der Satz sagt nur insoweit etwas aus, als er ein Bild ist.“

(Ludwig Wittgenstein: 1980გვ,32-37)

ვიტგენშტაინის მიხედვით, წინადადების აზრი გაიგო, ნიშნავს, მიხვდგ, ჩაუდრმავდე იმას, თუ რა მოხდება, მისი აზრი სინამდვილეს თუ შეესაბამება. ჭეშმარიტებაც მისი აზრით, ფიქსირებული უნდა იყოს „კიზე“ ან „არაზე“ წინადადებიდან გამომდინარე თუ კი წინადადება არის შეტყობინება რაიმე ფაქტის შესახებ, მაშინ ის დაკავშირებულია ამ ფაქტთან და ეს კავშირი ზუსტად არის სინამდვილიდან აღებული ფაქტების ლოგიკური სურათი - ხატი. აქედან მიღის ვიტგენშტაინი საბოლოო დასკვნამდე: წინადადება იმდენად არის ინფორმაცია რაიმეს შესახებ, რამდენადაც ის ხატია მისი.

წინადადებები, ჩვენი აზრით, შეიძლება აზრების ლოგიკურ-სტრუქტურულ ხატს წარმოადგენდეს, იმისგან დამოუკიდებლად, გათში ჩაქსოვილი აზრი სინამდვილეს შეესაბამება თუ არა.

### § 3. სამეტყველო აზროვნება თარგმნის პროცესში

მთარგმნელის ამოცანაა სხვა ენის საშუალებით მთლიანად და რაც შეიძლება დედანთან ახლოს გადმოსცეს მისი შინაარსი დედნისავე სტილისტიკური და ექსპრესიული თავისებურებების შენარჩუნებით. აქ უნდა შემოვიტანოთ ცნება თარგმნის „შესაძლებლობა „Kommensurabilität“. რაც გულისხმობს ფორმისა და შინაარსის ერთიანობას სამიზნე ენაში - ე.ი. თარგმანი გამოვიდა. თუ კარგი თარგმანის შეფასების კრიტერიუმი არის სხვადასხვა ენაზე გადმოცემული ინფორმაციის იდენტურობა, მაშინ შედარებით სრულყოფილ თარგმანად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ისეთი, რომელიც გადმოგვცემს ამ ინფორმაციას ორივე ენისთვის ტოლფასოვანი საშუალებებით, ანუ აქ საქმე ეხება თარგმნის პროცესში იმ ლინგვისტური საშუალებების მიზნობრივ გამოყენებას, რაც ერთი და იმავე აზრის ორივე ენაში სწორი გადმოცემის აუცილებელი წინაპირობაა.

წერილობით თარგმნისას ტექსტის წინასწარი წაკითხვა და ანალიზი საშუალებას იძლევა წინასწარ განვსაზღვროთ შინაარსის ხასიათი, მასალის იდეური განწყობა და სტილისტიკური თავისებურებები, რათა თარგმნისას ენობრივ საშუალებათა არჩევის კრიტერიუმი გვქონდეს. აქ უკვე მთარგმნელი იწყებს კომუნიკაციას დენის ავტორთან გაუცნობიერებლად, რათა შემდეგ გაცნობიერებულად გადასცეს ეს თარგმანის რეცეპტორებს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ანუ ტექსტის წინასწარი წაკითხვისა და ანალიზის დროს, საფუძველი ეყრება მეტაკომუნიკაციის ფენომენს ანუ კომუნიკაციას კომუნიკაციის შესახებ. ამისათვის მთარგმნელი მუდმივად ეძებს როგორც ცალკეულ სიტყვებს, ასევე სიტყვათშეთანხმებებსა და ფრაზეოლოგიური გამონათქვამების ეკვივალენტებს. გამოდის რა ერთი კულტურიდან, მისი სპეციფიკიდან, ის ამით ახდენს კულტურული სპეციფიკის ზედმიწევნით ფაქტს და ლინგვოკულტუროლოგიურად გამართლებულ ტრანსპოზიციას სამიზნე ენაში. აქ კულტურულ-კონტექსტური მნიშვნელობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მთარგმნელი ვერ დაეყრდნობა მხოლოდ ლექსიკონს (გამონაკლისია მხოლოდ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი), არამედ ამოსავალი და სამიზნე კულტურების მენტალიტეტის კარგ ცოდნას.

ჩვენი მოსაზრების საუკეთესო არგუმენტაციად შეიძლება მოვიყვანოთ ერთ-ერთი პასაჟი ქალბატონი დალი ფანჯიკიძის წიგნიდან, სადაც ივანე მაჩაბელი და

ილია ჭავჭავაძე მთრგმნელობითი შესაძლებლობებისადმი ზედმიწევნით პრეტენზიული არიან, რაც, ჩვენი აზრით, სამეტყველო აზროვნების საოცრად დახვეწილი გემოვნების დემონსტრირებაა თარგმნის პროცესში. „ეშირად თითო ფრაზა თითო სათს აწვალებს მთარგმნელებს. ხან ავტორის აზრის ამოხსნა ძნელდება, ხანაც ქართულად გადმოტანა. შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნისას ივანე მაჩაბელს და ილია ჭავჭავაძეს ერთ სურათში სტრიქონების თარგმნა გაუჭირდათ, თუმცა საბოლოოდ მიზანი მაინც მიღწეულ იქნა; ..... „ყელთ მიძღვნილო სალმობანო, ნუ დამახრჩობთ მე!“ არც ეს მოეწონებათ მთარგმნელებს და ისევ წაშლიან. „შიგნეული სულ ამერია, ყელთ მომებჯინა“, უკარნახებს ილია, მაგრამ სწრაფადვე დაატანს: „წაშალე, არ გამოდგება“ ..... „ყელთ მიძღვნილო სალმობანო, ძირსა დაეშვით“ - წერს მაჩაბელი, მაგრამ ილიას არც კი წააკითხებს, ისე წაშლის.... ისევ უქმაყოფილოდ გაიქნევს თავს ახალგაზრდა მწერალი, და კალამს მოიმარჯვებს, რომ ახალი ვარიანტი დაიწყოს, დაწერს კიდევ რამდენიმე სიტყვას: „გულის ტკივილნო, სალმობანო, წარვედით ჩემგან“..... თან წერს და თან ხმამაღლა კითხულობს მაჩაბელი, მაგრამ დამთავრებას ილია არ აცლის: ჩინებულიაო, წამოიძახებს იგი და თვითონვე ჩამოყალიბებს ორივე სტრიქონს: „ეშმაკეულნო სალმობანო, წარვედით ჩემგან და შენც, ნაღველავ, გულს მომდგარო, ძირსვე დაეშვი“....“

საყოველთაოდ აღიარებული ენობრივი კონვენციების მიხედვით, თარგმანშიც არსებობს ეწ. „ტრადიციული ეკვივალენტური შესატყვისობანი,“ რომლებსაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოს მთარგმნელმა და გადაიტანოს სამიზნე ტექსტში. ამ შემთხვევაში მას თავისუფალი არჩევანის უფლება არა აქვს. ეკვივალენტის გამოყენებაზე უარის თქმა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა იყოს გამართლებული კონტექსტისა ან გარემოს განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რაშიც მას დედნის კულტურის როგორც რეცეფცია, ასევე პერცეფცია უზომოდ დიდ დახმარებას გაუწევს.

ჩვენი აზრით, ეს თეზისი ვრცელდება ლინგვისტური და არა ფილოსოფიური თარგმანის პარამეტრებზე.

ერთი და იგივე მეტყველებითი ფორმა შეიძლება ასრულებდეს სხვადასხვანაირ ფუნქციას იმის მიხედვით, თუ როგორ შეესატყვისება ერთმანეთს სხვადასხვა ენობრივი და არაენობრივი ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ დედნის აზრების, გრძნობებისა და აღქმის სწორი გამოხატვისათვის მთარგმნელს შეუძლია

მიმართოს ლოგიკას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიასა და რა თქმა უნდა ლიტერატურათმცოდნეობასაც, მისი შრომის ბაზისს მაინც ტექსტი და უცხოური პულტურის კარგი ცნობა წარმოადგენს.

სამეტყველო აზროვნებას რომ არა მარტო ლინგვისტური ხასიათი აქვს თარგმნის პროცესში, ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ შესაძლებელია მთარგმნელი ფსიქოლოგიურად უფრო ღრმად და ფილოსოფიურადაც უკუთხსად ერკვეოდეს იმ პრობლემებში, რომლებიც წამოჭრილია დედანში, ვიდრე ავტორი, მაგრამ მთარგმნელს არა აქვს უფლება მიუდგეს ამ პრობლემების აღქმა-გადაჭრას მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით, თუმცა ამ პრობლემებში კარგად გარკვევა მას თარგმნის პროცესს გაუადვილებს.

### დახმა

ეს თავი ეთმობა იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ეხება ფილოსოფიური აზროვნების როლს ენის ლოგიკასა და ენობრივ სტრუქტურაში. აქედან გამომდინარე, ენის სტრუქტურას ვუკავშირებო ყველა იმ ენობრივი გამოხატვის საშუალებათა ერთიანობას, რაც ნებისმიერი და განსაკუთრებით ფილოსოფიური აზროვნების არაერთმნიშვნელოვან და კრეატიულ პრეზენტაციას ემსახურება, ანუ ვტოვებო ვარაუდების, წარმოდგენების დაშვება-განხილვის შესაძლებლობას ენის ლოგიკის სპეციფიკიდან გამომდინარე.

აღნიშნულ თავში საუბარია ასევე ორი უმნიშვნელოვანები ფენომენის „ენისა“ და „აზროვნების“ ურთიერთმიმართების პრობლემასა და დამოკიდებულებაზე, რომელთა უფრო თვალსაჩინოდ გამოხატვისათვის, მოცემულ თავში ვეუღდნობით პუმბოლდტის, ვიტგენშტაინისა და ნიცშეს ცნობილ მოსაზრებებს.

პუმბოლდტან ენა აზროვნების წარმომქმნელი ორგანოა, ის დამოუკიდებელია - თავისუფალია.

ვიტგენშტაინიც იმავე აზრისაა, მაგრამ გამოხატვა და ჩაღრმავება პრობლემაში, მასთან უფრო ბევრად ფილოსოფიური ხასიათისაა და შესაბამისად, განსხვავებულ შტრიხებსაც იძებს. მისი აზრით: „ენა ღერძია აზროვნებისა“, „ენა სიტყვიერ სამოსელში ახვევს აზრებს“.

ნიცშესთან სინამდვილეს არა აქვს ენასთან და აზროვნებასთან პირდაპირი დამოკიდებულება. მისთვის ენა და აზროვნება კონტრუქციებია სინამდვილესთან მიმართებაში, რასაც თავისთავად კიდევ სხვა ენობრივ პრობლემებთან მივყავართ.

აღნიშნულ თავში შეძლებისდაგვარად მოვახდინეთ ფილოსოფიური აზროვნების პრობლემური პარამეტრების ენის სტრუქტურაში ექსტრაპოლიტრება, რაც ენის ლოგიკის არსიდან გამომდინარე, ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების წარმატებული დემონსტრირების კიდევ ერთი წინაპირობაა.

ჩვენ გავაანალიზეთ წინადადების ფენომენი, როგორც აზრების ლოგიკურ-სტრუქტურული ხატი, სემანტიკურად და სტრუქტურულად პეტერ ერნსტისა და ვიტგენშტაინის თეორიებსა ნააზრევზე დაყრდნობით და მივედით იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია იმ წინადადებათა აზრის გაგება, რომელთა შესახებაც ადრე არაფერი გვხმენია. ეს შესაძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ წინადადება არის სიტყვებისა და სასვენი ნიშნების კომბინირება, სადაც აზრის სისტორე და მისი, როგორც სინამდვილის ხატის სტორი აღქმა გამომდინარეობს წინადადების კომპონენტების ურთიერთკავშირიდან, რაც ერთ სემანტიკურ მთლიანობას იძლევა.

ჩვენი აზრით ერთია, რომ წინადადების აზრი სტორია ან არასტორი, მეორეა, რომ წინადადებასაც ვიგებთ და თან იმ არასტორ ფაქტორსაც კი.

ვფიქრობთ, რომ წინადადების ზემოთ მოყვანილი პარამეტრები ბაზისია იმისა, რათა წარმატებით განხორციელდეს ლინგვისტურ-ფილოსოფიური თარგმანი. თუკი მთარგმნელი ყოველივე ამას გაითვალისწინებს, მაშინ ზედნაშენიც (ფილოსოფიური თარგმანი) შედგება და შესაბამისად აღქმული და გაგებული იქნება რეციპიენტის მიერ.

## თავი II - თარგმნის ფენომენის ფილოსოფიურ განზომილებაში აღქმა

### § - 1 თარგმანისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება ლინგვისტურ - ფილოსოფიურ პრიზმაში

ლინგვისტური ფილოსოფია არის ფილოსოფიის ერთი ნაწილი, რომელიც ენის ფენომენით და მისი დამოკიდებულებით სინამდვილესა და აზროვნებასთან არის დაინტერესებული. ყოველივე ამას წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში პირველ თავში ლოგიკას ვუკავშირებთ, რადგან ენის ფილოსოფიის პარამეტრს ენის ლოგიკური სტრუქტურის ანალიზიც განეკუთვნება. ენის ფილოსოფიის ცნობილი წარმომადგენლები არიან ლუდვიგ ვიტგენშტაინი, გილბერტ რაილი, ჯონ აუსტინი და პეტერ სტრაუსი. ფილოსოფიური ანთროპოლოგია იკვლევს ადამიანის არსეს, ამ მიმდინარეობის ცნობილი წარმომადგენელია ერნსტ კასირერი, რომლის მიხედვითაც ადამიანის ენობრივი უნარ-ჩვევები და აგრეოვე სხვადასხვა ერის ენებს შორის სხვაობები ერთი საერთო გონით არ აიხსნება და ის ამის არგუმენტირების დროს პუმბოლდტის მოსაზრებებს ეყრდნობა. ე.ი ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ენის არსებობა განსხვავებული გონისა და მენტალიტეტის თავისებურებებით აიხსნება. პუმბოლდტის ამ თეზისის განხილვა, არ შედის ამჟამად ჩვენი საკვლევი ინტერესის სფეროში და სცილდება ამ სადისერტაციო ნაშრომის მიზანს.

პუმბოლდტთან ენა არ არის საგანი, არამედ ენასთან კონსტრუირდება ე.წ. განმარტებითი ასოცირება, რომლის ჩარჩოებსაც ის აღნიშნავს როგორც „სამყაროს“. სამყაროს კანტისეული ცნება, როგორც ტრანსცენდენტალური იდეები, მიუთითებს ენობრივის მოდელზე, რადგანაც ენის საშუალებით ხდება სამყაროს აღქმა-გახსნა. ენის საშუალებით დემონსტრირდება დაპირისპირება სამ შემდეგ ფენომენს შორის: სამყარო, მისი არსი და წარმოდგენა სამყაროს შესახებ. პუმბოლდტთან ენა სხნის ენობრივ სამყაროს. მისთვის ინდივიდუალურობა წარმოადგენს იმ წინაპირობასა და მცდელობას, რომლის საშუალებითაც ინდივიდი და მისი ენობრივი თვალსაზრისი სამყაროს შესახებ ერთ მთლიანობად აღიქმება. პუმბოლდტი ენასა და წარმოდგენას განასხვავებს ერთმანეთისგან, როგორც „ნაწარმოებს“ (Ergon) და მოღვაწეობა-ქმედებას (Energeia). ჩვენი აზრით,

პუმბოლდტან ზეპირი და წერითი მეტყველების საშუალებით ენა უპირველეს ყოვლისა მის რეალურ-ყოფით სახეს იძენს.

ეს ნიშნავს, რომ არსებობს ენა, რომელიც მის „სამყაროს“ ხსნის და სამყარო, რომელიც მის საკუთარ ენას ხსნის. პუმბოლდტის აზრით, ენისა და „სამყაროს“ სიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების ლოგიკური შედეგია ძირეული-ბაზისური სიტყვები (Grundwörter). სწორედ პოეტები და მოაზროვნები გვევლინებიან, როგორც უზურპატორები ამ ძირეული სიტყვებისა.

ძირეული სიტყვების თარგმნა დიდ სირთულეს წარმოადგენს. თარგმნის დროს უნდა განხორციელდეს როგორც შესაბამისი ენობრივი ასევე კულტურული სამყაროს ადეკვატური გადატანა, ანუ თარგმანისთვის გვჭირდება არა მარტო თარგმანის ლინგვისტიკის კარგი ცოდნა, არამედ ამოსავალი ენისა და მისი კულტურის სულის და ფიქრების რიგორც აღქმა, ასევე გაგება და შემდეგ გათავისება. როცა ვთარგმნით უცხო ენიდან მშობლიურ ენაზე, ამ დროს ვიწყებთ აზროვნებას იმ ორიგინალის ენაზე, სანამ მას გადმოვიტანდეთ საკუთარ ენაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება ასეთ ერთი შეხედვით კურიოზულ, მაგრამ თარგმნის ფილოსოფიურ ჭრილში ბუნებრივ მოვლენასთან გვქონდეს საქმე. მაგალითად, ცნობილი გერმანელი მთარგმნელის, პროფესორ იურგენ ბრანკელის აზრით (რომელიც რომანებსა და ფილოსოფიური ხასითის ტექსტებს თარგმნის გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე), მთარგმნელმა შეიძლება ზოგჯერ უფრო კარგად გაიგოს მის მიერ მშობლიური ენიდან უცხო ენაზე ნათარგმნი ტექსტის არსი, ანუ ის თუ რისი თქმა სურდა ავტორს, ვიდრე ეს მას მშობლიურ ენაზე ხელეწიფებოდა. ამას ახსნა, ჩვენი აზრით, შეიძლება მხოლოდ ფილოსოფიურ პრიზმიში მოვუძებნოთ. მომდევნო თავებში ვეხებთი და ჩვენეულ მოსაზრებას ვაფიქსირებ ფილოსოფიური თარგმნის შესახებ, სადაც პრიორიტეტს ვანიჭებთ მშობლიურიდან უცხო ენაზე თარგმნას, ანუ უკეთესად ვიგებ მშობლიურ ენაზე შექმნილი ტექსტის აზრს-არსს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოსენებული მთარგმნელის შემთხვევაში გადამწყვეტ როლს მკვეთრად გამოხატული ბილინგუალიზმის ფენომენი თამაშობს, რამაც უფრო მეტი შედეგი მშობლიურიდან უცხო ენაზე აზრის ტრანსფორმაციის შემდეგ გამოიღო.

პალიან ბევრი თვალში საცემი სიმნივე თარგმნისა ავლენს ენობრივ სამყაროს. გაგება და განსჯაც მოითხოვს ენაში ძირეული სიტყვის გადათარგმნას. ფიქრობენ, რომ „გადათარგმნა“, ეს არის ერთი ენიდან სხვა ენაში გადატანა, და

პირიქით, სხვა ენიდან დედაენაში გადმოტანა. ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რომ ნამდვილად ვთარგმნით ენას, რომელიც ჩვენი დედაენაა საკუთარ ყოფიერებაში. საუბარი ან მეტყველება არის ჩვენს ენაში ჩვენივე აზრების გადათარგმნა, რომელთა ყოფიერება მასში არაფრით არ იხსნება. შეიძლება ითქვას, რომ მენტალურად გადასათარგმნი და ნათარგმნი სიტყვები სხვადასხვა ენას მიეკუთვნება. ნებისმიერ საუბარში, თუნდაც საკუთარ თავთან საუბარშიც კი ბატონობს თავდაპირველი თარგმანი.

ვიტგენშტაინის კონცეფცია „ენობრივი თამაში“ წარმოადგენს ლიტერატურულ პასაჟს, რომელშიც გამონათქვამის ან წინადადების მნიშვნელობა დამოკიდებულია მის პრაგმატულ გამოყენებასთან. Das Wort «Sprachspiel» soll hier hervorheben, dass das Sprechen der Sprache ein Teil ist einer Tätigkeit, oder einer Lebensform.» (Wittgenstein, Ludwig 2003: §§ 21, 22, 23.)

ჩვენი აზრით, ეს მინიშნებაა იმაზე, რომ ენა გაიგება, როგორც ენობრივი თამაში „ენასა და გონის მოღვაწეობას“ შორის, რომელიც იმ სტრუქტურული ველის სემანტიკურ ხასიათზე მიუთითებს, სადაც ის თავისებურ აზრობრივ გამოხატულებას იძენს და აქვე კიდევ ერთხელ კვეთუნ ერთმანეთს სტრუქტურული და სემანტიკური ფაქტორები.

ენა, ვიტგენშტაინის აზრით, მოითხოვს და საჭიროებს გარეენობრივ პარტნიორს, რომელიც მის რეალიზაციას მოახდენს კომუნიკაციაში. ენაში არსებული ე.წ. „წესრიგი“ მოდის ენობრივი საფუძვლებიდან. ეს გარე და წინა ენობრივი მოცემულობები, რომელსაც ვიტგენშტაინი „ცხოვრების ფორმითაც“ აღწერს, არსებობს აზრის სემანტიკურ ველშიც, სადაც ერთის მნიშვნელობა მეორის მნიშვნელობას განაპირობებს. ორივე ერთად კი წარმოადგენს მნიშვნელობათა ჩარჩოებს, სადაც ისინი, შეიძლება ითქვას, ურთიერთთარგმანს აკვთებენ.

ვიტგენშტაინს აქ მოჰყავს მაგალითი ფეხბურთელთა თამაშისა და სიტუაციის შესახებ, სადაც ყურადღება გამახვილებულია მოთამაშესა და თავის მეწყვილეს შორის საუბარზე, გადაძახილსა და მათ ლექსიკაზე, რომლებიც იმ მომენტის სიტუაციისათვისაა დამახასიათებელი. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია სამეტყველო ქმედებასა და ცხოვრების ფორმაზე, მაგრამ სიტუაცია ან კიდევ კონტექსტი ძირითად როლს თამაშობენ: სწორედ ისინი ანიჭებენ სიტყვას მნიშვნელობას, რაც იმპლიციტურადაა მოცემული. აღნიშნული მნიშვნელობა ეხება

სიტუაციას-კონტექსტს და მათ წითელ ზოლივით გასდევს. აქ ხშირ შემთხვევაში ე.წ. „ენობრივ თამაშთან“ და „ცხოვრების ფორმასთან“ დაპატირებული საუბრის ფორმები და ენის სტილი ასოცირდება. ცხოვრების რეალიების ფორმებიდან გამომდინარე, ვიტგენშტაინს მოჰყავს მაგალითები პრაგმატული ლინგვისტიკის ტექსტის კატეგორიებიდან გამომდინარე, რომლებსაც ის „თხოვნას“, „ბრძანებას“, „მადლობის გადახდას“ და ა.შ. უწოდებს. ამით მას სურს გამოხატოს, რომ ენა თავისი აზრის რეალიზებასა და პრეზენტირებას ცხოვრების განსაზღვრულ ფორმაში ახორციელებს. ცხოვრების ფორმა და მოქმედება განიხილება მათი ძირითადი სიტუაციების სპეციფიკიდან გამომდინარე. „თხოვნა“ სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებულია, შესაძლებელია ის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოითქვას. „თხოვნა“ შესაძლებელია გამოიხატოს ირონიულად და პირიქით, „თხოვნას“ შესაძლებელია პქონდეს გარკვეული ფორმა, რაშიც ის ბრძანების ან კიდევ თანაგრძნობის ნიუანსებს შეიცავს. ამ შემთხვევაში ენობრივი ფორმისა ან ქმედების განსხვავებას კი არ აქვს ადგილი, არამედ ცხოვრების ფორმის განსხვავების მანიფესტირება ხდება განსხვავებული სიტუაციისა და კონტექსტის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სწორ გაგებასა და ახსნაზე, ან კიდევ ერთი მენტალური სფეროდან მეორეში გადატანაზე, ანუ იმავე თარგმნაზე (Verstehen, Erklären und Übersetzen). „მადლობის გადახდის“, „ბრძანების გაცემის“ ლექსიკური რეპერტუარი განსხვავებულია ამოსავალ და სამიზნე ენებში. და ეს გასაგებიცაა, რადგან შეელაფერი განპირობებულია იმით, თუ რამდენად არის ენა დამოკიდებული ჩვენი მენტალური წარმოდგენის სფეროსა და შემდგომ ამ სფეროს რეალიზებაზე: ენის გაგებისას ძირითადი გაგებინება (Verständigung) ნებისმიერი სიტუაციისათვის აუცილებელია, ანუ აქ საუბარია იმაზე, რომ როცა გაგებინება სიტუაცია-კონტექსტზეა დამოკიდებული, აუცილებელია ჯერ გავიგოთ იმის არსი, თუ რას ემყარება ესა თუ ის სიტუაცია ან კიდევ კონტექსტი, რათა სწორად და ზუსტად გავიგოთ ენა და შემდეგ მისი პრაქტიკაში განხორციელების კოლოკაციური ნიუანსი.

სიტუაციის გაგებინება დამოკიდებულია სხვა სიტუაციის გაგებინებაზე, ისევე როგორც კონტექსტის გაგება-გაგებინება სხვა კონტექსტის გაგება-გაგებინებაზე. ეს კი წარმოადგენს მთლიან სიტუაციურ-კონტექსტურ ველს, რომლებიც ერთმანეთთან ონომასიოლოგიურად (ლინგვისტურად) და ისტორიულადაც კი მჭიდროდ არიან

დაკავშირებული. ყოველივე ამის გონიერივი რეალიზება რომ მოხდეს, უნდა ვიცოდეთ თუ რა იგულისხმება ერთი სიტყვის-ცნების ან ენის გაგების ჭრილში. ვიტგენშტაინს პქონდა ამ ფენომენთა კომპლექსზე წარმოდგენა, მაშინ, როცა მან მრავალდიმერზოონალური სტრუქტურა სიტუაციისა, მოქმედებისა და ენისა ერთ დიმენზიაში გააერთიანა, მოაქცია. ვიტგენშტაინი მიუთითებდა: „ძაფის სიძლიერე, სიმაგრე მდგომარეობს არა იმაში, რომ რომელიდაცა ბოჭკო თავისი მთლიანი სიგრძით გასდევს ქსოვილს, არამედ იმაში, რომ ბევრი ბოჭკო ერთმანეთს ამაგრებს და ერთმანეთშია ჩახლართული“.

ზემოთ აღნიშნულმა ფენომენალურმა კონსტელატებმა უნდა უჩვენოს, თუ როგორ უნდა გადავიდეს ენა ერთი კულტურის მენტალიტეტიდან მეორეში, რათა მისი ნიუანსებში გაგებაც კი შესაძლებელი გახდეს. ენა თვითონ მუშაობს თავისი შესაძლებლობების პირობებზე. ენით ყოველთვის განსაზღვრება საკუთრივ აზრობრივი ველი და სიტუაცია, რომლებიც მოქმედებისათვის არიან განპირობებულნი.

### დახმარებელი

ბოლოს შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ენა არა მხოლოდ მჭიდროდ უკავშირდება სიტუაციას (კონტექსტს) და სამყაროს, არამედ ის გვევლინება შუამავლად ამ ორივე ინსტანციას შორის. დიახ, ყოველი სიტუაციას უკავშირდება სამყაროს და პირიქით, სამყარო ყოველთვის სიტუაციურობიდან გამოდის: ის მოდის ენაში ენობრივი გამოხატულებით. მასში და მასთან ერთად ხდება შუამავალიც და ითარგმნება კიდევაც. ენა ეს არის ორიგინალური მთარგმნელი სიტუაციასა და სამყაროს შორის ინტრალინგვისტურ ფარგლებში, ხოლო სხვადასხვა სიტუაციასა და სამყაროს შორის ინტერლინგვისტურ პარამეტრებში.

## § 2 რა არის ფილოსოფიური თარგმანი?

დერიდას მიხედვით თარგმანი „პასაჟია ფილოსოფიის მიმართ.“

ჩვენი აზრით, თარგმანი პასაჟი კი არაა ფილოსოფიის მიმართ, არამედ მისი სტიმული.

სხვანაირად, მთარგმნელს შეუძლია ფილოსოფიამდე, ხატოვნად რომ ვთქვათ, „სათარგმნი კიბის“ დახმარებით ააღწიოს და შემდეგ კი სათრგმნი კიბე გადააგდოს და ფილოსოფიის პრიზმიდან გამომდინარე კომბინაციაში განავითაროს თარგმანის თეორიული საფუძვლები.

ბორის ბუდენის მიხედვით ცნება „თარგმანი“ -ს წყარო კულტურის თეორიაში ძეგს. აქ ის, შეიძლება ითქვას, თავის „სახლშია“. ფილოსოფიასთან ის „სტუმრადაა“, „უცხო ქვეყანაშია.“ არსებობს კი პერსპექტივა თარგმნის ცნების ფილოსოფიური დომესტიციორებისა (მოშინაურება, გადმოტანა, ნოსტრიფიცირება)? სხვანაირად, შესაძლებელია თუ არა თარგმანი, როგორც ფილოსოფიური ცნება, როგორც თეორიული უნივერსალიზმის ფილოსოფიური მოდელი მოვიაზროთ?

მაგალითად: რას ნიშნავს ფილოსოფიური თარგმანი? ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითისათვის ცნობილი გერმანელი ნოველისტის ვოლფ გონდრაჩეკის მოკლესიუჟეტიანი მოთხრობა (ე.წ. Kurzgeschichte) „Mittagspause“, სადაც მთავარი მოქმედი პირია „Sie“ – „ის“. სათაურიდან გამომდინარე ქართული აულტურის მატარებლისათვის რთული გასაგებია თუ ვინ იგულისხმება ამაში. უცნობია მისი ასაკი, მაგრამ გერმანული პირის ნაცვალსახელით - Sie მიგვანიშნებს, რომ ის მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. ავტორის გმირი უცნობია მკითხველისათვის და შესაბამისად, მთარგმნელისთვისაც.

### „Mittagspause“

Sie sitzt im Straßencafé. Sie schlägt sofort die Beine übereinander. Sie hat wenig Zeit. Sie blättert in einem Modejournal. Die Eltern wissen, daß sie schön ist. Sie sehen es nicht gern. Zum Beispiel. Sie hat Freunde. Trotzdem sagt sie nicht, das ist mein bester Freund, wenn sie zu Hause einen Freund vorstellt. Zum Beispiel. Die Männer lachen und schauen herüber und stellen sich ihr Gesicht ohne Sonnenbrille vor. Das Straßencafé ist überfüllt. Sie weiß genau, was sie will. Auch am Nebentisch sitzt ein Mädchen mit Beinen. Sie haßt Lippenstift. Sie bestellt einen Kaffee. Manchmal denkt sie an Filme und denkt an Liebesfilme. Alles muß schnell gehen. Freitags reicht die Zeit, um einen Cognac zum Kaffee zu bestellen. Aber freitags regnet es oft. Mit einer Sonnenbrille ist es einfacher, nicht rot zu werden. Mit Zigaretten wäre es noch einfacher. Sie bedauert, daß sie keine Lungenzüge kann. Die Mittagspause ist ein Spielzeug. Wenn sie nicht angesprochen wird, stellt sie sich vor, wie es wäre, wenn sie ein Mann ansprechen würde. Sie würde lachen. Sie würde eine ausweichende Antwort geben. Vielleicht würde sie sagen, daß der Stuhl neben ihr besetzt sei. Gestern wurde sie angesprochen. Gestern war der Stuhl frei. Gestern war sie froh, daß in der Mittagspause alles sehr schnell geht. Beim Abendessen sprechen die Eltern davon, daß sie einmal jung waren. Vater sagt, er meine es nur gut. Mutter sagt sogar, sie habe eigentlich Angst. Sie antwortet, die Mittagspause ist ungefährlich. Sie hat mittlerweile gelernt, sich nicht zu entscheiden. Sie ist ein Mädchen wie andere Mädchen. Sie beantwortet eine Frage mit einer Frage. Obwohl sie regelmäßig im Straßencafé sitzt, ist die Mittagspause anstrengender als Briefeschreiben. Sie wird von allen Seiten beobachtet. Sie spürt sofort, daß sie Hände hat. Der Rock ist nicht zu übersehen. Hauptsache, sie ist pünktlich. Im Straßencafé gibt es keine Betrunkenen. Sie spielt mit der Handtasche. Sie kauft jetzt keine Zeitung. Es ist schön, daß in jeder Mittagspause eine Katastrophe passieren könnte. Sie könnte sich sehr verspäten. Sie könnte sich sehr verlieben. Wenn keine Bedienung kommt, geht sie hinein und bezahlt den Kaffee an der Theke. An der Schreibmaschine hat sie viel Zeit, an Katastrophen zu denken. Katastrophe ist ihr Lieblingswort. Ohne das Lieblingswort wäre die Mittagspause langweilig.

(Wolf Wondratschek: 1969, 83.52-53)

## „შესვენება“

ის ფქი ფეხზე გადადებული ზის ქუჩის დია კაფეში. დრო ბევრი არა აქვს. ფურცლავს მოდის ჟურნალს. მშობლებმა იციან, რომ თავიანთი შვილი ლამაზია, თუმცა ეს ფაქტი სასიამოვნოდ არ მიაჩნიათ. მაგალითად: მას პყავს მეგობრები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოჯახში არასდროს წარადგენს მათ, როგორც თავის საუკეთესო მეგობრებს. ისეც ხდება ხოლმე, რომ მამაკაცები სიცილით მისკუნ იყურებიან და ცდილობენ წარმოიდგინონ მისი სახე მზის სათვალის გარეშე. დია კაფეში ხალხმრავლობაა. მან ზუსტად იცის, თუ რა სურს. გვერდით მაგიდასთან ზის შოლტივით გოგო გრძელი ლამაზი ფეხებით. მას ეჯავრება პომადა. ის ყავას უკვეთავს. ზოგჯერ ფიქრობს ფილმებზე და მათ შორის სასიყვარულო ფილმებც. მთავარია, ტემპი შეინარჩუნოს. პარასკეობით საქმარისი დროა ყავასთან ერთად კონიაკიც რომ შეუკვეთოს, მაგრამ პარასკეობით ხშირია წვიმები. სათვალით უფრო ადვილია რომ არ შეგამჩნიონ სახეზე სიწითლე, რაც სიგარეტით უფრო იოლი იქნებოდა. დასანანია, რომ ღრმა ნაფაზის დარტყმა არ შეუძლია. შესვენება მისთვის თამაშია. თუ მას არ გამოელაპარაკებიან, ის წარმოიდგენს, თითქოს ის თვითონ გამოელაპარაკება მათ, მამაკაცებს. ფიქრებში ის გაიცინებდა და პირდაპირ პასუხს თავს აარიდებდა. ალბათ ის იტყოდა, რომ მის გვერდით სკამი დაკავებულია. გუშინ მას გამოელაპარაკნენ და ამ დროს მის გვერდით სკამი თავისუფალი იყო. გუშინ მას უხაროდა, რომ შესვენებაზე ყველაფერი კარგად მიდიოდა. ვახშამზე მშობლები საუბრობენ იმაზე, რომ ისინიც ოდესლაც ახალგაზრდები იყვნენ. მამა ამბობს, რომ ის ამით მხოლოდ კარგ რამეს გულისხმობს, ხოლო დედა იმასაც კი ამბობს, რომ მას ეშინია. ის კი პასუხობს, რომ შესვენება უსაფრთხოა. მან ამასობაში გადაწყვეტილების მიღება ისწავლა. ისიც ისეთივე გოგონაა, როგორც სხვა დანარჩენი. ის შეკითხვას შეკითხვითვე პასუხობს. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვეულ დროს დია კაფეში ზის, მისთვის ეს შესვენება მეტი დაძაბულია, ვიდრე წერილების წერა. მას ყველა მხრიდან აკვირდებიან. ის გრძნობს, რომ მას ლამაზი ხელები აქვს. ქვედაკაბის არშემჩნევა არ შეიძლება. რაც მთავარია, ის არის პუნქტუალური. დია კაფეში მოვრალები არ არიან. ის თავის ხელჩანთას ეთამაშება. აღარ ყიდულობს გაზეთს. რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველ შესვენებაზე კატასტროფა მოხდებოდეს. მაშინ მას შეეძლებოდა დაგვიანება სამსახურში, მაშინ მას შეუყვარდებოდა ვიდაცა. თუკი ოფიციანტი არ მოდის, მაშინ ის პირდაპირ მიდის ბართან და იხდის ყავის ფულს.

საბეჭდ მანქანასთან მას ბევრი დრო აქვს კატასტროფაზე ფიქრისთვის. კატასტროფა მისი საყვარელი სიტყვაა. საყვარელი სიტყვის გარეშე შესვენება მოსაწყენი იქნებოდა.

ეს ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანია და უნდა ვაღიაროთ, რომ დედანი ძალიან რთული სათარგმნი აღმოჩნდა. თარგმნის პროცესში ურთულესი იყო ავტორის ძირითადი აზრის ამოცნობა და გაჩნდა კითხვა, თუ რამდენად მოახერხა ავტორმა თავისი ძირითადი აზრის გადმოტანა ტექსტში და რა იმალებოდა ამ პატარა ტექსტის თითოეული სიტყვის თუ ფრაზის მიღმა, რაც შეიძლებოდა უმნიშვნელოვანესი ყოფილიყო ტექსტის აღსაქმელად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, როგორც გამოუცდელ მთარგმნელს ასე თუ ისე გამოგვივიდა თარგმანი, რა თქმა უნდა ლინგვისტური გადმოსახედიდან, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ შევძლით იმავე ტექსტის ფილოსოფიური თარგმნა. ვფიქრობთ, ფილოსოფიური თარგმნის პროცესი წარვმართეთ, მაგრამ მივიღეთ უთარგმნელობის შედეგი. აქ უკვე ქართველმა ძკითხებელმა უნდა გამოიტანოს განაჩენი, გამოვიდა თუ არა თარგმანი როგორც ლინგვისტურ, ასევე ფილოსოფიურ ჭრილში.

იმის გამო, რომ არც სახელი და არც ასაკი მოქმედი პირისა ნახსენები არ არის, ასევე არაა რაიმე მის მშობლებზეც ცნობილი (გარდა იმისა, რომ მათ არ მოსწონთ შვილის ხშირი ხტუმრობა კაფეში), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების, არამედ მთელი მისი განზოგადებული თაობის ბედზეა საუბარი. ე.წ. პროტაგონისტულ და ანტაგონისტულ ფენომენებზე მინიშნებით და ყოველივე ამის შესაბამისი გადატანით სამიზნე ენაში ჩვენი აზრით, ხორციელდება ფილოსოფიური თარგმანი და კერძოდ, მისი ერთი სახე: ძირითადაზრობივი ფილოსოფიური თარგმანი. ჩვენი აზრით, ძირითადი აზრი ნაწარმოებისა სწორედ ნაცვალსახელში - „Sie“ არის ჩადებული, ანუ, მთარგმნელისათვის პრობლემურია თარგმნა და შესაბამისად, რთულია აღნიშნულ ნაცვალსახელში ფიქსირებული ავტორის ძირითადი აზრის გაგება და მისი ინტერპრეტირება, ვინაიდან საკითხავია მოახერხა თუ არა ავტორმა სწორედ ძირითადი აზრის გადმოტანა ტექსტში და თუ მოახერხა, მაშინ რამდენად შეძლებს მთარგმნელი ამ იმპლიციტური აზრის გაგებასა და ინტერპრეტირებას.

საკითხავია, ლინგვისტურად როგორ ჯდება ქართულ თარგმანში ნაცვალსახელ „Sie“-ს ისეთივე ხშირი გამოყენება, როგორც ეს დედანშია? ამ

შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ Inkommensurabilität - ის ფენომენზე (უთარგმნელობის ფენომენი). თუ კი ის აქ არსებობს, მაშინ ის არსებობს არა ლინგვისტურ, არამედ ფილოსოფიურ ჭრილში, ფილოსოფიური თვალსაზრისიდან გამომდინარე. ჩვენი აზრით, ქართულში ამ ნაცვალსახელის სქესის შესაბამისი ადეკვატური ტრანსფორმაცია მიიყვანს მთარგმნელს იდენტურობის დარღვევამდე, რაც ძალიან დიდი შეცდომაა თარგმანის სპექტრში, ანუ, მთარგმნელმა ეს პასაჟი რომ თარგმნოს როგორც: „ახალგაზრდა ქალი, ქალიშვილი ან კიდევ გოგონა,“ რადგან ამით ირლვევა ზუსტად ის ძირითადი ჩანაფიქრი ავტორისა, რაც პირის ნაცვალსახელ „Sie“-შია ჩადებული.

ჩვენი ამ მოსაზრების დასასაბუთებლად შეიძლება მოვიშგელიოთ ლაკანის შემდეგი თვალსაზრისი: „Dass man spricht, bleibt hinter dem vergessen, was sich in dem, was gehört wird, gesagt wird“, wenn er übersetzt: [549] es ist, wo die Logik selbst den Diskurs seine „Modalisation“ durch die Existenz berühren lässt und wo „das situierte ... Aussprechen ... des Diskurses in Wahrheit ,ex-sistiert“, höhlt er die Aussage und die Wahrheit durch das an das Existenzielle geknüpfte Modale aus;.....“(<http://www.vds-ev.de/ag-literarisches-sprueche-zitate>)

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ აზრს, რომლის მიხედვითაც უფრო იოლია თარგმნა უცხო ენიდან მშობლიურზე. ენობრივი გადმოსახედიდან თუ სიძნელეებიდან გამომდინარე, ეს თვალსაზრისი სწორია, მაგრამ ავტორისეული ჩანაფიქრის მთარგმნელის მიერ სამიზნე ენაში ადეკვატური გადატანის პოზიციიდან გამომდინარე – არასწორი, ანუ ფილოსოფიური თარგმნის პრიზმაში არ ამართლებს უცხო ენიდან მშობლიურზე თარგმნა, არამედ მშობლიურიდან უცხო ენაზე. არც იმ თვალსაზრისს ვეთანხმებით, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიური თარგმანი, როგორც ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი მოიაზრება. „Die Philosophische Übersetzung unterscheidet sich jedoch, trotz aller Einheitlichkeit der funktionellen Bedeutung einer Übersetzung, grundsätzlich von allen anderen Übersetzungstypen (dichterische, literarische, wissenschaftliche, technische Übersetzung). Die Eigenart der Philosophischen Übersetzung röhrt von der Spezifik des philosophischen Textes. Der Philosophische Text representiert eine inhaltliche Dimension der Kultur, die in der Sprache der Begriffe von uns tritt“. Marina Bykova (Armin Paul Frank 1993: 248).


წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ფილოსოფიური თარგმანი არ ნიშნავს ფილოსოფიური ტექსტის თარგმნას, არამედ ის უფრო დრმაა და გულისხმობს თარგმანს ფილოსოფიურ ჭრილში ანუ ენისა და აზროვნების

ურთიერთმიმართების ფენომენიდან გამომდინარე მენტალურ და ძირითადაზრობრივ თარგმანს, რომელიც ჩვენი აზრით, შეესაბამება ყველა ჟანრის ტექსტის - იქნება ეს ლიტერატურული თუ ფილოსოფიური ტექსტი - ტრასფორმაციას ერთი ენიდან მეორეზე.

ჰაიდეგერის ცნობილ გამონათქვამს ``Sage mir, was du vom Übersetzen hälst, und ich sage dir, wer du bist``(M. Heidegger 1984: 76) „მითხარი, რას ფიქრობ თარგმანზე და გეტყვი ვინ ხარ შენ“ იგივე მარინა ბიკოვა შემდეგ კომენტარს უკეთებს:

„Daraus wird ersichtlich, dass für die Hermeneutik die Übersetzung nicht nur einen Vorgang unter anderen, sondern ein Grundanliegen der Menschheit wird verkörpern müssen. Das Problem der Übersetzung nimmt tatsächlich eine bevorzugte Stellung innerhalb der Philosophischen Hermeneutik ein, geht es doch in ihr um die verstehende Aneigung fremden Sinnes. Heideggers Spätphilosophie lässt sich zum großen Teil als eine Auseinandersetzung mit – und das heißt für Heidegger: Als eine Übersetzung der gesammten philosophischen Tradition verstehen, um das Denken geradezu in eine neue Zukunft übersetzen“Marina Bykova. (Armin Paul Frank 1993: 248)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფილოსოფიური თარგმანის ერთ-ერთი შტრიხია ის ფაქტიც, რომ მთარგმნელი მიერ დედაქნიდან უცხო ენაზე თარგმნილს უფრო კარგად იგებს და აქედან გამომდინარე, მიუხედავად განსაზღვრული სტილისტიკური სიძელეებისა (სტილისტიკური შეცდომები, უარგონის ან კიდე თიინეიჯერული უარგონის არასაკმარისი ცოდნა), ბევრად უფრო დრმად ითარგმნება; იმის გათვალისწინებით, თუ რა აზრობრივი კოდია ჩადებული ორიგინალში ავტორის მიერ. თუ მე ამ შემთხვევაში შიდა (გონის) ენის ფენომენიდან გამოდინარე აზრის თარგმანს ავტორის მიერ მის მშობლიურ ენაზე კოდს ვუწოდებთ, მაშინ გამოდის, რომ ფილოსოფიური თარგმანი **კოდის კოდი**, ან კიდევ **თარგმანის თარგმანი** ყოფილა, ხოლო მისი მკითხველი ანუ რეციპიენტი ცდილობს მოახდინოს **კოდის კოდი** გახსნა, რის პრეზენტირებასაც ქვემოთ მოყვანილი ჩვენ მიერ შემუშავებული სქემა შეძლებისდაგვარად ახდენს.



ზემოთ აღნიშნული სქემიდან გამომდინარე განხორციელდა:

I პროდუცენტის - ავტორის მენტალური თარგმნა, შემდეგ რეცეპტორის - მთარგმნელის მიერ მცდელობა გაიგოს ტექსტის ავტორის ძირითადაზრობრივი თარგმანი ანუ ტექსტი. შემდეგ განხორციელდა II პროდუცენტის ანუ მთარგმნელის მიერ I პროდუცენტის ანუ ავტორის მიერ ძირითადაზრობრივი თარგმანის თარგმნა. დაბოლოს, რამდენად გაიგო რეცეპტორმა - ჩვეულებრივმა მკითხველმა II პროდუცენტის - მთარგმნელის მიერ შესრულებული I პროდუცენტის - ავტორის ძირითადაზრობრივი თარგმანის თარგმანი (ნათარგმნი ტექსტი).

ჩვენ ფილოსოფიური თარგმანის ორი შტო გამოვყავით, ესენია:

Mentale Übersetzung ანუ მენტალური თარგმანი და Grundgedankliche Übersetzung ანუ ძირითადაზრობრივი თარგმანი.

Mentale Übersetzung ანუ მენტალური თარგმანი მიმდინარეობს ჩვეულებრივი საუბრის დროს, როცა ხდება ჩვენი აზრების შიდა ენიდან გარე ენაში - მეტყველებაში გადმოტანა-გადმოთარგმნა (როცა ჩვენ ვსაუბრობთ, ვთარგმნით ჩვენს საკუთარ დედაენასაც კი (ჰუმბოლდტი)).

Grundgedankliche Übersetzung ანუ ძირითადაზრობრივ თარგმანში იგულისხმება, თუ რამდენად მოახერხებს ჯერ ავტორი საკუთარი ძირითადი ანუ მთავარი აზრების გადმოტანას ტექსტში და შემდეგ რამდენად მოახერხებს მთარგმნელი ავტორის ძირითადი, მთავარი აზრის გადმოთარგმნას სხვა ენაზე, რაც, ვფიქრობთ, შეუძლებელია და სწორედ ეს არის ფილოსოფიური თვალსაზრისით უთარგმნელობის ფენომენი.

ნაშრომის მთავარი მიზანია ფილოსოფიის ფოკუსირება იმ ენობრივ მოვლენებზე, რომელთა ახსნა და რეცეპტია მხოლოდ ლინგვისტური განზომილებებით შეიძლება მოხდეს. აქ ხაზს ვუსვამთ იმ ფაქტორს, რომ ენის ლოგიკა და ენობრივი სტრუქტურა შეცნობადის, აღსაქმელის წინაპირობასა და საზღვრებს გამოხატავენ. ეს კიდევ ერთი კონსტუქციაა იმ ფაქტორისა, რომ ფილოსოფიური აზროვნება ამით ენის ანალიზურ კონცეპტებს მიჰყება, რომლებიც ჩვენ შემუცნებით შესაძლებლობებს ენის სრუქტურაში განაპირობებენ.

რა არის თარგმანი? არის ის შემოქმედებითი ახალი ქმნილება თუ მხოლოდ გადატანა „იმავესი“ ერთი ენიდან მეორეში?

აქ კი საჭიროა გადამოწმება, თუ რა პოზიცია უკავია თარგმანს ახსნისა და გაგების - კლასიკური ალტერნატივის დროს.

ენის ანალიზური თეორია ამით ფილოსოფიურ პერმენევტიკაში თავის პოზიციას ამყარებს და გამოდის იმ არგუმენტიდან, რომ თარგმანი კულტურებს შორის კულტურების ახალ ჰიბრიდუალურ მიგვიყვანს, რაც საბოლოოდ უთარგმნელობის ფენომენში იყრის თავს. აქ კი გაიგდერებს ასეთი კითხვა: იქნებ თვით უთარგმნელობის ფენომენი გახდის თარგმნის ფაქტორს შესაძლებელს?!

### § 3 თარგმანისა და მთარგმნელის პოზიცია გაგებისა და ახსნის კონცეპტებიდან გამომდინარე

თარგმანის აუცილებლობა და მისი არსებობა განაპირობა, როგორც ცნობილია, ოდითგანვე კულტურათა გაცნობის, შეხვედრისა და დაახლოების ფაქტორებმა; აქედან გამომდინარე, თარგმანის როლი ზოგადი გაგებით, ისაა, რომ არსებობდეს გაგებინების შესაძლებლობა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა კულტურის ადამიანთა შორის. თარგმანი ვიწრო გაგებით შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ენობრივი ქმედება - პროცესი, სადაც მთარგმნელი, რომელიც ჩვენი აზრით, ისევე როგორც ადრესატები, ტექსტის მიმღებთა და აღმქმელთა წრეს ეკუთვნის. ჩვენთვის გაუგებარია ზოგიერთი ენაომეცნიერის დასაბუთება, რომელთა აზრითაც მთარგმნელს ბევრი საერთო არ გააჩნია ამოსავალი ანუ სათარგმნელი ტექსტის ადრესატებთან. ჩვენი აზრით, მთარგმნელი რეციპიენტია, რომელიც იგებს შეტყობინებას და „ისაკუთრებს“ მას, რათა შემდგომ სხვას გადააწოდოს. ამოსავალი ტექსტი ამით იდებს მნიშვნელობას, რომელსაც გაგების პროცესში იკვლევს მკითხველი, ამ შემთხვევაში მთარგმნელი.

დღეისათვის პერმენევტიკაში უკვე არსებობს კლასიკური თეორია გაგებისა, რომელიც თეოლოგიურ, იურიდიულ და ფილოლოგიურ განმარტებებში მეთოდურად ხშირად გამოიყენება. შლაიერმახერის გ.წ. „ფსიქოლოგიურ“ გაგებასთან დამოკიდებულებაში და ვილპელმ დილტის „ისტორიულ“ გაგებასთან მიმართებაში, რომლებიც იკვლევდნენ ტექსტის მნიშვნელობას, ობიექტურად არის წარმოდგენილი ტექსტის აზრი-მნიშვნელობა, თანამედროვე პერმენევტიკაში კი გადამერთან, ჰაბერმასთან და ლიკორთან ტექსტის გაგება სხვა ნიუანსს იძენს. განვითარდა ისტორიულ-საზოგადოებრივი პროცესი, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ გაგებინებას და რომელიც ორიენტირებულია ისეთი საკითხების განხილვაზე, როგორიცაა კულტურულ-სპეციფიკური საკითხები, კონვენციები, ტრადიციები და ა.შ.

თანამედროვე პერმენევტიკაში გაგების ცნება გულისხმობს არა მარტო ენას, როგორც მედიუმს ყოველი გაგება - გაგებინების პროცესისას, არამედ გაგებულის ინდივიდუალურ გადამუშავება - გამოყენებას. გამომდინარე აქედან, ტექსტის გაგება არის უწყვეტი ისტორიული პროცესი პროპოზიციულ გაგებასთან მიმართებაში ისეთ ლინგვისტურ კატეგორიებთან, როგორიცაა თემატიკა, სემანტიკა და ლექსიკა.

ამასთან, თანამედროვე პერმენეგტიკაში გაგების უმაღლეს საფეხურს ანაგოგს (anagogē) უწოდებენ. გამომდინარე იქიდან, რომ რელიგიურ ეწ. წმიდა ტექსტებში გამოყენებული სიტყვები არ არის პირდაპირი მნიშვნელობით წარმოდგენილი, მათი გაგება შესაძლებელია მხოლოდ ცნობიერებით, რომელშიც ასახულია „სულიწმიდა“ და რისი საშუალებითაც ამ ეწ. წმინდა ტექსტებში გაგების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია. ჩვეულებრივი გაგებისაგან განსხვავებით, ანაგოგი, როგორც გაგება წმიდა სიტყვებისა, წარმოადგენს ისტორიული და ლიტერატურული აზრის განმარტებას. ანაგოგური მნიშვნელობა სულიერი, სპირიტუალური მნიშვნელობაა.

კულტურის ანალიტიკოსები გამოთქვამენ მზადყოფნას, შეეხონ ისეთ საკითხებს, როგორიცაა პრაქტიკული კონტრაქტის ფორმები განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა შორის, როგორც თარგმნის პრაქტიკის ერთ-ერთი სახე.

არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ კულტურული ეგოცენტრიზმი საკმაოდ გავრცობილი და გაფართოებულია, რომელიც მხოლოდ უცხოელებს უქმნის გაგებინების სირთულეებს სხვადასხვა შემთხვევის დროს. სხვა მხრივ, საპირისპირო კულტურული ზეგავლენის მომხდენი ინტერპრეტაციები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა კულტურის ექსპლიციტური გაგებიდან გამომდინარე, საერთო მჭიდრო პრაქტიკას შეუძლია გამოიწვიოს სხვა – უცხო კულტურის ტრანსფორმირება.

ყოველი შემთხვევისათვის, თარგმანის ცნება აიხსნება ლიტერატურული თარგმანის კონცეფციის მჭიდრო ჩარჩოდან გამომდინარე და უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა გათავისუფლდეს ერთი ენის სხვა ენაზე გადატანის მხოლოდ ლოგიკური წარმოდგენისგან.

ეს ეხება იმას, რომ ზუსტად უნდა გადამოწმდეს, გადალახავს თუ არა თარგმნის ცნება შესაძლო პარადიგმის კლასიკური ალტერნატივის ბარიერს ახსნასა და გაგებას შორის. აქ თარგმანის ცნება უფრო ღრმად უნდა გერიფიცირდეს და ეს შესაძლებელია იყოს ნაყოფიერი და ამავდროულად სარისკოც. ნაყოფიერება უდავოდ არის ის, რომ ხელი შეეწყოს კულტურულ-შედარებითი ოპერაციების შემეცნებით თეორიულ და მეთოდოლოგიურ დასაბუთებას, ასევე ინტერპრეტაციას უცხო კულტურულ კონტექსტში, ხოლო რისკის ფაქტორი ისაა, რომ ნაჩქარევმა და ანალიზურად არასაკმარისად

დამტკიცებულმა თარგმანის ცნების გაფართოებამ შეიძლება გამოიწვიოს სემანტიკურ ჭრილში მნიშვნელობის გაუფერულება.

პერმენევტიკულ გაგებაზე ხშირად დიდ გავლენას ახდენს გაგებინების ობიექტის (ანუ ის ვინც იგებს) სუბიექტურობა. იშვიათად, რომ პერმენევტიკული მეთოდები იყოს ობიექტური. რაც უფრო ემოციური და რაციონალური, გათვიცნობიერებულია გაგებინების ობიექტი (კი. რაც უფრო ინდივიდუალურია ის), მით უფრო უკეთესად ფუნქციონირებს თარგმნის მეთოდები და მით უფრო საპასუხისმგებლობა მთარგმნელისათვის თარგმნა.

თარგმანის ცნების (ვიწრო გაგებით) ლიტერატურულ თარგმანთან შედარებით ხდება მისი ხშირ შემთხვევაში მეტ-ნაკლები ინტენსიურობით აღქმა, როგორც ახალი „მხატვრული ნაწარმოები“-სა და არა როგორც უბრალოდ რაიმეს გადატანა ერთი ენიდან მეორე – მიზნობრივ ენაში, მაგრამ რეკონსტრუქცია ნაკლებად სრულყოფილი თარგმანისა შორდება წარმოდგენას, რომ სხვადასხვა ენა, როგორც ნეიტრალური მედიუმი სრულყოფილი მსგავსების პრეზენტირებას ახდენს. აქედან გამომდინარე, შინაარსის გამოხატვის საშუალებათა ეკვივალენტები სხვადასხვა ენაში მრავალფეროვანია და ეს უკვე განპირობებულია, როგორც თვით ენის ბუნებით, ასევე საერთაშორისო კონვენციებითა და მთარგმნელთა პრაქტიკული გამოცდილებით.

შეიძლება ითქვას, რომ გაგება შეუცნობადი პროცესია და რომ საკომუნიკაციო პარტნიორმა ყოველთვის შეგნებულად უნდა მოახდინოს შესაბამისი ტექსტის ინტერპრეტირება. მთარგმნელი გაგების პროცესის დროს ყურადღებას ამახვილებს ამ მაღალ ე.წ. „ავტომატიზირებულ ხარისხზე“. ავტომატიზირებაში ერთი მხრივ, იგულისხმება წინაპირობა თარგმნითი პროცესის ჩვეული მიმდინარეობისა, რაც შემოიფარგლება მთარგმნელობითი საქმიანობის დიდი ნაწილით; ხოლო, მეორე მხრივ, ყოველდღიურობაში კონფრონტირებული ვართ ისეთ სიტუაციებსა თუ კონტექსტებთან, სადაც მთარგმნელი თავის თავს დაუსრულებლივ უსვამს შეკითხვას, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის გამონათქვამი, ან კიდევ რა იმაღება სტრიქონებს მიღმა თუ შორის. არ არის გამორიცხული, რომ ყოველივე ამისადმი მთარგმნელის მიერ არაპროფესიონალური ან კიდევ არასაკმარისად შემოქმედებითი მიღგომით სერიოზული გაუგებრობა წარმოიშვას. მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი სიტუაციას ადგავატურად აღიქვამს, ზოგჯერ

ის მაინც აწყდება სირთულეებს, რადგან ხდება ხოლმე, რომ ტექსტის რაღაც ნაწილი არაერთმნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი. ეს ხდება იმ დროს, როცა ტექსტის ზედაპირული გადახედვის დროს მთარგმნელს ის აბსოლუტურად გასაგებად ქმნის. შემდეგ როცა საქმე თარგმნამდე აღწევს, ის აფიქსირებს, რომ აქ საქმე აქვს პოლისემიურობასთან და მის მიერ პირველად დაწერილი ეკვივალენტი კონტექსტიდან გამომდინარე ბუნდოვანი და გაუგებარია. გაგების პროცესი ასეთი სიტუაციის დროს ცნობიერებისაკენ იღებს გეზს, რადგანაც თარგმნის პროცესში მთარგმნელი იძულებულია სწორ გაგებაზე დაყრდნობით და შესაბამისად, გამართული თარგმანის საშუალებით მოახდინოს ყოველივე ამის იმპლიკიტური ინტერპრეტაცია.

ენისა და მნიშვნელობის ანალიზური თეორია ადასტურებს ფილოსოფიური ჰერმენევტიკის იმ თეზისს, რომ გაგება ენობრივი წარმოდგენისა არის განმარტება საყოველთაოდ მიღებული ინტერპრეტაციისა, რომლისთვისაც ინტერპრეტაციის წინარე სტრუქტურა ძირითად პირობას წარმოადგენს და რომელიც მნიშვნელობის ნეიტრალურ რეპრეზენტაციას გამორიცხავს. ეს წინასტრუქტურა გახდავთ კულტურა, რომელშიც იგულისხმება პრაქტიკული კონვენციების ერთიანობა და რომლებიც აკავშირებენ კულტურული ცხოვრების ფორმებს.

აქ თავს იყრის მთელი რიგი იმ გადასაწყვეტი საკითხებისა, რომლებიც თავიანთი პრობლემური ხასიათით რომელიმე კულტურის ლინგვისტურ, მთარგმნელობით ან კიდევ ფილოსოფიურ-მთარგმნელობით რეპრეტუარს ეკუთვნის.

პრაგმატული ცოდნა-გამოცდილების ანალიზისას, მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს უფრო მეტი ფუნქციურად ადეკვატური თარგმანის სახეები კულტურათაშორის განზომილებაში. ეს კი იქნება პატარა გადადგმული ნაბიჯი პრაგმატიკული ინტერკულტურული გაგების ანალიზისკენ.

თუ ინტერკულტურული გაგება კრეატიული თარგმნის მნიშვნელობით უნდა გაიგებოდეს, მაშინ შესაძლებელია კულტურათა შორის გაგებინების პროცესი ორივე მხარის როგორც რეციპროკული განსხვავების, ასევე გაფართოების პროცესად აღიქმებოდეს. „დომინირების“ ასიმეტრიის პორიზონტან ახლოს დგას სავარაუდო გაგებინება, რომელიც გაიგება როგორც შედეგი ცალმხრივი ასიმილაციური აუცილებლობისა. ყოველივე ამის შემდეგ, მეთოდური ასესნა და გაგება აღიწერება როგორც კურსი ზოგადი ეპისტემოლოგიური (კლასიკური ლოგიკიდან გამომდინარე დამოკიდებულება ცოდნასა და რწმენას შორის)

კონტექსტუალიზმისა, ისევე როგორც სპეციალურ თარგმნაზე ორიენტირებული პრიტიკა და როგორც განსაკუთრებული კულტურული პრაქტიკა.

სოციალური და კულტურულ-მეცნიერული მეთოდები დიდი ხანია ახსნისა და გაგების მცდარი ალტერნატივის ფონზე განიხილება.

ანალიზთა მრავალფეროვნებას ყოველთვის მოჰყვება განსხვავებული შედეგები, რომლებიც გამოიყენება რადიკალური მეცნიერული კრიტიკის წინაპირობად, ხოლო კრიტიკული ასპექტი ყურადღებას ამავილებს კულტურათა შორის უთარგმნელობის ფენომენსა და სხვა სოციალურ ენობრივ კომბინაციებზე, რომლებსაც ასევე საფუძვლად „Inkommensurabilität“ - ი (უთარგმნელობა) უდევს. ეს შეიძლება იყოს საუბარი, ან კიდევ კულტურული ცხოვრების ფორმების ენობრივი მსოფლმხედველობა, რომლებიც ჩაკეტილი და ექსპლიციტურია, ანუ ექსტენსიურად და ინტენსიურად გაუგებარია. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება თარგმნის ოპერაციას - უცხო ენობრივი გამონათქვამების სამიზნე ენაში შესაბამისი გამოხატულებებით ასახას. ყოველივე ეს კი ხდება უმეტესწილად დაძაბულობისა და წინააღმდეგობების ფონზე გამონათქვამის აღეპვატურად გამოხატვასა და მეტაფორულად ახლად თხზვას შორის, რომლებიც დინამიკურად უნდა იქნეს გადატანილი და გამოყენებული სამიზნე ენაში.

რაც შეეხება მეცნიერულ მეთოდებს, აქ კვლავ ძალაში რჩება უცხო კულტურების წიაღში არსებული შიდა კულტურების სოციალური გაგება, რომელიც პირდაპირ მიემართება ახსნა-გაგების პირობებისა და სხვა მნიშვნელოვანი მომენტებისაკენ თარგმნის პარადიგმაში. პარადიგმის ცნება ხსნის რაციონალური და მეცნიერული დისკურსის პრაგმატულ ჩართვა-ჩაქსოვის პერსპექტივას ისე, რომ კონტექსტური რელატივიზმი მის დასასრულს არ წარმოადგენს. მეცნიერების მოქმედებაზე ორიენტირებული რაციონალური დისკურსის ინტერკულტურულ-რაციონალური ახსნის პარადიგმა ემყარება „ექსპლანანდუმისა“ და „ექსპლანანსის“ გაგებას, ისევე როგორც ცალკეულ შემთხვევებში - კომპეტენციისა და მნიშვნელობის გაგებას. ეს გაგება წინ უძღვება შიდა ანუ ენობრივ კულტურულ პორიზონტს. უცხო კულტურის გაგება შეიძლება აღვიქვათ, როგორც თარგმნა ამ კულტურათა ენობრივი და არაენობრივი პრაქტიკისა და ტრადიციებისა.

საბოლოოდ ირკვევა, რომ თარგმნის პრაგმატიკის მნიშვნელობა ახსნისა და გაგების ერთობლივ კომბინაციაში აყენებს პრეტენზიას სოციალურ-კულტურულ

მეცნიერებათა პარამეტრების შეცნობასთან დაკავშირებით, რაც საკმაოდ შეზღუდულია და რისი აღიარებაც არ ხდება.

ამ თვალსაზრისით, არც თუ ისე იშვიათადაა წარმოდგენილი ურთიერთობა სოციალური და კულტურული მეცნიერებებისა თავიანთ ობიექტებთან მიმართებაში, ისევე, როგორც არ ფასდება კომუნიკაციური ურთიერთობა თანაბარი უფლების მქონე დიალოგის პარტნიორთა შორის. მაშინ იქნებოდა თარგმნის პრაგმატიკა პარადიგმა, რომ ალტერნატივა ახსნასა და გაგებას შორის და მოჩვენებითი სხვაობა ცოდნასა და შეცნობას შორის დაიძლეოდეს.

უფრო სასარგებლო იქნებოდა თარგმნის ოთხ ფორმას შორის განსხვავებები დეტალურად რომ გამოეკვლიათ:

1) პირველი ფორმა იქნებოდა თარჯიმნობა (Dolmetschen) კომპეტენტურ თრენინგან პერსონასთან ორ ენას შორის გაცვლასა და ადეკვატური ალტერნატიული გამოხატვის ძებნასთან მიმართებაში.

2) სხვა ასპექტებია ძირითადი, ყოველდღიური თარგმნის მსგავსი განმარტებითი და აპლიკაციური შტრიხები ერთი ენისა და პრაქტიკული კონტექსტის ჩარჩოებში, რომელთა მიმართებაშიც განზოგადებული ტიპები და წესები შესაბამისი სიტუაციიდან გამომდინარე „ითარგმნება“.

3) მათ შორის განასხვავებენ უცხო კულტურული სამყაროს პრაქტიკულ ახსნას და პრაქტიკულ ფორმებს ნაწილობრივი შეთანხმების მეშვეობით, რაზეც დიდადაა დამოკიდებული თარგმანის საბოლოო, სრულყოფილი სახე.

4) მეოთხეური თარგმნის განსხვავებული ხასიათი განპირობებულია იმით, რომ ის არამარტო უცხო კულტურულ სამყაროსა და პრაქტიკას სხნის, არამედ უპირველესად ენის გადასვლას ეხება პრაგმატული განზომილებიდან მეცნიერული, არგუმენტირებული, თეორიული და შედარებითი კომუნიკაციის ჭრილში.

### დასკვნა

ზემოხსენებული თავი ეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: თარგმანისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება ლინგვისტურ - ფილოსოფიურ პრიზმაში, ფილოსოფიური თარგმანის არსი და თარგმანისა და მთარგმნელის პოზიცია გაგებისა და ახსნის სტერეოტიპებიდან გამომდინარე.

ამ თავში განხილულია ზოგადად თარგმანის არსებობის წინაპირობები და მისი როლი გაგებინების შესაძლებლობის სპექტრში სხვადასხვა მენტალიტებისა

და სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანთა შორის. აღნიშნულ თავში კიდევ ერთხელ ხდება გადამოწმება იმისა, გადალახავს თუ არა თარგმნის ცნება პარადიგმის კლასიკური ალტერნატივის ბარიერს ახსნასა და გაგებას შორის. აქ თარგმნის ცნება უფრო დრმად უნდა ვერიფიცირდეს და ეს შესაძლებელია იყოს ნაყოფიერი და ამავდროულად სარისკოც. ნაყოფიერება უდავოდ მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეეწყოს კულტურულ-შედარებითი ოპერაციების შემცნებით, თეორიულ და მეთოდოლოგიურ დასაბუთებას, ასევე ინტერპრეტაციას უცხო კულტურულ კონტექსტში, თუმცა რისკია ის, რომ ნაჩქარევმა და ანალიზურად არასაკმარისად დამტკიცებულმა თარგმნის ცნების გაფართოებამ შეიძლება გამოიწვიოს სემანტიკური შედეგების გაუფასურება.

მთავარი შტრიხები, რომელთა ექსტრაპოლირებაც ჩვენ ფილოსოფიურ თარგმანთან მიმართებით მოვახდინეთ, შემდეგია: ორი განსხვავებული მიმართულება ფილოსოფიური თარგმანისა და მათი როლი ე.წ. დუეტში „თარგმანი თარგმნის პროცესში“. ამას გარდა, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ფილოსოფიური თარგმნა არ ნიშნავს ფილოსოფიური ტექსტის თარგმანს, არამედ ის შეიძლება ნებისმიერი ჟანრის ტექსტის თარგმანში მანიფესტირდებოდეს.

გაგება შეუცნობადი პროცესია და საკომუნიკაციო პარტნიორმა ყოველთვის შეგნებულად უნდა გააკეთოს ინტერპრეტაცია. მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი სიტუაციას ადგევაზურად აღიქვამს, ზოგჯერ ის მაინც აწყდება სირთულეებს, რადგან ხდება ხოლმე, რომ ტექსტის რაღაც ნაწილი არაერთმნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი. გაგების პროცესი ასეთი სიტუაციის დროს ცნობიერებისაკენ იღებს გეზს, რადგანაც თარგმნის პროცესში მთარგმნელი იძულებულია სწორ გაგებაზე დაყრდნობით და შესაბამისად, გამართული თარგმნის საშუალებით მოახდინოს ყოველივე ამის იმპლიციტური ინტერპრეტაცია.

### **თავი III - თარგმნისა და უთარგმნელობის ფენომენი ეროვნული სპეციფიკის ფონზე (იდიომა - მეტაფორების მაგალითზე)**

კულტურა საკუთარ თავს, უპირველეს ყოვლისა, ენაში ავლენს. სწორედ ენა არის კულტურის რეალობა, კულტურის დემონსტრირება და სწორედ ენაში ვლინდება კულტურაზე, მსოფლმხედველობასა და თვით პიროვნების საკუთარ თავზე ფიქსირებული შეხედულება. სწორედ ენაში ხდება კულტურის იმპლიციტურ კესპლიციტური პრეზენტაცია.

#### **§ 1 ინტერკულტურული სპეციფიკა გერმანულ - ქართულ ფრაზეოლოგიზმებში**

ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის ცნებას, როგორც სხვა, ასევე ფრაზეოლოგიურ კვლევებში დიდი ტრადიცია აქვს. ყოველი ნაშრომი, რომელიც მოიცავს ლინგვისტურ სფეროს, იმპლიციტურად ახდენს იდიომის ეროვნულ-სპეციფიკური ხასიათის დემონსტრირებას, რის საფუძველზე შესაბამისი ეროვნული ჯგუფის კულტურული პოტენციალი საგრძნობლად იკვეთება.

არჩევანი შესაბამისი გერმანული ფრაზეოლოგიზმებისა, იქნება ეს იდიომა-მეტაფორები, თუ აფორიზმა-ანდაზები დაკავშირებულია ძალიან ბევრ სიძნელესთან. განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმების გაგება მოსმენისა და კითხვის დროს, მაშინ, როცა მათი საერთო მნიშვნელობა არ გამომდინარეობს ცალკეული სიტყვების მნიშვნელობების ჯამიდან. ასეთ შემთხვევაში კი საჭიროა შესაბამისი ლექსიკონ - სახელმძღვანელოს გამოყენება. მაგალითად, იმ სისტემით შედგენილი ლექსიკონი (სახელმძღვანელო), როგორიცაა ოთარ აბაშიძის „გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი”, ნანა სტამბოლიშვილის „გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი” და ნანა ბოლქვაძე-ლიუდკეს „ფრაზეოლოგიური სინონიმურ - ონომასიოლოგიური ლექსიკონი“.

კულტურული სპეციფიკის გამო, რა თქმა უნდა, ყოველ გერმანულ ფრაზეოლოგიზმს შესაბამისი ეკვივალენტი ქართულ ენაში არ მოენახება, მაგრამ შეგვიძლია მიზან ენაში სხვა ფრაზეოლოგიზმის მისადაგება. შეიძლება თარგმნის დროს ერთსა და იმავე ფრაზეოლოგიზმს ერთ ენაში მოვუძებნოთ რამდენიმე ეკვივალენტი მეორეში.

დიმიტრი დობროვოლსკი სხვანაირად ფიქრობს. კერძოდ, თეორიული თვალსაზრისიდან გამომდინარე, პრინციპულად უარი უნდა ითქვას ცნებების გამოყენებაზე, რომელთა პრაქტიკაში მეტყველებაში ჩართვა შეუძლებელია. იგი აქვე განმარტავს, რომ კულტურული სპეციფიკის ცნება, რომელსაც ფორმალური ლოგიკურად დასაბუთებული შინაარსობრივი მხარე (Stringenz) გააჩნია, თარგმანში არ უნდა გამოვიყენოთ. რელევანტური განსხვავება სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიზმებში გამოიხატება სემანტიკური ტერმინებით და მისი რეფერირება კულტურული სპეციფიკის ცნებაზე არ ხდება.

დობროვოლსკის ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ის კულტურების ასიმეტრიულ (სუბორდინაციული) გაგებამდე მიგვიყვანს. აქედან გამომდინარე, შევეცდებით საწინააღმდეგო მოსაზრების ანუ კულტურების რეცეპროკური გაგების უზრუნველყოფისათვის ჩვენებული მოსაზრებების დასაბუთებას.

არსებობს შემთხვევები, როცა სემანტიკური ექსალიკაციები ფრაზეოლოგიზმების არსის ასახსნელად არ კმარა. იდიომების გამოყენების ძირებული თავისებურებანი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ განიმარტოს კულტურულ-სპეციფიკური ფაქტორების დახმარებით. ამის დამამტკიცებელი მაგალითია ის, რომ შეუძლებელია რომელიმე იდიომის სამიზნე ენაში ზუსტად ისეთივე სიტყვიერ სამოსელში გამოხატვა, როგორც ეს ამოსავალ ტექსტშია.

იმისათვის, რომ კულტურული სპეციფიკის არსი და როლი ფრაზეოლოგიზმებში აიხსნას, ჯერ უნდა განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება მასში. შეიძლება წარმოვიგინოთ ორი უკიდურესი შეხედულება ამ პრობლემისა. ერთი მხრივ შესაძლებელია მოვახდინოთ რედუცირება კულტურულ-სპეციფიკური დომენისა (სფერო, სახელმწიფო საკუთრება) ყოფიერების ამსახველი სიტყვებით. ამ შემთხვევაში კი იდიომები კულტურულ-სპეციფიკური კომპონენტებით განხილული იქნებოდა, როგორც მოვლენა - ფაქტი ვიწრო მნიშვნელობით (Randerscheinung).

მეორე მხრივ, კულტურული სპეციფიკის არსი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც კომპეტენტურობა, რის მიხედვითაც ეროვნული კულტურის ცნება ენობრივი მოვლენების ძალიან ფართო სპექტრს მოიცავს. ამ თვალსაზრისს კი მივყავართ ჰუმბოლდტის შეხედულებასთან ენის შიდა ფორმის შესახებ ერთი მხრივ და მეორე მხრივ მის პოზიციასთან: „ხალხის სული, რომლის მანიფესტირებაც თვით ენაში ხდება.“

ფრაზეოლოგიაში კულტურული სპეციფიკის აღქმისა და გამოხატვისათვის საჭიროა სულ ცოტა ორი პრინციპულად განხვავებული ინტერპრეტაციის პოსტულირება. პირველ შემთხვევაში შესაძლებელია მოცემული ენის ფაქტის კულტურული სპეციფიკა სხვა ენასთან მიმართებაში განისაზღვროს. ამას შეიძლება, ეწოდოს „კონტრასტული დამოკიდებულება“. მეორე შემთხვევა კი ეხება ეროვნული მახასიათებლების შეფასებას განსაზღვრულ ენობრივ დაჯგუფებებში სხვა ენასთან მიმართების გარეშე და მათ შეიძლება ენათშორისი კომპონენტების „კოგნიციური თავისებურება“ ვუწოდოთ.

ფრაზეოლოგიათა კულტურული სპეციფიკის კვლევისას კონტრასტული დამოკიდებულება ითვალისწინებს სემანტიკურ პლაზე მაქსიმალურ კონცენტრირებას, რადგან გამოხატვის მხარე მთარგმნელისათვის საკმაოდ დამაბნევლად და განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული, ვინაიდან გერმანულსა და ქართულ ენებს შორის არ არსებოს ენობრივ-ნათესაობრივი კავშირი, განსაკუთრებით აუცილებელი და მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს კონტრასტირებისას ლექსიკურ, სტრუქტურულ და სემანტიკურ ასპექტებს. ამასთან დაკაშირებით მაგალითები მოყვანილია ზემოაღნიშნული ერთ-ერთი ფრაზეოლოგიური ლექსიკონიდან:

„Menschliches Handeln: demütigen, vermessen

ადამიანური ქმედება: დამცირება, მეტიჩრობა, მედიდურობა.

*j-m diffamiert sich; j-d benimmt sich hochfahrend, anmaßend, arrogant  
das Ei will mal klüger sei als die Henne (lit.)/sich eine Menge einbilden (lit.)/sich viel herausnehmen (lit.)/den Kopf hoch tragen (ლიტ.)*

*etw. ist j-m in den Kopf gestiegen (lit. – umg.)/sich wichtig machen/nehmen (umg.)/ein kleiner Gernegroß sein (umg.)/sich aufblasen wie ein Frosch (umg.)/großen Mann spielen (umg.)/einen Nagel im Kopf haben.*

*Sich einblasen wie ein Truthahn (salopp)/ein gebildeter Pinkel sein (salopp)/j-m meint, er hätte das Pulver erfunden (salopp)/angeben, wie eine Tüte voll Mücken (salopp)*

ვიღაცას დიდი წარმოდგენა აქვთ ხაუთარ თავზე (ლიტ.)/ ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად (ლიტ.)/ ვიღაცა მაღლა ფრინველს არ გადაიფრენს და დაბლა ჭიანჭველას არ გაიტარებს (ლიტ.)/ ვიღაც დიდ გულზედაა (ლიტ.)/ ყველას ზემოდან უკურებს(ლიტ.)/ თავზე მამალ ბუზე არ იხვამხ (ხახ.)/ თავში რაღაც აუვარდა (ხახ.)/ ცხვირაწევლი დადის.“

თუ არ არსებობს კულტურულ-სპეციფიკურ ფაქტორებზე აგებული ლექსიკონი, რომელიც მთარგმნელმა უნდა გამოიყენოს თარგმნის პროცესში, შეუძლებელია განხორციელდეს იმ ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებების თარგმნა, რომლებშიც კულტურული თავისებურება განსაკუთრებით პრობლემურია და ამდენად, თვალში საცემია. როგორც ეს მაგალითად, იდიომა-მეტაფორებისა და Kurzgeschichte-ების შემთხვევაშია. ხშირად ფრაზეოლოგიზმების მონახვა წვეულებრივ ლექსიკონში შეუძლებელია. ინტერკულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს არაა სავალდებულო პქონდეს სიტყვასიტყვითი ეკვივალენტი მეორე ენაში.

ვფიქრობთ, კადეს ეკვივალენტურობის ტიპების გათვალისწინება აუცილებელია მთარგმნელისათვის, რათა შეინარჩუნოს თარგმანში რეციპროკული დამოკიდებულება ორ ენას შორის. ეს ეკვივალენტურობის ტიპებია: ერთი-ერთზე (Eins-zu-Eins) - ტოტალური შესატყვისობა ორ ენაში ორ ფრაზეოლოგიზმს შორის). რამოდენიმე - ერთზე დამოკიდებულება (Viel-zu-Eins) – როცა ერთ ენაში ორ ან მეტ სინონიმურ ფრაზეოლოგიზმს მეორე ენაში მოენახება მხოლოდ ერთი შესატყვისობა). ერთი - ნაწილობრივ ეკვივალენტთან დამოკიდებულება (Eins-zu-Teil-Äquivalenz) როცა ერთი ენის ფრაზეოლოგიზმს სხვა ენაში ორი ან რამდენიმე გამონათქვამი ისე შეუსაბამოთ, რომ გამონათქვამის სპეციფიკა მხოლოდ მიახლოებით გამოვხატოთ. ერთი - ნულთან ეკვივალენტურობა (Eins-zu-Null), როცა არ არსებობს მეორე ენაში შესაბამისი ეკვივალენტი-შესატყვისი. ეს იმ დროს ხდება, როცა ცნებები ერთ რომელიმე კულტურაში ისეთ რეალიებს გამოხატავენ, რომლებსაც მეორე კულტურაში შესაბამისი პრეცედენტი არ მოექვენებათ.

„j-n/etw. auf die Leiche Schulter nehmen (lit.)/j-n über die Achsel/Schulter ansehen (ლიტ.)/  
j-m kalte Schulter zeigen (lit.)/es mit j-m/etw. nicht genau nehmen (lit.)/j-n von oben  
ansehen (ლიტ.)

*die Nase rümpfen über j-n/etw. (umg.)/an j-m läuft etwas ab wie das Wasser am Entenflügel (umg.)/j-n nicht voll ansehen (umg.)/j-n wie Luft behandeln(umg.)/j-m wie einen dummen Jungen behandeln (umg./salopp.)/j-d fragt den Kuckuck danach (salopp.)/ j-n keines Blickes würdigen (gehob.).*

კინგებს თავზე კაკალის მტვრება (ლიტ.)/კინგებს/რაღაცის აინუნში არ ჩაგდება(ლიტ.)/კინგები აძუხად აგდება (ლიტ.)/კინგებსთვის თავზე უურება (ლიტ.)/კინგებსთვის/რაიმესთვის ზურგის შექცევა (ლიტ./სას კინგებს თავზე გადახტომა (სას.)/კინგებს თავზე დაჯდომა (სას.)/კინგები არაფრად ჩაგდება (სას.)/ზედაც არ შეხედვა (სას.) რაღაცის მაუდქება ამოდება (სას.ფამ.)/რაღაცის/კიდაცის ფეხებზე დაკიდება (სას.ფამ.)/კინგებსთვის/რაღაცისთვის უურადღების მიუქცევლობა (სას.ფამ.).“

უკელაფერი, იქნება ეს დროის - ან რეგიონალურად - სპეციფიკური, ან კიდევ კულტურულ - ყოფითი ან ერის ინტერესების ფაქტორიდან გამომდინარე, ის რაც, ცალკეულ ენობრივ გამოხსატულებაში გასხვავებულად მანიფესტირდება, არის ჩვენი აზრით, პრობლემისადმი ზედაპირული მიღობა, თუკი ჩვენ ამას ასე არ გავითვალისწინებთ. ეს აიხსნება სხვადასხვა ენაში ორივე გამონათქვამის განსვავებული ბედით, რომლებიც ერთი და იმავე ჰიპერნიმიდან გამომდინარეობს, მაგრამ რომელთა გამოყენებასაც განსვავებული სტატუსი გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსება აღსანიშნესა და აღმნიშვნელს შორის ორივე ენაში ამ ენების მატარებელთათვის თვალში საცემია, სამიზნე ენაში ამოსავალი ენის სიტყვებით შემდგარი მეტაფორები მაინც ჩვეულებრივია და ამ დროს ისინი აქ - თარგმანში უხეშად ან უჩვეულოდ ჟღერს. ეს უკვე კლასიკური მაგალითია, თუ როგორ შეიძლება განსხორციელდეს ენებს შორის რეციპროკული ანუ სიმეტრიული დამოკიდებულება. სიმეტრიულია, როცა სამიზნე ენის ტექსტის მკითხველი Das Tertium Comparationis შეიცნობს, წაიფორხილებს მეტაფორის გაგებაში. ამ დროს გამოიკვეთება ორი განსხვავებული შემთხვევა: პირველ შემთხვევაში სამიზნე ენის გამონათქვამს უფრო მეტი კონტაცია აქვს, ვიდრე ამოსავალი ტექსტისას. მეორე შემთხვევაში კი იმავე გამონათქვამს ერთით ან რამდენიმე საფეხურით ნაკლები კონტაციური შეფერილობა აქვს. ასეთი სხვადასხვაობები კი ქმნიან სირთულეებს მთარგმნელისათვის.

სანამ დავსვამდეთ კითხვას, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ კონცეპტუალურ სხვაობათა კულტურული შესატყვისობა ორ სხვადასხვა ენაში, მანამ უნდა ადინიშნოს, რომ ფრაზეოლოგიური მთლიანობების თარგმნის დროს მათ შორის არსებული დიფერენციაცია არ გაიგება, როგორც კონცეპტუალური განსხვავება. ე.ო. არა როგორც განსხვავება სინამდვილის პერსპექტივიდან გამომდინარე. კონცეპტუალურ სხვაობებზე მაშინაა საუბარი, როცა ენობრივი საშუალებების არჩევის დროს წარმოქმნილი კონტრასტები ორ ენას შორის არსებული კოგნიტური სტრუქტურების ინვარიანტების განსხვავებით აიხსნება.

სხვა მხრივ, თითქმის ყველა ენაში წშირია შემთხვევა, როცა იდიომატური გამოხატულებები სხვა ენაზე დაუბრკოლებლად არ გაიგება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება იმას, რომ შესაბამისი კოგნიტური სტრუქტურები იდიოსინკრატული (idiosynkratisch) არიან. ამ შემთხვევაში სათანადო იდიომა სხვა ენაზე, რომელიც იქ არსებულ კოგნიტურ სტრუქტურას არ ესადაგება, სიტყვიურად შეიძლება არ ითარგმნოს, მაშინაც კი, როცა მთარგმნელი რაღაც მიზეზების გამო, სიტყვასიტყვით თარგმნას ამჯობინებს. მაგალითად: დამოკიდებულება სხვა ადამიანებისა გარე სამყაროსადმი, თუ როგორ გამოიხატება ყოველივე ეს ფრაზეოლოგიურ დონეზე როგორც გერმანულად, ასევე ქართულად. ამისათვის ავიღოთ ისეთი ფრაზეოლოგიური მთლიანობები, რომელთა ლექსიკურ დონეზე შესატყვისებია: „გაბრაზება, დაბნევა, შოკი, გამწარება და ა.შ.“

„Großer Gott! (lit. path.)/du lieber Gott! (lit. Path.)/Himmel und Hölle (lit. path. veraltet).“

*Zum Teufel noch einmal! (umg.)/Himmel noch einmal (umg.)/das ist ja eine nette/schöne Bescherung! (umg.-iron)/-d soll ihm/mir gestohlen bleiben.*

*Das geht auf keine Kuhhaut! (umg. - salopp)/zum Kuckuck (noch einmal)!  
(umg. - salopp)/so eine dufte Nummer! (umg. - salopp)/verdammter Mist! (salopp - path)/der Teufel soll ihn/sie/mich holen! (salopp).*

დმურთო დიდებულო! (ლიტ. - პათეტ.)/გასკვი ცაო და თან ჩაიტანე ხმელეთი! (ლიტ. - პათეტ.)/ეშმაკმა დალახვრობ! (ლიტ. - სახ.)/გვი ეშმაკე (ლიტ. - სახ.)/ჯანდაბაძე გზა გქონია (სახ.)/ეშმაკსაც წაუღია(სახ.)/აბა ახლა არ გადამწიო

ჭკუდან!(ხახ. ფაქ.)/რის ფლავი/რის ბოზბაში!(ხახ. - ფაქ.) /ვებები ვერ მოძამო/ხ  
(ხახ. - უხეში)“.

ქართულ იდიომებში ფიქსირებული წარმოდგენები გერმანული პერსპექტივის გადმოსახედიდან არა მარტო კოგნიციური, არამედ კულტურული თვალსაზრისითაც სპეციფიკურია.

ჩვენი აზრით, კოგნიციურ ფაქტორს არ გამოვყოფდი კულტურულიდან, რადგან კოგნიციური ფენომენი მენტალური პროცესებითა და სტრატეგიებითაა დაკავებული, რომლებიც ადამიანებში აზროვნების ბაზის, ინფორმაციის დამახსოვრების წყაროს, გაგებისა და პროდუცირების ენობრივ საშუალებებს წარმოადგენს, ხოლო კულტურული ფენომენი ამის განსხვავებული კულტურის ნიადაგში გადვივებას ითვალისწინებს. ჩვენი აზრით, ნიადაგი განსხვავებული კულტურაა, ხოლო ის რაც მისგან აღმოცენდება, არის შესაბამისი კულტურის მენტალიტეტი და ასევე - ენაც.

ამ შემთხვევაში, კულტურული და სპეციფიკური ფენომენები ერთმანეთს კვეთენ და არ გამორიცხავთ.

თუ კი ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის ფონზე ინტერკულტურული დიმენზია შეიძლება გავიგოთ, როგორც უცხოურის „მოშინაურების“ ან კიდევ ნაცნობის „გაუცხოების“ სპექტრი.

კულტურულ-სპეციფიკური მახასიათებლები, ან კიდევ გამონათქვამის ცალკეული ელემენტები მთარგმნელისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ეს იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების თარგმანი და მათი სტილისტიკურად განპირობებული დალაგებაა, არამედ უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინტერკულტურულ-სემანტიკური ელემენტების მთელი „გროვა“; ხოლო მათი კატეგორიზაცია კი ენის სტრუქტურიდან გამომდინარე, კულტურული სპეციფიკის პარამეტრების ჭრილში ხდება. ამ დროს, მთარგმნელს ენის ლოგიკის არსში კარგი გარკვევა დაეხმარება გაიგოს ორი კულტურის სპეციფიკისათვის რელევანტური თავისებურებები.

## § 2 გაგებისა და ახსნის კლასიკური დიმენზია თარგმნისა და უთარგმნელობის სპეციალისტის მიმართებაში.

ლინგვისტიკის კომპეტენციის საზღვრები იძლევა საშუალებას წინ წამოვწოთ რიგი საკითხები, რომლებიც ეწინააღმდეგება თარგმნის შესაძლებლობას. მთელი სიმრავლე არგუმენტებისა შეიძლება შემცირდეს სამ ძირითად ტიპამდე:

1) შეუძლებლობა მნიშვნელობის პირდაპირი გათავისება-აღქმისა; ანუ შეუძლებლობა შიდა სუბიექტური - ობიექტური სხვაობრივი კრიტერიუმებისა, რომლებიც მნიშვნელობის განსაზღვრას გულისხმობს.

2) ფუნდამენტური სხვაობა ცალკეული ენის სემანტიკური სტრუქტურებისა და აქედან გამომდინარე, შეუძლებლობა ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტის არსებობისა ორ ენას შორის.

სიტყვა ზუსტად არ შეესაბამება სხვა ენის სიტყვას. ფრანგული დრო (tempus) არ შეესაბამება გერმანულს, გერმანული სუფიქსი მაგალითად, „ung“ არ აისახება ყოველთვის ფრანგულში შესაბამისი სუფიქსით და ა.შ.

3) კულტურული გარემოს სხვადასხვაობა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ენები საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენენ.

როგორ უნდა ითარგმნოს, მაგალითად „Ich habe meine Augen auf zu den Bergen, von welchen mir Hilfe kommt“ – (ჩემი თვალები მიმართულია მთებისკენ, საიდანაც ველოდები დახმარებას), მაშინ, როცა იუკატანის (Yucatan) ნახევარკუნძულზე მცხოვრები ინდიელებისაგან მთები ასეული კილომეტრითაა დაშორებული. ამას ჩვენ მივყავართ იმ სამ თეზისამდე, რომლებიც რაღაც განსაზღვრულ (განსაკუთრებულ) კონტექსტსა და რეალიასთან მიმართებაში თარგმნის შესაძლებლობას გამორიცხავს.

პირველი თეზისი არგუმენტირებულია ჩვენთვის ცნობილი ცნებებით ბიჰევიორიზმი (Behaviorismus) ანტიმენტალიზმი (Antimentalismus) და დესკრიპტივიზმი (Deskriptivismus), რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში.

ენობრივი მნიშვნელობები ძირითადად წარმოდგენილია ცნობიერების ფორმით: ვისაც სურს ჩაწვდეს, გაიგოს მნიშვნელობა, ინტუიცია ან რაღაც მსგავსი,

მაშინ მან უნდა ჩაიხედოს საკუთარ თავში, მაგრამ ეს კი არ ეხება მნიშვნელობის ფენომენის „უარყოფას, არამედ მარტოოდენ მეთოდოლოგიურ „ასკეტიზმს“: მნიშვნელობებს შეუძლია ადამიანის ცნობიერებაში წარმოიშვნენ როგორც ინდივიდუალური ცნობიერების აღეპვატური შინაარსი და არა როგორც მეცნიერული კვლევის საგანი.

ადამიანსა და გარესამყაროს შორის არსებულ შუალედურ სივრცეს აქვს ენობრივი ხასიათი, რაც ერთი რომელიმე ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს წარმოდგენას უქმნის მათი მშობლიური ენის არსზე. სეპირ უორფის მიხედვით, ენათა სტრუქტურული სხვადასხვაობის ფაქტიდან გამომდინარეობს ლინგვისტური რელატიურობის პრინციპი. თუ ამას ზოგადად მოვიაზრებთ, შეიძლება იმის არგუმენტირება, რომ ადამიანები, რომლებიც განსხვავებულ გრამატიკას იყენებენ, ისინი ამით ერთი მხრივ როგორც მსგავს, ტიპიურ მეორეს მხრივ განსხვავებულ დასკვნებამდე მივლენ. აქედან გამომდინარე, სეპირ უორფის თეზისი ვლინდება იმ თვალსაზრისში, რომ ეს შეფასებები ერთმანეთის ეკვივალენტურნი კი არ არიან, არამედ თავიანთი განსხვავებული ბუნებითა და არსით სამყაროს შესახებ განსხვავებულ წარმოდგენებსა და შეხედულებებს ქმნიან.

ამრიგად, სეპირ უორფის აზრით ერების მიერ სამყაროს ხატის (Weltbild) განსხვავებული აღქმა განსხვავებული ენების საშუალებით წარმოადგენს წინაპირობას იმ უცხო ტექსტების შექმნისა (განსაკუთრებით ლიტერატურული ტექსტები), რომლებსაც უთარგმნელად მიიჩნევენ. ენის შინაარსის კვლევა ენებს აღიქვამს, როგორც დახურულ სისტემებს და ამით მიდის სხვადასხვაობის გადაულახვი სტრუქტურის ლინგვისტური რელატიურობის პრინციპის აღიარებამდე.

გიზიარებთ რა სეპირ უორფის მოსაზრებას, სწორედ ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვაობა განპირობებულია განსხვავებული ენობრივი საშუალებებით სხვადასხვა ერის სამყაროს განსხვავებული ხედვის გამოსახვით, რასაც საბოლოო ჯამში, უთარგმნელობის ფენომენამდე მივყავართ. განსაკუთრებით, მაშინ როცა საუბარია ისეთ ლიტერატურულ ტექსტებზე, რომელთა თარგმნა შესაძლებელია, მაგრამ ეს უკანასკნელი მათ ლიტერატურულ დირებულებას უფრო დასცემს და დააკნინებს, ვიდრე მას რაიმეს შესძენს. აქ ისმება ასეთი კითხვა: შეიძლება კი ვაჟას პოეზიის თარგმნა? ეს ეწ. თარგმანის თარგმანი არის ზუსტად ის

ფილოსოფიური თარგმანი, რომლის შეუძლებლობის ვერიფიცირებასაც ჩვენ ამ სადისერტაციო თემაში სხვადასხვა საკითხთან მიმართებით ვახდენთ.

საინტერესო ვითარებაა ახალ გერმანულ სათარგმნელ სიტყვებში, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მცდელობა გაგების პრობლემისა გაიგება და ნაწილობრივ როგორც ბიჰევიორიზმულიც, რადგან გაგების პრობლემა სადღაც ქცევის ასპექტსაც მოიცავს. მაგალითად: ვიდაცამ საფუძვლიანად წაიკითხა და კომენტარები გაუკეთა რელიგიის გაკვეთილზე ათ ცნებას, რომლებიც მას ხელს არ უშლის ილანძლოს, თავის ახლობლებს, მშობლებს ცუდად მოუქცეს, კიდევ ერთხელ ვინმე გამოასალმოს სიცოცხლეს, იმრუშოს და ა.შ. იმიტომ რომ მას აქვს ამის ძლიერი სურვილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩვენ დავასკვნათ, რომ ჩვენმა „ენერგიულმა“ ბიბლიის მკითხველმა ტექსტი ვერ გაიგო!?

ჩვენი აზრით, აქ პრობლემა დგას არა იმ პრიზმაში, თუ რას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი, გაგებას თუ ქცევას, არამედ იმ პუნქტში, რამდენად ადეკვატურად იქცევა გაგების შემდეგ ეს ადამიანი.

შემდეგი მაგალითი მიგვითოთებს პრობლემაზე, რომელსაც ყოველთვის ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. „მნიშვნელობა“ თუ „აზრი“ ტექსტისა - შეიძლება ითქვას, - წარმოიქმნება ცნობიერებაში, რისი წინაპირობაც სწორედ ტექსტის აღქმაა. ეს ეხება ხედვას, რომელიც ერთი შეხედვით „საშიში“ და შეცდომაში შემყვანი არგუმენტია. ქვემოთ ციტირებული გოეთეს ლექსი გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ ზემოაღნიშნული პრობლემური სტერეოტიპი. ეს ეხება ბოლო თუ პწკარს ცნობილი ლექსისას „Wanderers Nachtlied“, „მგზავრის დამის სიმღერა“:

Über allen Gipfeln

Ist Ruh,

In allen Wipfeln

Spürest du

Kaum einen Hauch

Die Vögelein schweigen im Walde

Warte nur, balde

Ruhest du auch

სიმშვიდეში თვლემს

მწვერვალები მთის,

ქარი არა სცემს,

ფოთოლი არ თრთის;

მოსვენების ჟამს

მისცემია ტყეც,

მოითმინე წამს,

მოისვენებ შენც

(გალაკტიონ ტაბიძე)

30 წლის გოეთემ ეს ლექსი 1780 წლის 6 სექტემბერს ერთი დაბაბული დღის შემდეგ დაქანცულმა თიურინგერის ტყეში მონადირეთა ქოხში რაფაზე-ფიცარნაგზე მიაწერა. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ორი პწყარი იმპლიციტურად შეიცავს იმ პირობების ან კიდევ სიტუაციის აღწერას, რა პირობებშიც ეს ლექსი დაიწერა. ეს არის გამოხატულება უპირველეს ყოვლისა იმისა, რომ ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივადაა დაკავშირებული, ანუ ერთი რაღაც განაპირობებს მეორეს, და ამავე დროს გამომდინარეობს მისგან. ზუსტად ეს დიდი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მომენტი დაჭერილი და მოაზრებულია ამ ლექსში. ჩვენი აზრით, შეიძლება ვისაუბროთ კმაყოფილებისა და მშვიდი ღრმა ძილის მოლოდინზე გადატანითი მნიშვნელობით. სტერეოტიპი: „აზრი“, „მნიშვნელობა“ ამ ორი პწყარისა შეიძლება იყოს ის, რომ ავტორს ეს ყველაფერი სიტუაციამ უკარნახა. ვიცით რომ, 51 წლის შემდეგ, როცა გოეთე ღრმად მოხუცებული ავიდა თიურინგენის ტყეში, მონადირეთა ქოხში იმავე ფიცარნაკზე წაიკითხა თავისი ლექსი და განსაკუთრებით ბოლო ორ პწყარს „Warte nur balde, / ruhest du auch.“ („მოიცა ცოტა დასცხერები შენაც“) (თარგ. კონსტანტინე გამსახურდიასი) ან კიდევ „სიმშვიდის განცდა გადმოვა შენშიც, ოდონდ მოიცა, სულ ერთი წამი“ (თარგმ. ზურაბ არჩვაძის) ჩაუდრმავდა. ამ დროს ის უკვე საკმაოდ ხანში შესული იყო და ტექსტი ამ ხელახალი წაკითხვისას სულ სხვანაირად „დადლილმა და კმაყოფილმა“ აღიქვა და არა ისე, როცა მან ის 30 წლის ასაკში ქოხში თავის საწოლთან ფიცარზე მიაწერა. ამას იქიდან ვასკვნით, რომ სარწმუნო წყაროების მიხედვით, ის აღფრთოვანებული დარჩა მის მიერ ახალგაზრდობაში შექმნილი ტექსტით და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გოეთემ სიტუაცია ფილოსოფიურად აღიქვა სწორედ ასაკში, ანუ საკუთარი ტექსტიც კი, ცხოვრების ახალ ეტაპზე მუტ-ნაკლებად განსხვავებულ და ახალ შინაარსობრივ ან კიდევ ემოციურ დატვირთვას იქნეს,

მაგრამ ყოველივეს ავტორი (გოეთე) მაინც ცხოვრების ყველა ეტაპზე მიზეზ-შედეგობრივ საუქტრში ხედავს.

გაგებისა და ახსნის პარამეტრშია მოქცეული ის საკითხიც, თუ მოცემული ორი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, რომლის აქცეპტირება უნდა მოვახდინოთ. მაგალითად: „Abendfriese auf Erwartung des erfrischenden Schlafes“ თუ „Todesahnung“, (ორივე ქართულად სიკვდილის წინათგრძნობას ნიშნავს), ერთ - ერთს ავირჩევთ, თუ რაიმე ახალს შევიმუშავებთ? არა, ამ შემთხვევაში უკვე გაუგებრობასთან გვექნება საქმე. ასე რომ, შეუძლებელია თარგმნის დროს ასახო კონკრეტული ან თუნდაც უნიკალური აქტი გაგებისა. თარგმნა უმეტესწილად ახალი ტექსტის შეთხვას ნიშნავს და ეს ახალი ტექსტი შეიძლება მკითხველის მიერ სრულიად განსხვავებულად იქნეს გაგებული, თუ მას შესაბამისი გარე პირობები შეუწყობს ხელს, ანუ, თუ ტექსტი ჩაერთვება მთარგმნელის წარმოდგენები. ტექსტები - ბანალურად რომ ვთქვათ - საკომუნიკაციო თვალსაზრისით არასდროს არ არიან ნათლად წარმოდგენილნი, პირიქით, თითქმის ბუნდოვნად გვეჩვენება. სხვადასხვა გარემოება თანამედროვე პერმენევტიკის მიხედვით აკონკრეტებს როგორც მთარგმნელის „გაგების პორიზონტს“, ასევე იმ გაგებინების საშუალება-სიგნალებს, რომლებსაც მთარგმნელი ტექსტში იყენებს. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელმა უნდა თარგმნოს ის, რაც ტექსტშია მოცემული და არ უნდა გაუკეთოს აქცენტი იმას, რა კუთხითაც მან ტექსტის აზრი გაიგო. ეს ცოტათი მიამიტურად ჟღერს, მაგრამ ამავდროულად სერიოზულია. ეს არის პირდაპირი დახასიათება ენისა, რომ ენა იძლევა ძირითადი ასპექტების (იმისა, რაც ტექსტში უნდა იყოს ნაგულისხმევი) საკუთარ ენაზე გადმოტანის საშუალებას. ეს ხდება მაშინაც კი, როცა არა ხარ დარწმუნებული ჩასწვდი თუ არა ტექსტის არსეს. ეს თვალსაზრისი უფრო ნათელი რომ გახდეს, მოვიყვანოთ მეორე არგუმენტი, რომელიც ეწინააღმდეგება თარგმნის შესაძლებლობას:

2) ის რაც ეწინააღმდეგება თარგმნის შესაძლებლობას, წარმოადგენს თითოეული ენის სემანტიკური სტრუქტურის ფუნდამეტურ სხვადასხვაობას. აქედან გამომდინარე, გეერდნობით ფილოსოფოს ფრიდრიხ შლაიერმახერს, რომელმაც ეს პრობლემა აღიარა და მას შემდეგი ფორმულირება მისცა:

„ასახვა ... იხრება ენის ირაციონალობისაკენ; ის აღიარებს: სიტყვა, როგორც ხელოვნების ნიმუში არ გამოიხატება, არ აისახება სხვა ენაზე, რომელიც თავის ნებისმიერ ნაწილში ზუსტად შეესაბამება თავის წინარე სახე-სურათს, ისე

როგორც ეს ორიგინალშია მოცემული, არამედ ის, ენის სხვადასხვაობის ფენომენიდან გამომდინარე შესაბამისად ითარგმნება.“

თუ ჩვენ ძებნის მიმართულებას ენათა წყვილებში რამდენიმეჯერ დავუბრუნდებით, მივიღებთ შესაძლო ეკვივალენტების კომპლექსურ ქსელს. აქედან გამომდინარე, სიტყვა „Tasche“, რომელიც ქართულად „ჯიბეს“, „ტომარას“, „ჩანთას“ ნიშნავს, გერმანულ ენაში შეიძლება განსაკუთრებით პროდუქტიული პროცესით მრავალგვარად მოდიფიცირდეს- განახლდეს სიტყვათაგაერთიანებისა და ნომინალური შედგენილობის საშუალებით, როგორც Hosen-, Einkaufs-, Aktentasche. ზოგჯერ მრავალჯერადი გამეორების თავიდან ასაცილებლად, ტექსტში ზემოაღნიშნულ დაზუსტებებს არ გამოიყენებენ. მაგალითად; თუ წინარე საუბარი შეეხებოდა Aktentasche -ს ანუ პორტფელს, შემდგომში მას მარტივად მოიხსენიებენ. „Er stellte die Tasche hinter dem Sofa ab.“ – „მან ჩანთა გადადო დივნის უკან“. ე.ო. ამ შემთხვევაში, სამიზნე ენის ტექსტში არჩევანი შესაფერისი ეკვივალენტისა მთარგმნელმა უნდა გააკეთოს წინარე ტექსტიდან.

თუ საჭიროება დგება ორიგინალთან რაც შეიძლება მიახლოებული თარგმნისა, მაშინ, როგორც ამას შლაიერმახერი აღნიშნავს, სხვადასხვა ენაში უნდა აისახოს ის, რაც ზუსტად შეესაბამება ორიგინალის ხატის თითოეული ცნების შესაბამის ასახვას მიზნობრივ ტექსტში ანუ თარგმანში, რომელიც წარმოუდგენელია და ეს შლაიერმახერსაც არ გაუკეთებია. თარგმნის დროს ჩვეულებისამებრ ეს არ ეხება იმას, რომ ინდივიდუალურ-ენობრივი მნიშვნელობები და სტრუქტურები სხვა ენის საშუალებით უნდა აისახოს, არამედ ეს ეხება იმას, რომ ენის სემანტიკურ გამოხატულებათა მეშვეობით რეპროდუცირდეს ასევე გამოხატვის საშუალებები სხვა ენისა და იყოს მსგავსი და აღეკვატური მიზნობრივი ანუ თარგმანის ენისა. ამით დგინდება, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ენაში შინაარსობრივ სხვადასხვაობათა გამოხატულების უარყოფა, რომელიც თარგმანის ენაში უნდა აისახოს და რომელიც ჩვენ უკვე „Tasche“-ს მაგალითის ფონზე განვიხილეთ.

ახლა განვიხილოთ ჩვენი მესამე არგუმენტი, რომელიც ეწინააღმდეგება თარგმნის შესაძლებლობას.

მთარგმნელები ყურადღებას ამახვილებენ ბუნებრივ და კულტურულ სხვადასხვაობებზე ყველა ასპექტში, რომლებიც ენის გარე და შიდაენობრივ

ფაქტორებს წარმოდგენენ. თუ ეს ასეა, ლინგვისტიკის მნიშვნელობა მთარგმნელებისათვის რელატიური, ფარდობითია. მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი:

„Du siehst also, sagte X, dass die Hauptverdächtigen zu der Zeit ganz woanders waren. Was verstehst du darunter, wollte Y wissen. Er war in gereizter Stimmung, da X ihn ohne Frühstück hier nach Z geschleppt hatte. Meinst Du damit, dass sie den Mordschauplatz nicht errichen konnten, ohne über 186 000 Meilen pro Sekunde zu fahren? Wenn nicht, so waren sie nicht ganz woanders, sondern nur relativ und scheinbar woanders.“

„ამრიგად, თქვენ ხედავთ, ამბობს X, რომ მთავარი ეჭვმიტანილები იმ დროისათვის იყვნენ სადმე სხვაგან. რას გულისხმობთ, სურს გაიგოს? ის საკმაოდ გადიზიანებული იყო, რადგან X -ს არც კი უსაუზმია, ისე წაათრია სხვა მესამე პიროვნებასთან. როგორ ფიქრობ, მათ 186 000 მილი წამში რომ არ ემგზავრათ, მიაღწევდნენ მკვლელობის ადგილს? თუ არა, ისინი მთლად სადმე სხვაგან კი არ იყვნენ, არამედ ფარდობითად სადმე სხვაგან“.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს ცუდი თარგმანია და სხვათა შორის დედნისგან დამოუკიდებლადაც კი არის ნათარგმნი. მთარგმნელმა აღნიშნული ციტატა ამერიკული ტექსტიდან თარგმნა გერმანულ ენაზე, მე კი ის გერმანულიდან ქართულად გადმოვთარგმნე და შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ დედნისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ამერიკულიდან გერმანულად ნათარგმნი ტექსტი გავიხადე დედნად, რის გამოც, ვერ შევძელი ზუსტად მეთარგმნა ის აზრი ტექსტისა, რომელიც დედანშია მოცემული. ასეთი შემთხვევის დროს ვერნერ კოლერი საუბრობს „ამოსავალი ტექსტის დამოუკიდებელი თარგმნის კრიტიკის შესახებ“, კატარინა რაისი კი საუბრობს „სამიზნე ტექსტზე დამოკიდებული თარგმნის კრიტიკის შესახებ“. აქ ალბათ უნდა გამოანგარიშებულიყო სიჩქარე კმ/წმ - ში, ეი ევროპული სისტემით, ანუ აქ საუბარია ე.წ. ბუნებრივ მუდმივაზე, სინათლის სიჩქარეზე (300 000 კმ/წმ-ში) და ეს კავშირი მიანიშნებს ფარდობითობის თეორიაზე. გერმანელ მკითხველს უფრო ნაკლები ძალისხმევა სჭირდება ამის მისახვედრად, თუ სიჩქარე მითითებული იქნება მისოვის ნაცნობი საზომი ერთეულით და იგივე შეიძლება ითქვას ქართველ მკითხველზეც.

ჩვენი აზრით, თარგმანში კულტურის სპეციფიკის პრობლემა უპრეცედენტოდ დომინირებს. ეს ასხვავებს ყოველთვის რეალიების, ობიექტებისა და ფაქტების

სხვადასხვა ტიპს გარეენობრივ სინამდვილეში, რომლებიც თარგმნის დროს საკმაო სირთულეებს ქმნის. ალბრეჰტი განასხვავებს რეალიების ანუ კულტურული სპეციფიკის ოთხ ტიპს.

ა) ბუნებრივი ობიექტები, საუბარია: მცენარეებზე, ცხოველებზე, ლანდშაფტის ფორმებზე, რომლებსაც გარკვეულ ადგილებზე ვხვდებით.

მთარგმნელს უჩნდება კითხვა, რამდენად გასაგებია თავის რეგიონში ესა თუ ის მოვლენა ან სუბიექტი. მაგალითად, ცხოველები ლომი, ვეფხვი, ჟირაფი და ა.შ, ეჭვსგარეშე ცხობილია, მაგრამ საჭვროა ისეთი სიტყვები როგორიცაა *garrique*, *macchie*, *Tajga*, *Geest* და ა.შ. ზოგჯერ პრობლემა თავს იჩენს ერთსა და იმავე ენობრივ მთლიანობაში - განზომილებაში. მაგალითად, ყველა სამხრეთ გერმანელმა არ იცის სიტყვები „*Geest*“, „*Brink*“.

ბ) არტეფაქტი - (ადამიანების მიერ შექმნილი პროდუქცია, რომელიც კულტურულ მახასიათებელს წარმოადგენს).

„*Spag(h)etti*, *Tortellini*, die *Bagnette*, *Roastbeef*“ და ა.შ. ფართოდ გავრცელებული სიტყვებია და ბუნებრივია თავის უძველეს წარმომშობ რეგიონის ფარგლებს გასცდა. გლობალიზაციის ეპოქაში ნაწილი სპეციფიკური არტეფაქტებისა შემცირდა.

გ) ქვეყნის კულტურულ - სპეციფიკური ინსტიტუციები: „*კოლეჯი*“, „*საჯარო სკოლა*“, „*ზაფხულის გამოცდების ვადა*“ (*appello straordinario*) და ა.შ.

ზემოაღნიშნული სიტყვებით გამოხატული საგნებისა თუ მოვლენებისათვის სხვა ქვეყნებში შესაბამისი ეკვივალენტები არ არსებობს. მთარგმნელმა უნდა გადაწყვიტოს, მარტივად გამოხატოს თუ გამოყენების შემთხვევაში თავად მიუსადაგოს „*გონივრული*“ ეკვივალენტი? მაგალითად: „*Ferienexamenstermin*“ არდადეგების გამოცდების ვადას მოუნახოს ეკვივალენტი „*appello straordinario*,“ თუ განმარტოს თავის ენაზე? გერმანულად მოკითხვას „*Wie geht's?*“ - როგორა ხარ? უველთვის არ მიესადაგება ინგლისური ეკვივალენტი „*How are you?*“, თუ საუბარია ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

დ) კოლექტიური დამოკიდებულება საგნებსა და სიტუაციებზე.

იშვიათად, რომ ბატი ევროპულ ქვეყნებში არ აღნიშნავდეს სულელს. მაგალითად, „ის არის სულელი ბატი“ (სხვა ენებშიც ეს ასევე აღიქმება).

ეს ნიშნავს იმას, რომ კოლექტიური დამოკიდებულება ცხოველების, ინსტიტუციების ან რაღაც მსგავსი საკითხების მიმართ სხვადასხვა ენობრივ მთლიანობაში იგივე ან მეტად მსგავსია, თუმცა, ესპანურ მენტალიტეტში სიტყვა „ganso“ ან მდედრობითი სქესის „gansa“ სისულელესთან და ასევე გულგრილობასთანაც ასოცირდება.

მთარგმნელს შეუძლია უფრო მეტი მაგალითი მოიყვანოს. მას არა აქვს უფლება ამოსავალ ენაზე მოლაპარაკე ენობრივი ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშან - თვისებები უბრალოდ, მექანიკურად გადაიტანოს სამიზნე ტექსტში, რადგან ეს ამოსავალი ენის ქვეყნისათვის დამახასიათებელი კულტურული რეალიების გაუფასურება იქნებოდა. უმეტესი ლექსიკონები სწორედ ამ სახის სირთულეებს ითვალისწინებენ.

სანამ ამ პრობლემას კულტურის ფენომენიდან გამომდინარე ცნებებთან დაკავშირებით გავითვალისწინებდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მიღომის სხვადასხვა ტიპი ამრავალფეროვნებს ტექსტის სახეებს, ტიპებსა და თარგმანის მიზნებს. როცა აქ „სიტყვებით“ გსაუბრობთ, სიტყვებში კი არ ვგულისხმობთ ლექსემებს, არამედ, სიტყვებს, მოცემულს კონტექსტში და ამის ილუსტრაცია საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი მაგალითებით.

საინტერესოა, როგორ გამოიყურება თარგმნა კულტურასთან დაკავშირებული სიტყვა-ცნებებით? და რომელი თარგმნის მეთოდები შეიძლება იქნეს გამოყენებული? ნიუმარკი აძლევს მთარგმნელებს ხუთ რჩევას მეტ - ნაკლებად გამოხატული უთარგმნელობის ასპექტის გადასალახავად. ეს გახლავთ: ტრანსლაცია, ნახესხები თარგმანი, სუბსტიტუცია, განმარტებითი თარგმანი და დამკვიდრებული თარგმანი.

როგორც ვიცით (და ამას ბევრი ამტკიცებს), არ არის შეუძლებელი კულტურული განსხვავებების თარგმნა. თარგმნის მეთოდებიდან გამომდინარე, მთარგმნელის ამოცანა ისაა (რაც ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ), რომ გაგებინების ბარიერი არ წარმოშვას. მთარგმნელმა ენის შეგრძნებიდან გამომდინარე, ფაქიზი კომპეტენტური კონტაქტი უნდა დაამყაროს თარგმანის მკითხველთან ანუ ადრესატთან, რათა მოხდეს თავმოყრა ასე თუ ისე არსებული საშუალებებისა და ჯგუფურად წარმოადგინოს სხვადასხვა თარგმნის ნაირგვარი სახის სტრატეგია.

ნოიბერტი თარგმნის შესაძლებლობას ახარისხებს ტექსტის ტიპების მიხედვით. პირველი ტიპი გახლავთ „რელატიური ან კიდევ აბსოლუტური უთარგმნელობა“, მეორე ტიპი „ნაწილობრივი თარგმანი ოპტიმალურ თარგმნამდე საკმარისია“ (ტიპი მესამე და მეოთხე). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო მეორე ტიპი უნდა იყოს და რაც ყველაზე მთავარია „ნაწილობრივი თარგმანი“ უნდა განხორციელდეს, რადგანაც ამ ტიპებთან მკითხველი ნათარგმნი ტექსტისა და მკითხველი დედნისა ერთმნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მთარგმნელი ყოველთვის ფიქრობს, რა გადმოიტანოს დედნიდან შეუცვლელი და თუ რაიმეს შეცვლის, როგორ შეუსაბამოს სამიზნე ტექსტის პულტურას, რათა გასაგები იყოს მკითხველისათვის, როგორც უცხო პულტურის წარმომადგენლისათვის.

ე.წ. „პოსტმოდერნისტულ ლიტერატურის“ თეორიასა და ფილოსოფიაში, რომლის წარმომადგენლებიც გახლდათ დერიდა (Jacques Derrida) და პაულ დე მანი (Paul De Man) შემოიღეს ტერმინი „დეკონსტრუქცია“. მათ ყურადღება გაამახვილეს უთარგმნელობის ასპექტზე. ამავე დროს დერიდამ და დე მანმა წინა პლანზე წამოსწიეს ტექსტში ე.წ. „უთარგმნელი ნარჩენები“.

მიღებულია, რომ უპირველესად საჭიროა როგორმე გაიგო ტექსტი (რეცეფცია), როგორმე ჩასწვდე მის აზრს (პერცეპცია) და შემდგომ შეძლო მისი გააზრებული თარგმნა (აპერცეფცია). აქ ჩვენი ენის ცოდნა და გამოცდილება ტრადიციების გადაცემისა ქმნის საფუძველს, რომ ყოველთვის ენის ნიშნები ერთსა და იმავეს ნიშნავენ. ხატოვნად რომ ვთქვათ, გაგება შესაძლებელია, თუ არსებობს ეპთილი ნება გაგებინებისა.

რეცეფცია არის აღქმის პასიური მხარე. პერცეფცია არის უფრო ფიზიოლოგიური აღქმა აზრობრივი გადამუშავების გარეშე და აპერცეფცია არის ყოველივე ამის კომბინირება; ანუ ეს არის ისეთი გათვიცნობიერებული აღქმა და გადამუშავება ყოველივე იმისა, რაც ჩვენს ცნობიერებაში აღწევს. განასხვავებენ ტრანსცენდენტალურ და ემპირიულ აპერცეფციას. ემპირიული არის უფრო გამოცდილებასთან დაკავშირებული, ანუ ინდივიდუალური – სუბიექტური, ხოლო ტრანსცენდენტალური არსებობს უფრო ინდივიდებს შორის სხვა ინდივიდებიდან გამომდინარე და ამდენად, უფრო ობიექტური და ინტერსუბიექტურია.

ამ შემთხვევაში თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემური და გადასაწყვეტი მხარე - დეკონსტრუქცია. უხეშად უნდა ითქვას, რომ დეკონსტრუქცია, უპირველეს

ყოვლისა, წინააღმდეგია ენაში შეზღუდული ტერმინოლოგიის ლოგოცენტრისტული წარმოდგენების მიმართ. როგორც ვიცით, ნიცშე მიუთითებს ტექსტში სიტყვათა მნიშვნელობების საფუძვლიან ამბივალენტურობაზე, რომლებიც არასოდეს აფიქსირებენ კონკრეტულ აზრს: აქ ყველაფერი ტრიალებს წერილობითი ტექსტის ირგვლივ, განსხვავებით ზეპირსიტყვიერებისა, სადაც პირდაპირ წარმოდგენილია აზრი ნაფიქრალისა - თქმულისა და ერთმნიშვნელოვანია. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ტექსტი, რომელიც უნდა იყოს მრავალმხრივი და არაერთმნიშვნელოვანი, რადგანაც ის ყოველთვის სხვადასხვა სიტუაციაში ახალად და სხვაგვარად იკითხება და შესაბამისად გაიგება. კითხვის პროცესში კი ხდება რადაცის გადატანა - გადაადგილება ჩვენს ცნობიერებაში. ამის გამოა, რომ ინტერპრეტაციულად „აზრი“ არ ფიქსირდება, რადგანაც ენობრივი ნიშანი სხვაზე ახდენს აქცენტს და ყველა ავტორს შეუძლია მნიშვნელობებზე „დაუსრულებლად მიუთითოს“.

სიტყვები ისტორიულია და არასოდეს აღნიშნავენ მხოლოდ იმას, რასაც პირველად აღნიშნავდნენ, არამედ მათი მნიშვნელობის ნიუანსები ცვალებადია და ისინი დროის ფაქტორზეა დამოკიდებულნი, ანუ ზუსტად ვერ ვიგებთ იმას, რისი თქმაც სურდა ავტორს, როცა ტექსტი არათანადროულია. ლიტერატურათმცოდნებიაში ტექსტის შინაარსზე საუბრისას, ყოველთვის მიუთითებენ ე.წ. „ავტორის განზრახვაზე“.

დროთა განმავლობაში ინტერესების სფერო შეიცვალა და მეტი ყურადღება დაეთმო ენობრივ ნიშანთა სტრუქტურას. რამდენად ავტონომიური არიან ისინი? შეუძლიათ სიტყვებს იყვნენ დამოუკიდებლები და ასე აზრებსა და გაგებას მისცენ სხვა მიმართულებები? და მაშინ სად არის წინარე მნიშვნელობა? და საინტერესოა რომელი მნიშვნელობა უნდა ითარგმნოს? ან კიდევ, როგორ უნდა იმოქმედოს მთარგმნელმა, რომ მისი ოარგმანი კვლავ სხვაგვარად არ იქნეს გაგებული? აქ თავისუფლად შეიძლება მივუთითოთ სიტყვათა თამაშსა და ირონიაზე, როგორც წერის მოტივაციაზე.

ცნობიერება უცხო ენის პრინციპულად სრულყოფილი დაუფლების შეუძლებლობისა, ნიშანთა განუსაზღვრელობისა, რომლებიც მთარგმნელს შეიძლება ერთმანეთში აერიოს, ეწინააღმდეგება ორიგინალის ავტორის ცნობიერად უწყვეტი ფორმულირების წარმოდგენას. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა გვიხსნის, თუ რატომ მიიჩნევდა დერიდა თარგმნას შეუძლებლად და რატომ

თვლიდა მას ეიფორიად, მაშინ როცა ის თარგმნის თეორეტიკოსი არ ყოფილა. დერიდა უერთდება ბენჯამინის წარმოდგენას და აკეთებს კომენტარს. მისი ენისა და თარგმნის თეორია ეფუძნება მოსაზრებებს, რომ მიმიკური ანუ ამსახველი პრინციპი არის პასუხისმგებელი ცალკეული ენის სპეციფიკური მახასიათებლებისა.

ბენჯამინი გახდავთ მთარგმნელი, რომელიც საკუთარ ენაში იკვლევდა და აკეთებდა იმიტირებას, თითქოს დედაენაზე შექმნილი ტექსტი ყოფილიყოს უცხო. აქ დერიდა მიანიშნებს ბაბელის მითოსზე, რომ თარგმნა შეუძლებელია. სხვადასხვა ენის თავისებურებებიდან და განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, მთარგმნელს არ ძალუმს იგნორირება გაუკეთოს სხვადასხვა ენის გამოხატვის მრავალფეროვან ან კიდევ განსხვავებულ დონეებს და მოიქცეს ისე, თითქოს არსებობდეს შესაბამისი პირდაპირპოპორციული ურთიერთობა ენობრივ ნიშნებს შორის. განსაკუთრებით პოეზიის თარგმნის შეუძლებლობაზე მიუთითებს ის. დერიდა წერს: „მთარგმნელი კი არ მიისწრაფვის იქითქნ, რომ ესა თუ ის უნდა თქვას, დააფიქსიროს, ესა თუ ის აზრი - შინაარსი უნდა გადაიტანოს, ან რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობა უნდა გვაცნობოს, არამედ მას სურს აჩვენოს სიახლოვე-მსგავსება ენებს შორის და ამასთან დაკავშირებით განსაზღვროს მთარგმნელის შესაძლებლობები: ყოველთვის უცვლელი და გაუგებარი რჩება ის, თუ რა ხიბლავს მთარგმნელს და რა განსაზღვრავს მის ტაქტიკა-სტრატეგიას.“

ბენჯამინი ხსნის სიტყვას, როგორც ამოცანას, უარყოფას, კაპიტულაციას უთარგმნელობის წინაშე, რომელიც ეიფორიიდან გამომდინარეობს. ეს ეფუძნება იმას, რომ მოთხოვნა ორიგინალური ერთგულებისა ეწინააღმდეგება სამიზნე ენაში ენობრივი ერთეულების თავისუფალ ტრანსფორმაციას. „ეს არის ეიფორია თავისუფლებასა და ერთგულებას შორის ტექსტის მიმართ“.

აქ, ამ ქვეთავში ზემოსსენებული მეცნიერები ეწინააღმდეგებიან თარგმნის შესაძლებლობას, რაც გარკვეულწილად იმის დასაბუთებაა, რომ შეუძლებელია მნიშვნელობის პირდაპირი გათავისება-აღქმა. რთული და შეიძლება ითქვას, შეუძლებელია ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტის არსებობა ორ ენას შორის, რადგან არსებობს ფუნდამენტური სხვაობა ცალკეული ენის მენტალიტება და კულტურის სტრუქტურათა შორის. ამ დამოკიდებულებაში ყურადღებას გამახვილებოთ ისეთ ტექსტებზე, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ დატვირთვას იძენს, ასევე იმ სიტყვებზე, რომლებიც ისტორიულია და უკვე აღარ აღნიშნავენ იმას, რასაც პირველად აღნიშნავდნენ. ეს კი უშუალოდ

დროის ფაქტორითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ადგილი აქვს კონფრონტაციას მთარგმნელსა და აზრის იმ გამოხატვის საშუალებებს შორის, რომლებიც ავტორს აქვს გამოყენებული.

ასევე ვეხებით კულტურის სპეციფიკის პრობლემას, რომელიც ყოველთვის საკმაოდ პრობლემური და ამავდროულად საინტერესოცაა და რომელიც ასხვავებს რეალიების, ობიექტებისა და ფაქტების სხვადასხვა ტიპს გარეენობრივ სინამდვილეში, რაც თარგმნის დროს საკმაო სირთულეებს ქმნის.

ჩვენი აზრით, ისეთი მაღალი დონის ნაწარმოებების, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“ და ვაჟას პოეზია, კარგი, ადეკვატური გადათარგმნა ქართულიდან უცხო ენაზე შეუძლებელია, ვინაიდან ეს ნაწარმოებები იმდენადაა გაედენთილი, საოცრად როული ძველი ქართულის („ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში) კომპლექსური კვანძებითა თუ ხლართებით და აფორიზმებით, ვაჟასთან ფშაური კილოკავისათვის დამახასიათებელი ისეთი ლექსიკური მარაგითა და „არა ცოცხალი ბუნების“ ცხოველთა და მცენარეთა ამეტყველებით, რომელთა გაგება ქართველისათვისაც კი როულია, რომ მათი, როგორც უბრალოდ ტრანსფორმაცია თუ მოხდება სხვა ენაზე. თუ ტრანსორმაცია განიცადა ტექსტმა ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი თარგმანი ვერ გამოვიდა. ლოგიკურია რომ დავხვათ კითხვა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ცუდი, არაადეკვატური თარგმანი თარგმანად? ან კიდევ, თუ მას ვერ ჩავთვლით თარგმანად, მაშინ რამდენად საკმარისია მხოლოდ ტრანსფორმაცია ტექსტისა ანუ ერთი ენიდან მეორე ენაზე მხოლოდ ტექსტის შინაარსის გადატანა იმისათვის, რომ სხვა კულტურის წარმომადგენელმა გაიგოს ქართული კულტურა და ჩასწვდეს მას? ამ კითხვებზე პასუხების გაცემა წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ კვიქრობთ, კარგი იქნებოდა თუ კიდევ ერთი კვლევა მიძღვნოდა ამ კითხვების ირგვლივ არსებულ საკვანძო საკითხებს. ასე რომ, უთარგმნელობის ფენომენი თავს არა მხოლოდ ფილოსოფიური თარგმნის დროს იჩენს, არამედ ის კვლავ აქტუალური რჩება ლინგვისტურ თარგმანშიც.

### **§ 3 მთარგმნელობითი ეკვივალენტები და მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები ლინგვისტურ - ფილოსოფიურ სპექტრში**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება კიდევ ერთი საკვანძო საკითხის განხილვა, რაც იმ ნორმატულ მოთხოვნებთანაა დაკავშირებული, რომლებსაც ოდითგანვე უყენებდნენ თარგმანს. ეს არის ეკვივალენტის სტერეოტიპი. ამ პრობლემას წინა თავშიც ვეხებით, როცა ფრაზეოლოგიზმების სპეციფიკაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ამ თავში შევეცდებით ეს საკითხი სხვა თეორიულ განზომილებაში და შეძლებისდაგვარად დრმად განვიხილოთ. დროთა განმავლობაში ეკვივალენტურობის ტიპებს შორის ცვლილებები ხდებოდა, მაგრამ პრინციპი ეს თარგმანის ზოგადთეორიული საფუძვლებიდან გამომდინარე მისი ყველაზე აქტუალური პრობლემების მიხედვით აღიქმებოდა და ამდენად, ეკვივალენტურობის ცნება დროთა განმავლობაში დრმავდებოდა და კრეატიულ მრავალფეროვნებას იძენდა.

აქ ყველაზე მეტად საინტერესოა ლინგვისტურ-ფილოსოფიური საკითხი.

ეკვივალენტურობის პრობლემის ერთგვარი გამომახილია ა.კ. პელიდეის პვლევაც, რომლის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს თარგმანი, როგორც უცხოური ენის გმობლიურთან შეპირისპირების გზით შესწავლის ეფექტური საშუალება და ამას ის წარმატებით ახდენს ლინგვისტურ დონეზე. სადაც ის გამოდის რა იმ კონცეფციიდან, რომ სინტაგმატურ პლანში შეიძლება გაიმიჯნოს ხუთი რანგი, რომლებსაც შეესაბამება ხუთი ენობრივი სიდიდე - მორფემა, სიტყვა, სინტაგმა, წინანდადების ერთი წევრის სახით გაერთიანებული სიტყვათა ჯგუფი და წინადადება - ცდილობს გამოავლინოს, თუ რომელ რანგში შეიძლება დამყარდეს ეკვივალენტურობა. ორი ენის შეპირისპირებით ანალიზზე დაყრდნობით ა.კ. პელიდეის გამოაქვს დასკვნა, რომ ეკვივალენტურობის ალბათობა თანდათან იზრდება უმარტივესი რანგიდან (მორფემიდან) შემდეგ რანგებზე გადასვლის პროცესში და საბოლოოდ დასტურდება მარტოოდენ მთელი წინადადების დონეზე; საპირისპირო პროცესის დროს - ე.ი. თუ მაღლიდან დაბლა დავეშვებით, ეკვივალენტურობის ალბათობა იკლებს და უმცირეს ელემენტთან – მორფემასთან ის საერთოდ ქრება. აქედან გამომდინარე, პელიდეი აკეთებს ლოგიკურ დასკვნას, რომ ის თარგმნის უმარტივეს ერთეულად მიიჩნევს წინადადებას და არა უფრო დაბალი დონის სიდიდეს, როგორიცაა მაგალითად, სიტყვა ან კიდევ მორფემა.

ბუნებრივია, ისმება კითხვა, თუ კი წინადადება თარგმანის უმარტივესი ერთეულია, მაშინ რა მოსდის სიტყვას ან კიდევ სიტყვათშეთანხმებას თარგმნის პროცესში?

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვუშვებთ ვარაუდს, რომ პელიდეისთან თარგმნის პროცესის დროს მეტი ყურადღება გამახვილებულია წინადადების შინაარსის თარგმნასა და არა ცალკეული სიტყვის ზუსტი ეკვივალენტით გადმოტანაზე სამიზნე ენაში, ანუ, ის აქ მეტ ყურადღებას უთმობს წინადადების ლოგიკური შინაარსის თარგმნას. რასაც პრინციპში ვერ დავეთანხმებით, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ სიტყვა ან სიტყვათა ერთიანობა ქმნის წინადადების შინაარსს და ამგვარად თითოეული სიტყვის თარგმანს შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, განსაკუთრებით ორ - ან სამსიტყვიანი წინადადების დროს, ანუ ხშირ შემთხვევაში უნდა ითარგმნოს სწორედ სიტყვათა დონეზე თუ ფრაზეოდოგიურ გამონათქვამთან არ გვაქვს საქმე.

პელიდეისგან განსხვავებით მიუნდენელი პროფესორი იულიან ნაიდა - რუმელინი თარგმანის ეკვივალენტურობის ორ ტიპს განასხვავდს. ეს არის ერთი მხრივ ცდა ფორმალური ეკვივალენტურობის მიღწევისა და მეორე მხრივ - ორიენტაცია დინამიკურ ეკვივალენტურობაზე, რასაც ჩვენი აზრით, ნაიდა პრიორიტეტს ანიჭებს.

ნაიდასეული კონცეფციის შემდეგნაირი განხილვა გვხვდება ზოგიერთი ავტორის ნაშრომში მთარგმნელობით ეკვივალენტურობასთან დაკავშირებით; მათი აზრით, ფორმალური ეკვივალენტურობის პრინციპს რამდენადმე და ზოგიერთ შემთხვევაში დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპი მკვეთრად უპირისპირდება. ისინი ფიქრობენ, რომ ნაიდას ამ საკითხთან დაკავშირებულ კონცეფციაში წინა პლანზე თარგმანის პრაგმატული განზომილებაა წამოწეული, ანუ ეს არის მთარგმნელის ორიენტაცია თარგმანის ტექსტის ადრესატზე და ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირადად გამეორებული მიზნობრივი ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია ადეკვატურია ამოსავალი ტექსტის ადრესატის რეაქციისა.

იმავდროულად ნაიდა არ გამორიცხავს ფორმალური ადეკვატურობის დაცვას გარკვეული ხასიათის ტექსტებში. შეტყობინების განსხვავებულ ტიპთა გამიჯვნისას ი. ნაიდა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ ტიპში შინაარსი დომინირებს ფორმაზე. ასეთია, მაგალითად, თარგმანი, რომელიც მიზანმიმართულია შემეცნებითი (კოგნიციური) ხასიათის სიზუსტეზე. ზოგიერთ თარგმანში კი

ფორმის ელემენტები მეტ მნიშვნელობას იძენს. ვფიქრობთ, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ი. ნაიდა გამორიცხავდეს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპს; მაგრამ თარგმნის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფორმის შენარჩუნებას, მაგალითად, პოეზიაში, შესაძლოა ნაწილობრივ შეეწიროს შინაარსი და რაც, ჩვენი აზრით, დიდი შეცდომაა.

ვერ დავეთანხმებით ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, ორიგინალის მკითხველს უფრო ღრმა და მეტად გათვიცნობიერებული - ავტომატური რეაქცია აქვს ტექსტის შინაარსის მიმართ, ვიდრე რომელიმე რეციპიენტს - ამ შემთხვევაში ქართულად ნათარგმნი ტექსტის მიმღებს.

იმავე ავტორებთან ვხვდებით შემდეგ მოსაზრებას: “დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპის დაცვით შესრულებული თარგმანისათვის, ნაიდას აზრით, დამახასიათებელია გამოხატვის ფორმათა ბუნებრიობა და სიმსუბუქ-შეტყობინების მიმღებს, ამ შემთხვევაში არ მოჰთხოვება ესმოდეს ორიგინალის კულტურის კონტექსტი, პირიქით - მას სთავაზობენ ქცევის ისეთ მოდუსს, რომელიც მისი საკუთარი კულტურის კონტექსტს უფრო შეესაბამება.”

ამ აზრსაც ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ორიგინალის კულტურის კონტექსტის გარკვევა-გაგება ყველა შემთხვევაში აუცილებელია თარგმანის ადრესატისათვის და შეუძლებელია თარგმნა ისე, რომ ადრესატისათვის ორიგინალის კულტურის კონტექსტი შეუსაბამო მისი საკუთარი კულტურის კონტექსტს. მკითხველი ვერ იგებს ბოლომდე ტექსტს თუ არა გვაქვს წარმოდგენა ორიგინალის გარკვეული კულტურული სპეციფიკისა და არც აინტერესებს როგორც თარგმანის მკითხველს ნათარგმნის წაკითხვა, თუ მას უცხოურ კულტურასა და მის კონტექსტზე წარმოდგენა არ შეექმნება ან რაიმე ახალს არ გაიგებს მასზე.

ეკვივალენტურობის პრობლემას თარგმანში ასე დაწვრილებით იმიტომ ვეხებით, რომ მისი ნაირსახეობა კომუნიკაციურად ლირებულია და ჩვენს შემთხვევაში დისერტაციის ერთ მთავარ საკითხს - ლინგვისტურ დონეზე თარგმნას აბსოლუტურად პასუხობს და უფრო მეტიც: ამ პრობლემის გადაწყვეტის წინაპირობასაც წარმოადგენს. რაც შეეხება ენის სტრუქტურას - შიდაენობრივი პრაგმატული მნიშვნელობის ინვარიანტის შენარჩუნება - ასევე პასუხია ამ საკითხთან წამოჭრილ კითხვებზე. ენის ეკვივალენტურობასთან მიდგომის დიფერენცირებული კუნქტები თავისთავად განაპირობებს სტრუქტურასთან

დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის მიზანდასახულ გადაჭრას, ანუ ჩვენი აზრით, ეკვივალენტურობა მარტო შინაარსობრივი მხარის მეტნაკლებად ადექვატური გადმოცემის აუცილებელ პირობას კი არ წარმოადგენს, არამედ ამით ენობრივი სტრუქტურის ფენომენსაც ანგარიში ეწევა.

ეს ლინგვისტურ დონეზე, მაგრამ რა ხდება ფილოსოფიურ დონეზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ შევეხებით მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ტიპოლოგიას და შემდეგ დასკვნის სახით შევეხები ფილოსოფიური თარგმნის ასპექტს მთარგმნელობით ეკვივალენტებსა და მთარგმნელობით ტრანსფორმაციებთან მიმართებით.

## მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები

მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები თარგმნის თეორიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ცნებას წარმოდგენს, თუ გამოვალთ ზოგადად მისი ფენომენის და კონკრეტულად მისი ტიპების ხასიათიდან. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ტრანსფორმაცია გულისხმობს თარგმნის პროცესში გამოხატვის ერთი ფორმის მეორე ფორმით, უფრო ზუსტად კი, ამოსავალი ტექსტის ფორმების თარგმანის ტექსტის ფორმებით შეცვლას. ამას ისინი ხევანაირად თვისებრივად ნაირგვარ ენათშორის მოდიფიკაციებსაც უწოდებენ, სადაც აქცენტი ძალიან უბრალოდ ამოსავალი ტექსტის ფორმის თარგმანის ტექსტის ფორმით შეცვლას უკეთდება. თარგმნის ყველა თეორეტიკოსი ცდილობს შემოგვთავაზოს მთარგმნელობით ტრანსფორმაციათა ცნების საკუთარი გაგება და ტიპოლოგია. ყველა ეს კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, ინდივიდუალურია და მეტ-ნაკლებად პირობითიცაა. აქ გვყავს როგორც თარგმნის თანამედროვე თეორიაში პოპულარული ლექსიკური ტრანსფორმაციების ტიპები ი. რიცპერის მიხედვით და მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ტიპოლოგია ლ. ბარხუდაროვის კონცეფციიდან.

ლექსიკური ტრანსფორმაციების ეს ტიპებია (რიცპერის მიხედვით):

1. მნიშვნელობის დიფერენციაცია;
2. მნიშვნელობის კონკრეტიზაცია;
3. მნიშვნელობის გენერალიზაცია;
4. აზრობრივი განვითარება;
5. ანტონიმური თარგმანი;
6. მთლიანობითი გარდაქმნა;
7. თარგმნისას დანაკარგთა კომპენსაცია.

ლ. ბარხუდაროვი თვის კონცეფციაში გამოყოფს ტრანსფორმაციების 4 ბაზისურ ტიპს: 1. გადასმა; 2. შეცვლა; 3. დამატება; 4. გამოკლება. ტრანსფორმაციათა ეს ტიპები ასე გამოკვეთილად (კონკრეტულად) არ გვხვდება ან კიდევ იშვიათადაა წარმოდგენილი. უმეტესწილად მათ კომბინაციური ხასიათი აქვთ.

ამ ორი მეცნიერის ტიპოლოგიებიდან პრიორიტეტს რიცპერის ლექსიკური ტრანსფორმაციების ტიპებს მივაკუთვნებდით. იქიდან გამომდინარე, რომ პირდაპირი

თარგმანის ტრანსფორმაციულით შეცვლა დაკავშირებულია ორი ენის ლექსიკის სერიოზულ განსხვავებასთან, მნიშვნელობის როგორც დიფერენციასა და ასევე მის კონკრეტული მნიშვნელობისთვის და გენერალური მნიშვნელობისთვის და რაღა თქმა უნდა, წინადადების ლოგიკურ სტრუქტურასთან. რიცხვი ამ დროს აქცევატირებას უკუთხებს თარგმნის პროცესში ორი ენის, როგორც შეპირისპირებას, ასევე ენის ხატოვანების რაგვარობასაც.

თუ რა ამოცანა ეკისრება თარგმნელობითი ტრანსფორმაციების შერჩევას, მივცვდებით, თუ ამას ყველაფერს თარგმანის კომუნიკაციური გაგების ჭრილში განვიხილავთ, როცა წინადადების ნომინაციურ და კომუნიკაციურ ასპექტებს ვთვალისწინებთ, რასაც ტექსტში ტექსტობრივ კატეგორიათა რეალიზებასთან მივყავართ.

ლინგვისტურ სპექტრში მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ფენომენის განხილვისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუკი თარგმანის თეორიის განვითარების ადრეულ ეტაპზე ენობრივი იმანენტიზმის გავლენით თარგმანი როგორც წმინდა ენობრივ ოპერაციად მოიაზრებოდა, მოგვიანებით თარგმანის თეორიაში, ისევე როგორც მთელ ლინგვისტურ აზროვნებაში, ცენტრალური ადგილი პრაგმატიკამ და კომუნიკაციამ დაიკავა და თარგმანის ფენომენის განსაზღვრაც ისეთ ცნებებს დაეყრდნო, როგორიცაა კომუნიკაციური სიტუაცია და კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობა, ხოლო რაც შეეხება მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ტექსტოლოგიზაციასა და პრაგმატიზაციას, ის გულისხმობს ტრანსფორმაციების განხილვას წინადადების ფარგლებს გარეთ და აქ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ შეუძლებელია გავაანალიზოთ წინადადებები გრამატიკულად და შესაბამისად ადეკვატურად ვთარგმნოთ იგი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინადადების გარემოცვას, მის ადგილს მიკრო - და მაკროკონტექსტებში. ეს კატეგორიები ტექსტობრივი კატეგორიებია, რომლებიც ემსახურებიან შიდატექსტობრივ შეკავშირებულობას ანუ კოპერენტულობას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დასკვნაში შევეხებოდით მთარგმნელობითი ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების განხილვას ფილოსოფიურ ჭრილში, რადგან წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიზანია ფილოსოფიის ფოკუსირება იმ ენობრივ მოვლენებზე, რომელთა ახსნა და რეცეფცია მხოლოდ ლინგვისტური განზომილებებით შეიძლება მოხდეს.

ამასთან დაკავშირებით, უფრო და უფრო იკვეთება და წინ წამოიწევა ის ფაქტორი, რომ ენის ლოგიკა და ენობრივი სტრუქტურა შეცნობადის, აღსაქმელის წინაპირობასა და საზღვრებს გამოხატავენ. ჩვენს შემთხვევაში, ეს შეიძლება ითქვას, არის მდინარის შენაკადები, რომლებიც ერთ საერთო მდინარეს, აქ - თარგმანს უერთებიან. ეს კიდევ ერთი კონსტელაციაა იმ ფაქტორისა, რომ ფილოსოფიური აზროვნება ამით ენის იმ ანალიზურ კონცეპტებს მიჰყვება, რომლებიც ჩვენს შემეცნებითს შესაძლებლობებს ენის სტრუქტურაში განაპირობებენ.

მთარგმნელობითი პრობლემის გადაწყვეტის ფილოსოფიურ ჭრილში, ჩვენი აზრით, მთარგმნელობით ეკვივალენტებზე მეტ როლს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები თამაშობს. ცნობილი მოსაზრების მიხედვით, არ არსებობს ერთ ენაში გამოყენებადი სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი მეორეში. სწორედ ამიტომაა, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით მეტად გამართლებულია ტრანსფორმაციათა მეტი გამოყენება თარგმნის პროცესში ვიდრე მთარგმნელობითი ეკვივალენტებისა. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი ჩვენეულ მოსაზრებას, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით ე.წ. თავისთავადი თარგმანი, როგორც შედეგი ცნებისა ვერ ან ძალიან ძნელად შედგება.

აქ კი დავუბრუნდებით და განვავრცობთ წინა თავებში განხილულ პრობლემას, თუ რა პოზიცია უკავია თარგმანს ახსნისა და გაგების – კლასიკურ ალტერნატივასთან მიმართებით.

ენის ანალიზური თეორია ამით ფილოსოფიურ პერმენევტიკაში თავის პოზიციას ამყარებს და გამოდის იმ არგუმენტიდან, რომ თარგმანი კულტურებს შორის კულტურების ახალ პიბრიდებამდე მიგვიყვანს, რაც საბოლოოდ უთარგმნელობის ფენომენში იყრის თავს. აქ კი გაიქდერებს ასეთი კითხვა: იქნებ თვით უთარგმნელობის ფენომენი (თარგმნისადმი ფილოსოფიური დამოკიდებულება) გახდის მთარგმნელობითი ტრასფორმაციების ფაქტს შესაძლებელს?!

**თავი IV ენის ლოგიკისა და ენობრივი სტრუქტურის როლი როგორც  
ინტრალინგვისტურ, ასევე ექსტრა- და ინტერლინგვისტურ  
პარამეტრებში**

**§ 1 ენის პრაგმატიკული ასპექტები ინტრალინგვისტურ და ინტერლინგვისტურ  
პარამეტრებში თარგმნის დროს**

თარგმანის ფენომენის არსიდან გამომდინარე, რელევანტურია პრაგმატიკული ასპექტების შიდაენობრივ და ენათმორის კომუნიკაციაში განხილვა და ჩართვა. აქ შეიძლება შევიტანოთ ისეთი ლინგვისტური ცნება, როგორიცაა „თარგმანის პრაგმატიკა”, სადაც თავს იყრის როგორც ინტრა - ასევე ექსტრალინგვისტური ასპექტები. აქ ხდება როგორც ქ. წ. "შეჯახება" ამ ასპექტებისა, ასევე მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რაც საკმაოდ რთულია, რადგან თარგმანის ენა ხშირად არ შეიცავს ისეთ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომ ზუსტად და უდანაკარგოდ გამოხატოს თარგმანში საწყის ტექსტში გაინტენსიურებული არაერთი უნიკალიზმი, რომელიც დაკავშირებულია როგორც ამოსავალი ენის სპეციფიკასთან, ასევე მის ეთნოკულტურულ რეალობასთანაც.

თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ეკვივალენტურობა გაიგება როგორც ზოგადტრანსლაციური კატეგორია - ძირითადი მოთხოვნა ყოველგვარი სახის თარგმანისათვის, განურჩევლად მისი ჟანრული სახეობისა (სამეცნიერო-ტექნიკური, პუბლიცისტური, ბელეტრისტული) და განურჩევლად მისი შესრულების ფორმისა (წერილობითი, ზეპირი, სინქრონული). იმ პირობით, რომ სწორედ შეტყობინების პრაგმატიკული ინტენციიდან გამომდინარე, სხვადასხვა შემთხვევაში ასევე სხვადასხვა სახის ეკვივალენტურობა შეიძლება იყოს დომინანტური.

იმისათვის, რომ მთარგმნელი, როგორც შეტყობინების (გზავნილების) ავტორის თარგმანი, რაც შეიძლება ეფექტური და აქტუალური რომ იყოს, ამისათვის საჭიროა მან ყველა ის პრაგმატიკული ფაქტორი გაითვალისწინოს, რომლებმაც ორიგინალის შექმნაში დიდი როლი ითამაშეს. ამის გაუთვალისწინებლად იქნებოდა თარგმნითი მოღვაწეობა ნაკლებ ნაყოფიერი და არამრავალფეროვანი, როგორც ლინგვისტურ, ასევე ფილოსოფიურ ჭრილში.

არაერთხელ ითქვა, რომ მთარგმნელი არ არის „თავისუფალი“ შემქმნელი (პროდუცენტი) ნათარგმნი ტექსტისა, არამედ ის ახდენს ორიგინალური ტექსტების რეპროდუცირებას და აგრძნობინებს თარგმანის მკითხველს, რომ როგორც თარგმანი, ასევე ისიც დამოკიდებულია, როგორც ორიგინალის ავტორზე ასევე მის ტექსტზე. აქ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ დროის ის დიმენზია, რაც ორიგინალსა და თარგმანს შორის ბევს. რაც უფრო მეტად არის ტექსტი ორიგინალი დროის კონტექსტში ჩაქსოვილი, მით უფრო რთულია მთარგმნელისთვის მისი აღქმა - გაგება. ამის შემდეგ მთარგმნელი დგება დილემის წინაშე, თუ როგორ შეიძლება ასეთი ხასიათის ტექსტის ისე მიწოდება მეორადი რეციპიენტებისათვის (თარგმანის მკითხველთათვის), რომ განსაკუთრებით გააქტუალურება არ მოხდეს ნათარგმნი ტექსტისა. აქ. ე.წ. „დროის პრაგმატიკის“ პრობლემა დაკავშირებულია ენის განვითარების სხვადასხვა ფაზასთანაც. ამ დროს ორიგინალის ტექსტი მდიდარია ისეთი პრესუპოზიციებით, რომლებიც ორიგინალის მკითხველთათვის (იმ კულტურისა და ენობრივი ჯგუფის წარმომადგენელთათვის, რომელსაც ავტორი ეკუთვნის) არაა მოულოდნელი, მაგრამ მოულოდნელი და პრობლემურია როგორც მთარგმნელის, ასევე მისი თარგმანის ადრესატებისათვის.

როგორც ცნობილია, პრაგმატიკა ლინგვისტიკის ის სფეროა, რომელიც სისტემურ კავშირთა თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ასევე ნაკლებადაა გამოკვლეული პრაგმატიკული ნიუანსები ინტრალინგვისტურ და ინტერლინგვისტურ პარამეტრებში თარგმნის დროს.

ტექსტი, როგორც ასეთი ენობრივი ქმნილება, იქმნება ადამიანებისათვის ადამიანის მიერ. ეს ეხება ნათარგმნ ტექსტებსაც, ამიტომ ყოველთვის მთავარია ის, რომ ამოსავალი ტექსტის მიზანი, მისი პრეტენზიები და მისი მოლოდინიც ადეკვატურად აისახოს სამიზნე ტექსტში. თარგმანის პრაგმატიკა გაიგება, როგორც დამოკიდებულების მთლიანობა ტექსტობრივ და ენობრივ მოცემულობებს შორის. იმისათვის, რომ თარგმანის პრაქტიკა კარგად გავიაზროთ (რაც ენებს შორის პარამეტრშია მოქცეული) აუცილებელია ჯერ კარგად გამოვლინდეს ინტრალინგვისტური კომუნიკაციის კანონზომიერებები, სადაც როგორც ენობრივი ასევე გარეენობრივი ფაქტორები საკმაოდ მკვეთრად წარმოაჩენენ კომუნიკაციის პროცესზე პრაგმატული განზომილების გავლენის ნიშნებს.

პრაგმატიკა შეისწავლის ენის ლოგიკის და სტრუქტურის როლს მის მომხმარებელთან დამოკიდებულებაში და ეს ხდება სამეტყველო სიტუაციის

სოციალურ - კულტურული კონტექსტის ფონზე. ე.ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენის ნიშნებს იგი იკვლევს კომუნიკაციის სუბიექტთან დაპავშირებით.

ნელი საყვარელიძის აზრით, „პრაგმატული ურთიერთობანი თარგმანში, დაპირისპირებულ ენებში არსებული ზოგიერთი უნიკალურისა და ასევე განსხვავებული გარეენობრივი სამყაროს განზომილებათა ურთიერთმიმართებისას, განსაკუთრებით პრობლემატურია და მოითხოვს მთარგმნელისაგან ურთულეს ენობრივ ძიებას, რასაც ცნობილმა გერმანელმა მთარგმნელმა და თეორეტიკოსმა ა. ჯურელამ „ჯოჯოხეთური სარჯელი“ უწოდა (თბილისის უნივერსიტეტის შრომები 1999: 109)

საწყისი ტექსტის კომუნიკაციის სუბიექტის პრაგმატული ინტენციის გაგება მთარგმნელისაგან მოითხოვს მისი ინტელექტუალური არსენალის დიდ მობილურებას, რათა მან მეორადი კომუნიკაციის ფაზაში პირველადი შეტყობინების ხელახალი კოდიფიცირება ამოსავალი ენის ლოგიკურ-სტრუქტურული ფაქტორის სწორი გათვალისწინებით შეძლოს. ეს კიდევ ერთხელ მოითხოვს მთარგმნელისაგან სამიზნე ენის ანუ მისი მშობლიური ენის ისეთი ენობრივი ნიშნების იმ ერთეულთა აქტივიზაციას, რომლებიც ერთი მხრივ შეესაბამება ამოსავალი ენის სიგნიფიკატურ მნიშვნელობას და მეორე მხრივ პარმონიაშია თარგმანის ენის ნორმებთან და თარგმანის მკითხველის აღქმითს შესაძლებლობებთან.

დღის წესრიგში დგება ის პრობლემური საკითხი, რომ სამიზნე ენის შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია იმისათვის, რომ ზუსტად და უდანაკარგოდ გადაიტანოს თარგმანში ამოსავალ-საწყის ტექსტში გამოყენებული არაერთი უნიკალური მომატება. რაც გამომდინარეობს ამ ერის და ამ ენის როგორც სფერიფიკიდან, ასევე მისი ეთნოკულტურული ყოფითი რეალიებიდან.

ჩვენი აზრით, რადგან ენობრივ ასპექტებს გარკვეულ წილად სწორედ გარეენობრივი ფაქტორები მართავს, და პირიქით, გარეენობრივი ფაქტორები ორიენტირებულია თვით ენობრივ ასპექტზე, პირობითია და ზოგჯერ არც კია გამართლებული, საკუთრივ ენობრივი და გარეენობრივი ასპექტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ეს მაშინ, როცა თარგმანის პრაგმატიკაზე ვსაუბრობთ. მიუხედავად ამისა, თარგმანის ენობრივ სისტემაში მაინც შესაძლებელია გარეენობრივ სისტემათა მოქმედების კვალის ამოცნობა, სადაც პრაგმატიკული ურთიერთობა-დამოკიდებულებები თარგმანის ტექსტის მთელ ენობრივ სტრუქტურაშია ჩაქსოვილი.

თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული მხარე შეიძლება ვეძიოთ ფილოსოფიური თარგმნის და არა მხოლოდ ფილოსოფიურ-მეცნიერული ტექსტის თარგმნის პრიზმაში. წინა თავებში, სადაც ვეხები ფილოსოფიურ თარგმანს და ჩვენებლ ინტერარეტირებას ვუკავებ მას, აღვნიშნავთ, რომ ფილოსოფიური თარგმანი წარმოადგენს მთარგმნელის მცდელობას სათარგმნი ორიგინალის ავტორის იმპლიციტური ნაზრევისა და თვით ტექსტის ძირითადი აზრების გადმოტანა - გადმოთარგმნას სამიზნე ენაში. გამომდინარე აქედან, ფილოსოფიური თარგმანის პრაგმატიკა უნდა წარმოადგენდეს სწორედ მთარგმნელის პრაგმატიკულ დამოკიდებულებას დედნის ავტორისა და ტექსტის ძირითადი აზრების გაგებასთან და მის გადმოტანა -გადმოთარგმნასთან სამიზნე ტექსტში. რაც ასევე მთარგმნელის პრაგმატულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს, ანუ, საუბარია არა მარტო შინაარსობრივი ინგარიანტის შენარჩუნებაზე, არამედ ავტორის იმ ჩანაფიქრის თუ ინტენციის მთარგმნელის მიერ გაგება-გააზრებაზე, რაც წითელ ზოლად გასდევს წყარო ტექსტს და რაც დაკვირვებული მთარგმნელისათვისაც სტრიქონებს შორის არც თუ ისე ადვილი ამოსაკითხია.

ამ შემთხვევაში, რაც ენობრივ ნიშნებს შეეხება, ჩვენი აზრით, დასაშვებია ენობრივი უზუსიდან გადახვევა და მთარგმნელის მიერ ოკაზიონალიზმების შემოტანა. და ეს უკანასკნელი კი, თარგმანის არა მარტო ესთეტიკურ- ემოციურ ფონს აძლიერებს, არამედ ლინგვისტური თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესოა.

თარგმანის ლინგვისტურ მოდელში შედის ის ნიუანსიც, რომ მთარგმნელი თავისი შეუცდომელი ალლოთი გრძნობს თუ ენობრივ ელემენტთა როგორი კომბინაცია არის ერთის მხრივ მოსალოდნელი და უზუალური და მეორე მხრივ ოკაზიონალური, მოულოდნელი ან კიდევ არაკონვენციონალური. ეს უკანასკნელი კი აძლიერებს სამიზნე ტექსტის ექსპრესიულ ძალას. აქ ხდება ნორმატიული ფორმების ისეთი არაკონვენციონალური ფორმებით ჩანაცვლება, რაც განპირობებულია მთარგმნელის პრაგმატული ინტენციით. ამით, რა თქმა უნდა, არ გგულისხმობთ იმას, რომ მთარგმნელმა ე.წ. ზედმეტი „თავისუფლების“ უფლება უნდა მისცეს თავს. თვით ოკაზიური ელემენტებიც ასე თუ ისე გარკვეულ ენობრივ ჩარჩოში მოთხოვნებსა და შეზღუდვებს ემორჩილება.

როცა ვცდილობთ ფილოსოფიურ პრიზმაში განვიხილოთ ეს მომენტი, აქ გვიქრობთ, ზუსტად არაკონვენციონალური ენობრივი ფორმებით ხდება იმ რადაცის, რაც სათარგმნი ტექსტის კოდის კოდია, ჯერ ორიგინალის ავტორის

მიერ, ხოლო შემდეგ მთარგმნელის მიერ დეკოდირება და მისი სამიზნე ენაში აღნევატური გადატანა.

თუ კი მხატვრული თარგმანის ქანრის სტილიდან გამომდინარე, ისევ ე.წ. „Kurzgeschichte“- ებისა და იდიომა-მეტაფორების თარგმანის სპეციფიკას დავუბრუნდებით, მაშინ ყოველივე ამას მთარგმნელის პრაგმატულ მიზანს შემდეგნაირად მოვარგებდით: ამ შემთხვევაში ხაზი ესმება ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტურობის ფენომენს; ამით იგულისხმება მთელი იმ სტილისტიკური ნიშნების ესთეტიკური ეკვივალენტურობისთვის ხორცშესხმა, რაც მოცემულია საწყის ტექსტში. აქ იგულისხმება აგრეთვე, ავტორის როგორც მხატვრული აზროვნების, ასევე მისი ფილოსოფიური ჩანაფიქრისა და ფსიქოლოგიური დამოკიდებულების შეძლებისდაგვარად ანალოგიური გადმოტანა მეორადი კომუნიკაციის სიტუაციაში. აქ ხშირად შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო ფილოსოფიური, არამედ ლინგვოსტილისტიკური პრობლემებიც. აქვე უნდა კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ე.წ. „Incommensurabilität“- ის („უთარგმნელობის“) სტატუსი. ჩვენი აზრით, ზუსტად უთარგმნელობის ფენომენი განაპირობებს ზოგჯერ თარგმანის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, თარგმანის ტექსტის სტრუქტურის აგებაში საოცრად იწევს პრაგმატიკულ-ტრანსფორმაციათა წვლილის ხვედრითი წონა. მაგალითისათვის მოვიყვანდი ზღაპრის დასათაურებასთან დაკავშირებულ ჩვენებულ არგუმენტს. მაგალითად, გერმანული ზღაპარი „Aschenputtel“- ი რომ ქართულად შესაბამისი ფუნქციური სახელით, „ნაცარქექია“- თი ვთარგმნოთ, ეს მიგვიყვანდა საოცრად დიდ აზრობრივ - იდენტურობრივ დარღვევასა და გაუგებრობასთან ორივე ერის კულტურული სფერიფიკისა და მენტალიტეტიდან გამომდინარე, რადგან საქართველოში ნაცრის ფენომენი და ნაცართან დაკავშირებული საქმიანობა უფრო უსაქმურობა - სიზარმაცის პრიზმაში წყდება: „ნაცარქექია“ ქართულ სინამდვილეში დაკავშირებულია ზარმაც, უქნარა ადამიანთან. „Aschenputtel“-ი გერმანულ სინამდვილეში ზღაპრის პერსონაჟია, რომელიც ბევრს შრომობს, მაგრამ დარიბია და დაკონკილი ტანსაცმლითაა შემოსილი. „Aschenputtel“-ის ქართულად „კონკიად“ თარგმნა კი გვიხსნის ამ დილემისაგან და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. ამით კი თავისებური ხარკი გადაეხდება როგორც ნაწარმოების ლოგიკურ შინაარსიდან გამომდინარე მისი

ფუნქციური სახელის (დასათაურების) სისტორეს, ასევე გულტურული მახასიათებლების სპეციფიკასაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თარგმანის პრაგმატიკა და მთარგმნელის პრაგმატიკული მიზანი პირდაპირ უკავშირდება მთარგმნელის, როგორც ინტერპრეტატორის სუბიექტურ ფაქტორს. სადაც მთარგმნელის ადქმითი უნარ-ჩვევები, ფილოსოფიურ-პერცეპტული შესაძლებლობები, ფსიქოლოგიური განწყობა, საკუთარი თავის შეფასება, ენობრივი შესაძლებლობების კომპეტენცია ძალიან დიდი და საპასუხისმგებლო გამოცდის წინაშე დგება.

## § 2 ენის ლოგიკურ - სტრუქტურული ფაქტორები როგორც ინტრალინგვისტურ ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში თარგმნის დროს

თარგმანი ენათშორისი კომუნიკაციის აქტია, ამდენად ის არის ენგბშორისი დისკურსიც, ანუ ინტერლინგვალური კომუნიკაცია. სადაც ასეთი კომუნიკაციაა, როგორც ეს ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, იქ გვაქვს განსახვავებული ენა, პულტურა, განსხვავებული სამეტყველო სიტუაცია, რაც ერთხელ კიდევ იმის საფუძვლიანი არგუმენტირებაა, რომ თარგმანი მოიცავს როგორც ენობრივ, ასევე გარეენობრივ ფაქტორებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ესაა ენის ლოგიკურ - სტრუქტურული მახასიათებლები, როგორც ინტრა-, ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში, მოკლედ ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში. აქ ბუნებრივია დღის წესრიგში დგება კიდევ ერთი, თარგმანში როგორც ენობრივი, ასევე გარეენობრივი ფაქტორების ურთიერთმიმართების, როლისა და ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ამიტომ აქ მოვიყვანთ ჯერ თარგმანის ცნობილ მოდელებს, სადაც ნათლად არის ასახული თარგმნის პროცესის არსებითი შტრიხები და ამის შემდეგ ამას დავუპირისპირებთ, შევადარებთ საკუთარ მოდელს და ყოველივე ამის საფუძველზე შეძლებისდაგვარად გამოვიტანთ ლოგიკურ დასკვნებს.

ამასთან დაკავშირებით შევეცდებით მეტ-ნაკლებად ვუპასუხოთ შემდეგ ძირითად კითხვებს 1) რამდენი სახის კომუნიკაცია არსებობს თარგმანში, 2) არის თუ არა თარგმანი წმინდაენობრივი ფაქტორი 3) და თუ არა, მაშინ რა გარეენობრივი სიტუაციებია ყველაზე მეტად გასათვალისწინებელი, 4) როგორ უნდა გავიაზროთ და გადავლახოთ (საჭიროა კი გადავლახოთ?!?) თარგმანის ორბუნებოვნება? როგორი ეკვივალენტი უნდა შევუსაბამოთ ამოსავალ ტექსტში მოდიფიცირებულ ექსტრალინგვისტური რეალობის ისეთ გამოვლინებებს, როგორცია: ეთნოგრაფიული, კულტურული, პოლიტიკური, სოციალური და ისტორიული რეალიები?

ცნობილ თეორეტიკოს ო. კადეს ენათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი მოდელი ითვალისწინებს თარგმნითი პროცესის სამ ფაზად დაყოფას: 1) ერთის მხევრივ კომუნიკაცია ორიგინალის ავტორსა და მთარგმნელს - როგორც მიმღებს შორის; 2) მთარგმნელის მიერ ორიგინალი ტექსტის კოდის შეცვლა თარგმანის ენის კოდით; 3) მეორადი კომუნიკაცია მთარგმნელს - როგორც პროდუცენტსა და თარგმანის მიმღებს შორის. ამ სქემის მიხედვით ხაზი ესმება თარგმნის პროცესის

პირველადი და მეორადი კომუნიკაციების როლს, კოდის გაგებას, ახესნას, გახსნასა და ადქმას როგორც პირველადი, ასევე მეორადი კომუნიკაციების აღრესატებსა და ადრესანტებს შორის.

კადესთან დიდ როლს არ თამაშობს ექსტრალინგვისტური ფაქტორები, ის ცდილობს თარგმნის პროცესი წმინდა ინტრალინგვისტურ ჭრილში განიხილოს, რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გარეენობრივი ფაქტორების უდიდესი გავლენის და შესაბამისი გადამუშავება - ტრანფორმაციის შედეგია თარგმანი.

ჩვენი თვალსაზრისის ვერიფიცირებისათვის შეგვიძლია მოვიშველიოთ პოლის თეზისები და არგუმენტები კონტექსტზე დამოკიდებული კონტექსტიდან გამომდინარე და კონტექსტისგან დამოუკიდებელი კულტურების განსხვავებული პოზიციის შესახებ, რომლებსაც საკმაოდ დამაჯერებლად მივიჩნევთ, თუნდაც იმიტომ, რომ პოლი ამას არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ანთროპოლოგიური კუთხითაც იხილავს. კონტექსტში იგულისხმება ტექსტში მოდიფიცირებული ექსტრალინგვისტური რეალობის ისეთი გამოვლინებები, როგორიცაა: ეთნოგრაფიული, კულტურული, პოლიტიკური, სოციალური და ისტორიული რეალიები, სივრცობრივი და კლიმატური განზომილებები, სივრცობრივი დისტანცია კომუნიკაციის პარტნიორებს შორის, წარსულში მომხდარი მოვლენები, რომლებიც არაპირდაპირ უკავშირდება აწმყოში მიმდინარე კომუნიკაციას. ერთი სიტყვით, კონტექსტი „შეკორიზებულია“ უთვალავი ცალკეული რელევანტური და ერთი შეხედვით არარელევანტური ფაქტორით.

კონტექსტზე დამოკიდებულ კულტურებში კომუნიკაციის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აქ შედარებით ნაკლები ითქმება ან კიდევ დაიწერება, რადგან ინფორმაცია დიდი რაოდენობითაა ირგვლივ სივრცეში და თვით კომუნიკატორშიც, ამიტომაა რომ ამ კულტურის ვერბალურ კომუნიკაციაში ახალი ამბის მხოლოდ პატარა ნაწილის ექსპლიციტური დეკოდირება და გაგზავნა ხდება. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ შეტყობინების გაგზავნაში დიდ როლს არავერბალური კომუნიკაცია თამაშობს, ამიტომაა, რომ ამ სახის კულტურებში ინფორმაციის მნიშვნელოვანი შინაარსი, იმპლიციტური, უზომოდ კოდირებული კომუნიკაციის პირობებში, ხშირად მხოლოდ არაპირდაპირ მოიხსენიება, როცა სავარაუდოდ არაარსებითი შინაარსი, როგორიცაა რაღაც

დეტალი, მეორეხარისხოვანი, თანმხლები ინფორმაცია ან კიდევ მინიშნებები, შეიძლება ყურადღების ცენტრში მოექცეს.

ისეთ კულტურებში (დასავლეთში) რომლებიც კონტექსტზე არაა დამოკიდებული, ასეთივე ხასიათის კომუნიკაცია დომინირებს. კომუნიკაციის პარტნიორები ძალიან ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საუბრის კონტექსტს. მთავარი აქცენტი შინაარსის საექტრზე კეთდება და ამიტომაც აქ საუბარს პირდაპირი, ერთმნიშვნელოვანი, ლინეარული და შინაარსობრივი ხასიათი აქვს.


ინდივიდუალისტურად ორიენტირებულ კულტურებში (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, აშშ და ა.შ) სავსებით ნორმალურად აღიქმება კომუნიკაციური კონფრონტაცია, სადაც მთავარი დატვირთვა ცალკეულ ინდივიდებსა და მათ ინტერესებზე მოდის. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური შეტყობინები დომინირებს როგორც კომუნიკაციურ ქმედებებში, ასევე გადაწყვეტილებების მიღებაშიც.

კოლექტივისტურად ორიენტირებულ კულტურებში (იტალია, საქართველო და აზიის ქვეყნების უმეტესობა) კი მეტი ყურადღება საზოგადოებრივ ინტერესებს ეთმობა, სადაც ინდივიდუალური ინტერესები და მოთხოვნები უმეტესად მთელი კოლექტივის ინტერესებს ექვემდებარება და მათითაა განპირობებული.

კადეს საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებს ლ.ს. ბარხუდაროვი თავის მთარგმნელობით მოდელში, სადაც იგი თარგმანის თეორიის სამი აუცილებელი წინაპირობიდან გამოდის. პირველი არის შეტყობინების ობიექტი; მეორე - სამეტყველო - კონტაქტური სიტუაცია და მესამე - კომუნიკაციური სიტუაციის მონაწილენი. ბარხუდაროვისათვის მთარგმნელობით პროცესში არსებული სამეტყველო სიტუაცია წარმოუდგენელია გარეენობრივი ფაქტორების გარეშე. მისი აზრით, ისინი შედევლაბებულია იმ ენობრივ საშუალებებთან, რომელთა საფუძველზეც ტექსტის პროდუქცია ხდება, რომლის შინაარსის გაგება რეციპიენტის მიერ სწორედ ექსტრალინგვისტური ასპექტების არსებობით ხორციელდება.

აქვე უნდა შემოვიტანოთ შედევლის ფონის ფსიქოლოგიურ-კომუნიკაციური სქემა, რომელიც უშუალოდ თარგმნის პროცესის მოდელს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი ლინგვისტურ-ფსიქოლოგიური ხასიათი, ჩვენი აზრით, კარგად ერგება მთარგმნელობით პროცესში არსებული კომუნიკაციის სახეების გაგება - გააზრებას როგორც ინტრა, - ასევე ექსტრალინგვისტურ დიმენზიაში.

## SACHINHALT



ასეთი სახისაა შულც ფონ თუნის მოდელი, რომელსაც უშუალოდ მთარგმნელობითი მოდელი არ ეწოდება, მაგრამ შესაძლებელია მისი ექსტრაპოლირება თარგმანის სფეროში, სადაც იგი პირდაპირ უკავშირდება თარგმანის ამბივალენტურობას თავისი ლინგვოკულტუროლოგიური ხასიათით. ახდენს რა ფონ თუნი კომუნიკაციური მოდელის როგორც გარეენობრივ, ასევე შიდაენობრივ ჭრილში ფსიქოლოგიურ დონეზე დიფერენცირებას, ის ამასთან დაკავშირებით ოთხ ასპექტს გამოყოფს: პირველია რაიმე ფაქტის შესახებ ინფორმაციის ასპექტი, მეორეა თვითგამოაშკარავების ასპექტი, მესამე დამოკიდებულება-ურთიერთობის ასპექტი და მეოთხეა აპელირების ასპექტი. ამ სქემის მიხედვით კომუნიკაციური პარტნიორები კომუნიკაციის აქტში - ჩვენს შემთხვევაში ესაა ორი ეტაპი: მოსამზადებელი ეტაპი თარგმნის პროცესამდე და თარგმნის ეტაპი- ორი ფუნქციით მონაწილეობენ: როგორც შეტყობინების რეციპიენტი და როგორც შეტყობინების პროდუცენტი. ერთ შემთხვევაში ესაა პირველადი კომუნიკაცია, როცა მთარგმნელი ეცნობა ამოსავალ ტექსტს და მეორე შემთხვევაში - მეორადი კომუნიკაცია - ის მას თარგმნის. მესამე განიხილება უკვე ფსიქოლოგიურ ჭრილში - მთარგმნელი FEEDBACK-ს უგზავნის ორიგინალის ავტორს, რადგან FEEDBACK - ი პირდაპირი გაგებით მთარგმნელსა და ავტორს შორის აღარ შედგება, ხოლო გადატანითი გაგებით ფსიქოლოგიურ ჭრილში ეს ნიშნავს, თუ რა შიდა და გარეენობრივი ფაქტორების დახმარებით და როგორ გადაიტანა მთარგმნელმა ის ყველაფერი ამოსავალი ტექსტიდან სამიზნე ტექსტში. FEEDBACK-ის ასეთი მიზანმიმართული ჩართვა თარგმანის მოდელში სიმეტრიულობა-რეციპროკულობის ფენომენს თავისებურად მოერგება და

წარმატებით განხორციელდება ერთი კომუნიკაციური მხარე (პარტნიორის რეალობის მეორე კომუნიკაციური მხარე) პარტნიორის რეალობის კონსტრუქტირებაში. ამგვარად, ჩვენი აზრით, სამგზის კომუნიკაცია შედგება. პირველადი, როცა მთარგმნელი ეცნობა ორიგინალს, მეორადი, როცა თარგმნაში კომუნიკაცია ხდება ლინგვისტურ ჭრილში, ხოლო მესამედი კომუნიკაცია (წარმოდგენითი ფიიდებების მომენტი) ხდება ფსიქოლინგვისტურ ჭრილში.

როგორც ვხედავთ, აქ მთავარი აქცენტი კომუნიკატორებს შორის რეციპიროკული დამოკიდებულების ფსიქოლოგიურ-ლინგვისტურ მახასიათებლებს უკეთდება. ამის გამო, ჩვენი აზრით მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ პიროვნებათშორის (ერთი კულტურის პირობებში), არამედ კულტურათა შორის (ჩვენს შემთხვევაში თარგმანის მაგალითზე) კომუნიკაციაშიც. ეს ფსიქოლოგიურ - კომუნიკაციური მოდელი მისი ოთხი ასაკებისა და თანხმლები ინფორმაციით, დრმა ანთროპოლოგიური ხასიათითაა გაუდენთილი და მისი ექსტრაპოლირება სხვადასხვა განზომილების კულტურაში, მისი როგორც შიდა ასევე გარეენობრივი სტერეოტიპების უცილობელი ჩართვით, კულტურათაშორის კომუნიკაციის დროს იოლად ხერხდება, სადაც ამ ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ საკმაოდ ეფექტურ მოდელს, ვფიქრობთ, ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია.

ახლა კი მოგვყავს მთარგმნელობით მოდელებთან დაკავშირებული ჩვენებული საკუთარი ლინგვისტურ-ფილოსოფიური სქემა, სადაც გარეენობრივი მთარგმნელობითი კომუნიკაციის პარამეტრებსა და მის მახასიათებლებზე კი არ კეთდება აქცენტი, არამედ ხაზგასმულია თარგმნის პროცესის ფილოსოფიური ხასიათი, ამიტომ ის ამ კუთხით შეძლებისდაგვარადადა გაშუქებული წინა თავში. ამ თავში კი შევეცდებით განვიხილოთ აღნიშნული სქემის მხოლოდ ლინგვისტური მახასიათებლები.

### § 3 რეციპროკული და ასიმეტრიული დამოკიდებულება ინტრა - და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შორის თარგმანის დროს

კულტურების ასიმეტრიულ გაგებაში წევნ გვესმის პარმონიული დამოკიდებულების დარღვევა. ე.ი. არ არსებობს კოორდინაცია, არამედ არსებობს სუბორდინაცია. ხოლო რეციპროკული გაგება არის საწინააღმდეგო ამისა და გულისხმობს სიმეტრიულ გაგება-დამოკიდებულებას ორ ან რამოდენიმე კულტურას შორის. როდესაც წინა თავებში იდიომა-მეტაფორებისა და Kurzgeschichte - ების კულტურული განპირობებულობის (Bedingtheit) შინაარსის წარმოდგენას გცდილობდიდ, ამით ამ მაგალითების საფუძველზე ერთგვარი მანიფესტირება მოვახდინეთ კულტურების ასიმეტრიული და რეციპროკული გაგებისა. პრობლემის ამ ჭრილში განხილვის დროს წინა პლანზე დგება მთელი რიგი საკითხები: 1) ეროვნული კულტურა, 2) კულტურის სტრუქტურული ელემენტები, 3) ენა, როგორც კულტურის სტრუქტურული ასპექტი (კომპონენტი), 4) ინტერკულტურული კომუნიკაციის არსი (შინაარსი), 5) ინტერკულტურული ლინგვისტიკის მიზანი, ამოცანები და მეთოდები და 6) ინტერკულტურული კვლევის პრაქტიკული ასპექტები.

ამ საკითხების ზემოთ განხილვით მოვამზადეთ ე.წ. „პოლიგონი“ თარგმნის დროს სიმეტრიული და ასიმეტრიული შტრიხების ინტრა - და ექსტრალინგვისტურ პრიზმაში განსახილველად.

აქედან გამომდინარე, ლოგიკური შედეგია ის რომ კულტურების ასიმეტრიული და რეციპროკული გაგება თარგმნის დროს, როგორც გარეენობრივ ასევე შიდაენობრივ ჭრილში მოხდება ზემოაღნიშნული საკითხების ურთიერთგადაკვეთის ჭრილში. ამის უზრუნველყოფა შეიძლება ორივე ფენომენის: ასიმეტრიულისა და რეციპროკულის მახასიათებლების არა ურთიერთდაპირისპირებით, არამედ მათი თანამოქმედებით. ამ ე.წ. „კოპერაციის“ განხორციელება შესაძლებელია ასევე ინტრა- და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ურთიერთგადაკვეთით (დამთხვევით) და არა გამორიცხვით.

როგორც საყოველთაოდ მიღებულია, შესაძლებელია საყოფაცხოვრებო რეალიებიდან, საგნებიდან და ფაქტებიდან გამომდინარე მოხდეს ოპერირება გარეენობრივ სინამდვილეში. აქ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ტიპები, როგორიცაა: ცხოველები, მცენარეები, ლანდშაფტის სახესხვაობა, რომელიც რეგიონალური

სპეციფიკითაა განპირობებული. მეორე ტიპს წარმოადგენს არტეფაქტი, ადამიანის მიერ შექმნილი და განსაზღვრული კულტურებისათვის დამახასიათებელი საგნები თუ მოვლენები. ეს შეიძლება იყოს კერძების სახელები: „პიცა, შპაგეტი, ჰამბურგერი“ და ა.შ. მესამე ტიპი, ეს არის ქვეყნისა თუ კულტურულ-სპეციფიკური ინსტიტუტების სახელწოდებები. მაგალითად: „კოლეჯი, ჰოსტელები, შპარკასსეუ“ და ა.შ. მეოთხე - კოლექტიური დამოკიდებულება ადამიანებისა საგნებისა და ფაქტების მიმართ. აქ კიდევ ერთხელ შეიძლება დაგუბრუნდეთ ფრაზეოლოგიურ ან იდიომატურ გამოთქმებს ზოონიმებთან დაკავშირებით. მაგალითად, „ბატის“ ფენომენი როგორც ქართულ, ასევე გერმანულ კულტურაში ქალთან მიმართებით უარყოფითი კონტაკის მატარებელია.

კარგი თარგმანის შეფასების კრიტერიუმები და წარმოდგენა, რომ თარგმანის პრაქტიკა ძირითადად ორივე მხარის რეციპროკულ თვითგადატანასა და თვითწარმოჩენას გულისხმობს, შესაძლებელს ხდის აზროვნების იდენტიფიცირებას, რომელიც თვით საგნებსა და წარმოდგენებაში კი არა, სადღაც მათ მიღმაა. ამას ასიმეტრიულ დამოკიდებულებაში ვერ ვხვდებით.

თუ ორივე კულტურა თანაბრად არის წარმოდგენილი, მაშინ ინტრა- და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შორის თარგმნის დროს არის სიმეტრიული ანუ რეციპროკული დამოკიდებულება; და ამ შემთხვევაშიც თარგმანის პრაგმატიკა გვევლინება როგორც პარადიგმა, რომელსაც შეუძლია ეწ. მცდარი ალტერნატივა გაგებასა და ახსნას შორის და სავარაუდო დიფერენცირება შეცნობასა და აღიარებას შორის გადალახოს და შეძლებისდაგვარად სიმეტრიულად შეახამოს ისინი ერთმანეთს.

როცა გამოვდივართ კულტურათა დამოკიდებულების რეციპროკული და ასიმეტრიული რაგვარობიდან, ამით უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ, რომ ნაწარმოების თარგმანთან ერთად ითარგმნება უცხო კულტურაც და ეს კი, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს მკითხველთა წარმოდგენით სამყაროში უცხოურ კულტურული ფენომენის რეკონსტრუქციას. ამის შემდეგ იწყება უკვე შედარება სუბორიდინაციულია თუ კოორდინაციული დამოკიდებულება ინტრა- და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შორის. როცა ასეთი სახის შედარება ხდება, ჩვენს აღქმაში შედარების ველი თითქოს „დანაღმულია“, სადაც ჯერ კიდევ პასუხისმგებელი კითხვები ნოსტრიფიცირებისა (მოშინაურება, გათავისება) და გაუცხოებისა მკვლევრის წინაშე დღის წესრიგში დგება. იმისათვის, რომ

რეციპროკული დამოკიდებულება კულტურებს შორის არსებობდეს, აუცილებელია ნოსტრიფიცირების მეტი გააქტიურება. თუ ნოსტრიფიცირება ცოტათი შენელებულია, მაშინ ასიმეტრიულ დამოკიდებულებას ვედარ გავექცევით, იქნება ეს თარგმანი თუ უცხოეთში ყოველდღიურობიდან აღებული რეალიები. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: სანამ თარგმანის უშუალოდ თემატიკას ჩავუდრმავდებოდეთ, აუცილებელია ამ პრობლემის გადაწყვეტისას პრიორიტეტი მივანიჭოთ ნოსტრიფიცირებისა და გაუცხოების პრობლემატიკას, თუ პირიქით, თარგმანის თემატიკის ლინგვისტური და ფილოსოფიური მახასიათებლების დაყრდნობით უნდა განვიხილოთ ეს ე.წ. „დანაღმული ველი“? ჩვენი აზრით, მთარგმნელმა უნდა დაიწყოს თარგმნის პროცესი მეორე ვარიანტით ანუ, თარგმანის თემატიკის გარკვევითა და ჩადრმავებით გადავიდეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, ინტერკულტურული დანაღმული ველის განაღმვაზე, ანუ როგორმე შეახამოს უცხოური და მოიშინაუროს ის თვალში საცემი უცხოური ელემენტები, რომლებიც კონსტრასტში არიან შინაურ, ნაცნობ ფენომენებსა თუ ელემენტებთან. ამასთან დაკავშირებით მთარგმნელს სჭირდება სამი ეტაპის გავლა. პირველი, ეს არის ენობრივი თარგმანის სტრუქტურული წინაპირობის გააზრება, გათვალისწინება და შეძლებისდაგვარად მისი გადატანა თარგმანში. მეორე ეტაპი იქნება ალბათ იმის კვლევა, თუ, როგორ შეიძლება ყოველივე ეს კულტურათა თარგმანის პრობლემისათვის გამოვიყენოთ. და მესამე, შემუშავებული თეორიული არგუმენტების დახმარებით უნდა მოხდეს ინტერკულტურული კომუნიკაციის ემპირიული კვლევის გამოყენება მულტიკულტურულ დაწესებულებებსა თუ ადამიანთა დაჯგუფებებში.

ზოგჯერ თარგმნის დროს არის შემთხვევები, როცა ნათარგმნი სიტყვები ასიმეტრიულ დამოკიდებულებაშია უცხო კულტურასა და ენასთან, ხოლო საკუთარ კულტურასა და ენასთან კი - რეციპროკულში, და პირიქით.

ზემოთქმულის გააზრებისა და უკეთესი წარმოდგენისათვის შემიძლია ასეთი მაგალითის მოყვანა. ცნება „თონე“ ქართულ სინამდვილეში პურის საცხობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ქართული ყოფისათვის საეციფიკურია. თუ „თონეს“ გერმანულად როგორც „Bäkerei“ გადავთარგმნით, მაშინ საქმე გვექნება გერმანულ კულტურასთან დამოკიდებულებაში რეციპროკულობასთან, ხოლო ასიმეტრიულობასთან - ქართულ ენასა და კულტურასთან მიმართებაში, მაგრამ თუ

ჩვენ ცნებას „თონე“ გადმოვიტანთ გერმანულ ტექსტში როგორც სიტყვა „თონეს“ და მას გაუკეთებთ შესაბამის განმარტებას გერმანელი მკითხველისათვის უკეთ გასაგებად, მაშინ საქმე გვექნება ქართულ ენასა და კულტურასთან მიმართებაში რეციპროკულობასთან ანუ სიმეტრიულობასთან, ხოლო გერმანულ ენასა და კულტურასთან მიმართებაში კი - ასიმეტრიულობასთან.

ასიმეტრიულ და რეციპროკულ დამოკიდებულებებს კულტურასთან მიმართებებში განვიხილავთ რა როგორც ინტრა-, ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში და თან ვეხებით ნოსტრიფიცირებისა და გაუცხოების პრობლემებსაც. ასიმეტრიული და რეციპროკული დამოკიდებულების გარკვევის დროს არ შემოივიფარგლებით ერთი კულტურით, არამედ ვარკვევთ დამოკიდებულების რომელი სახეა ერთი ან მეორე კულტურის სპექტრში. ყოველივე ამას განვიხილავთ თარგმანის ბაზისზე, სადაც რომელიმე ცნების თარგმანის კულტურულ-სპეციფიკური განპირობებულობა როგორც ასიმეტრიული, ასევე სიმეტრიული ურთიერთობის საკითხს ხაზს უსვამს როგორც ერთი, ასევე მეორე კულტურიდან გამომდინარე. ამ პრობლემის ჩვენეული კუთხით გადაჭრისას შემოგვაქს ორი ცნება ნოსტრიფიცირება (მოშინაურება, გადმოტანა-გათავისება მაგ.: გადმოქართულება, გაგერმანულება) და გაუცხოება, რომელთა კომბინაციაც შეძლებისდაგვარად ავხსენით ცნება „თონის“ მაგალითზე.

დასკვნის სახით შეიძლება ისიც ითქვას, რომ მთარგმნელი ატარებს რა შინაგან კომუნიკაციას, მიმართავს როგორც სემანტიკურ ასევე კულტურულ სისტემებს ე.წ. რეფლექსური ნოსტრიფიცირების დროს. ეს უკანასკნელი კი შეიძლება თარგმნის ბაზისურ ოპერაციადაც ჩაითვალოს, რადგან ჩვენი აზრით, თარგმნითი აქტები საბოლოოდ მაინც შედარებითი (ანალიზური) ხასიათისაა, რომლებსაც როგორც კონსტრუქციული ან კიდევ რეკონსტრუქციული, ასევე რეფლექსურ-სელექციური შეფერილობა აქვთ. ტერმინს „რეფლექსური ნოსტრიფიცირება“ დავესესხებით იღია სრუბარს (Srubar ilia 2002: 323) და აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ თარგმანი როგორც რეფლექსური ნოსტრიფიცირება შეიძლება მივიჩნიოთ შედარებით რეკონსტრუქციულად, მაშინაც კი, როცა მთარგმნელი ორივე აზრობრივ და კულტურულ სამყაროში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ე.ი. ბილინგუალია და კარგად იცნობს ორივე კულტურას.

## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხება ფილოსოფიური აზროვნების როლს ენის ლოგიკასა და ენობრივ სტრუქტურაში. შესაბამისად, ენის სტრუქტურას უკავშირდება ყველა ის ენობრივი გამოხატვის საშუალებათა ერთიანობა, რაც ნებისმიერი და განსაკუთრებით ფილოსოფიური აზროვნების არაერთმნიშვნელოვან და პრეტიულ პრეზენტაციას ემსახურება, ანუ ვტოვებთ ვარაუდების, წარმოდგენების დაშვება-განხილვის შესაძლებლობას ენის ლოგიკის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ნაშრომში ასევე მოცემულია ფილოსოფიური აზროვნების პრობლემური პარამეტრების ენის სტრუქტურაში ექსტრაპოლიტრება, რაც ენის ლოგიკის არსიდან გამომდინარე, ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების წარმატებული დემონსტრირების კიდევ ერთი წინაპირობაა.

ნაშრომში მოცემულია წინადადების ფენომენის, როგორც აზრების ლოგიკურ-სტრუქტურული ხატის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი პეტერ ერნსტისა და ვიტგენშტაინის ნაზრევზე დაყრდნობით და გამოტანილია დასკვნა, რომ შესაძლებელია იმ წინადადებათა აზრის გაგება, რომელთა შესახებაც ადრე არაფერი გვსმენია. ეს შესაძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ წინადადება არის სიტყვებისა და სასვენი ნიშნების კომბინირება, სადაც აზრის სისტორე და მისი, როგორც სინამდვილის ხატის სტორი აღქმა წინადადების კომპონენტების ურთიერთკავშირიდან გამომდინარეობს, რაც ერთ სემანტიკურ მთლიანობას იძლევა.

ჩვენი აზრით ერთია, რომ წინადადების აზრი სწორია ან არასწორი, მეორეა, რომ წინადადებას ვიგებთ და თან იმ არასწორ ფაქტორსაც კი.

ნაშრომში ასახული წინადადების პარამეტრები ბაზისია იმისა, რომ წარმატებით განხორციელდეს ლინგვისტურ-ფილოსოფიური თარგმანი. თუ მთარგმნელი ყოველივე ამას გაითვალისწინებს, მაშინ ზედნაშენიც -ფილოსოფიური თარგმანი – შედგება (რაც იშვიათი მოვლენაა) და იგი, შესაბამისად, აღქმული და გაგებული იქნება რეციპიენტის მიერ.

ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების ფენომენიდან გამომდინარე, ენა გვევლინება როგორც საუკეთესო დიმენზიონალური თარგმნითი მოვლენა და გასკვნით, რომ ის არა მხოლოდ მჭიდრო კავშირშია სიტუაციასა (კონტექსტსა) და

სამყაროსთან, არამედ გვევლინება შუამავლად ამ ორივე ინსტანციას შორის. დიახ, ყოველი სიტუაცია უკავშირდება სამყაროს და პირიქით, სამყარო ყოველთვის სიტუაციურობიდან გამოდის: ის მოდის ენაში ენობრივი გამოხატულებით. მასში და მასთან ერთად ხდება შუამავლიც და ითარგმნება კიდევაც. ენა ეს არის ორიგინალური მთარგმნელი სიტუაციასა და სამყაროს შორის ინტრალინგვისტურ ფარგლებში, ხოლო სხვადასხვა სიტუაციასა და სამყაროს შორის ინტერლინგვისტურ პარამეტრებში.

სადისერტაციო ნაშრომში განვსაზღვრეთ თარგმანის არსებობის წინაპირობები და მის როლი გაგებინების შესაძლებლობის სპექტრში სხვადასხვა მენტალიტებისა და განსხვავებული კულტურის ადამიანთა შორის და კიდევ ერთხელ გადამოწმებო იმას, გადალახავს თუ არა თარგმნის ცნება პარადიგმის კლასიკური ალტერნატივის ბარიერს ახსნასა და გაგებას შორის. გამომდინარე აქედან ვასკვნით, რომ თარგმნის ცნება უფრო ღრმად უნდა ვერიფიცირდეს. და ეს შესაძლებელია იყოს ნაყოფიერი და ამავდროულად სარისკოც. ნაყოფიერება უდავოდ მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეეწყოს კულტურულ-შედარებითი ოპერაციების შემცნებით-თეორიულ და მეთოდოლოგიურ დასაბუთებას, ასევე ინტერპრეტაციას უცხო კულტურულ კონტექსტში, თუმცა, რისკია ის, რომ ნაჩქარებმა და ანალიზურად არასაკმარისად დამტკიცებულმა თარგმნის ცნების გაფართოებამ შეიძლება გამოიწვიოს სემანტიკური შედეგების გაუფასურება.

სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ არ ვიზიარებოთ იმ აზრს, რომლის მიხედვითაც უფრო იოლია თარგმნა უცხო ენიდან მშობლიურზე. ენობრივი გადმოსახედიდან თუ სიმნელეებიდან გამომდინარე, ეს თვალსაზრისი სწორია, მაგრამ ავტორისეული ჩანაფიქრის მთარგმნელის მიერ სამიზნე ენაში ადეკვატური გადატანის პოზიციიდან გამომდინარე – არასწორი ანუ ფილოსოფიური თარგმნის პრიზმაში არ ამართლებს უცხოენიდან მშობლიურზე თარგმნა, არამედ მშობლიურიდან უცხო ენაზე. არც იმ თვალსაზრისს ვეთანხმებით, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიური თარგმანი, როგორც ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი მოიაზრება.

სადისერტაციო ნაშრომში ფილოსოფიური თარგმანი არ ნიშნავს ფილოსოფიური ტექსტის თარგმნას, არამედ ის უფრო ღრმაა და გულისხმობს თარგმანს ფილოსოფიურ ჭრილში ანუ ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების ფენომენიდან გამომდინარე, მენტალურ და ძირითადაზრობრივ თარგმანს, რომელიც

ჩვენი აზრით, შეესაბამება ყველა უანრის ტექსტის (იქნება ეს ლიტერატურული თუ ფილოსოფიური ტექსტი) ტრანსფორმაციას ერთი ენიდან მეორე ენაში.

ფილოსოფიური თარგმანის ერთ-ერთი შტრიხია ის ფაქტიც, რომ მთარგმნელის მიერ დედაენიდან უცხო ენაზე თარგმნილი მის მიერ უფრო კარგად გაიგება და აქედან გამომდინარე, მიუხედავად განსაზღვრული სტილისტიკური სიძნელეებისა (სტილისტიკური შეცდომები, უარგონის ან კიდე თინეიჯერული უარგონის არა საკმარისი ცოდნა), ბევრად უფრო დრმად ითარგმნება; იმის გათვალისწინებით, თუ რა აზრობრივი კოდია ჩადებული ორიგინალში ავტორის მიერ. თუ ჩვენ ამ შემთხვევაში შიდა (გონის) ენის ფენომენიდან გამოდინარე აზრის თარგმანს ავტორის მიერ მის მშობლიურ ენაზე კოდს ვუწოდებთ, მაშინ გამოდის, რომ ფილოსოფიური თარგმანი **კოდის კოდი**, ან კიდევ **თარგმანის თარგმანი** ყოფილა, ხოლო მისი მკითხველი ანუ რეციპიენტი ცდილობს **კოდის კოდის** გახსნას, რის პრეზენტირებასაც დისერტაციაში მოყვანილი ჩვენ მიერ შემუშავებული სქემა შეძლებისდაგვარად ახდენს.

ჩვენ ფილოსოფიური თარგმანის ორი შტრი გამოვყავით, ესენია:

Mentale Übersetzung ანუ მენტალური თარგმანი და Grundgedankliche Übersetzung ანუ ძირითადაზრობრივი თარგმანი.

Mentale Übersetzung-ი ანუ მენტალური თარგმანი მიმდინარეობს ჩვეულებრივი საუბრის დროს, როცა ხდება ჩვენი აზრების შიდა ენიდან გარე ენაში - მეტყველებაში გადმოტანა-გადმოთარგმნა (როცა ჩვენ ვსაუბრობთ, ვთარგმნით ჩვენს საკუთარ დედაენასაც კი (ჰუმბოლდტი)).

Grundgedankliche Übersetzung ანუ ძირითადაზრობრივ თარგმანში იგულისხმება, თუ რამდენად მოახერხებს ჯერ ავტორი საკუთარი ძირითადი ანუ მთავარი აზრების გადმოტანას ტექსტში და შემდეგ რამდენად მოახერხებს მთარგმნელი ავტორის ძირითადი, მთავარი აზრის გადმოთარგმნას სხვა ენაზე. რაც, ვფიქრობთ ზოგჯერ შეუძლებელია და სწორედ ეს არის ფილოსოფიური თვალსაზრისით უთარგმნელობის ფენომენი და არსებობს ლინგვისტური თვალსაზრისითაც უთარგმნელობის ფენომენი, როცა ნაწარმოების ღირებულება წმინდა ენობრივი კოეფიციენტიდან გამომდინარე თარგმანის შემთხვევაში აშკარად ეცემა. აქ კიდევ ერთხელ ვსვამთ კითხვას: „შეიძლება კი ვაჟას პოეზიის თარგმნა?“

გაგება შეუცნობადი პროცესია და საკომუნიკაციო პარტნიორმა ყოველთვის შეგნებულად უნდა გააკეთოს ინტერპრეტაცია. ამასთან დაკავშირებით და ამ საკითხის აღქმასთან შეპირისპირება-შედარების შემდეგ მივედით შემდეგ დასკვნამდე: მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი სიტუაციას ადეკვატურად აღიქვამს, ძალიან ხშირად ის მაინც აწყდება სირთულეებს, რადგან ხდება ხოლმე, რომ ტექსტის რადაც ნაწილი არაერთმნიშვნელოვნად და არაადეკვატურადაა წარმოდგენილი. გაგების პროცესი ასეთი სიტუაციის დროს ცნობიერებისაკენ იღებს გეზს, რადგანაც თარგმნის პროცესში მთარგმნელი იძულებულია სწორ გაგებაზე დაყრდნობით და შესაბამისად, გამართული თარგმნის საშუალებით მოახდინოს ყოველივე ამის იმპლიციტური ინტერპრეტაცია.

ნაშრომში მიმოვინილეთ იმ მეცნიერთა შეხედულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თარგმნის შესაძლებლობას, რაც გარკვეულწილად იმის დასაბუთებაა, რომ შეუძლებელია მნიშვნელობის პირდაპირი გათავისება-აღქმა. რთული და შეიძლება ითქვას, შეუძლებელია ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტის არსებობა ორ ენას შორის, რადგან არსებობს ფუნდამენტური სხვაობა ცალკეული ენის მენტალიტეტისა და კულტურის სტრუქტურათა შორის. ამ დამოკიდებულებაში ყურადღება გავამახვილეთ ისეთ ტექსტებზე, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ დატვირთვას იძენს. აქვდან გამომდინარე, ბუნებრივია ადგილი აქვს კონფრონტაციას მთარგმნელსა და აზრის იმ გამოხატვის საშუალებებს შორის, რომლებიც ავტორს აქვს გამოყენებული.

დისერტაციაში მოყვანილი მსჯელობების საფუძველზე დავასკვენით, რომ მთარგმნელობითი პროცესის ფილოსოფიურ ჭრილში გადაწყვეტისას მთარგმნელობით ეკვივალენტებზე მეტ როლს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები თამაშობს. ცნობილი მოსაზრების მიხედვით, არ არსებობს ერთი ენის სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი მეორეში. სწორედ ამიტომაა, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით მეტად გამართლებულია ტრანსფორმაციათა მეტი გამოყენება თარგმნის პროცესში, ვიდრე მთარგმნელობითი ეკვივალენტებისა. აქ კიდევ ერთხელ გუსვამთ ხაზს ჩვენეულ მოსაზრებას, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით ეწ. თავისთავადი თარგმანი, როგორც შედეგი ცნებისა ვერ ან ძალიან ძნელად გამოვა.

სადისერტაციო ნაშრომის დამუშავებისას შეძლებისდაგვარად გავეცით პასუხი კითხვას, თუ რა პოზიცია უკავია თარგმანს ახსნისა და გაგების – კლასიკურ ალტერნატივის მიმართ.

ენის ანალიზური თეორია ამით ფილოსოფიურ პერმენევტიკაში თავის პოზიციას ამყარებს და გამოდის იმ არგუმენტიდან, რომ თარგმანი კულტურებს შორის კულტურების ახალ პიბრიდებამდე მიგვიყვანს, რაც საბოლოოდ უთარგმნელობის ფენომენში იყრის თავს. ყოველივე ამის მოაზრებამ კი მიგვიყვანა შემდეგ რიტორიკულ კითხვამდე: იქნებ თვით უთარგმნელობის ფენომენი (თარგმნისადმი ფილოსოფიური დამოკიდებულება) გახდის მთარგმნელობითი ტრასფორმაციების ფაქტს შესაძლებელს?! – რაზეც მე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ნაშრომში არ გამიცია.

რაც შეეხება თარგმანის პრაგმატიკასა და მის მიზანს, გამოიკვეთა შემდეგი შესაძლებლობა, რომ თარგმანის პრაგმატიკა და მთარგმნელის პრაგმატული მიზანი პირდაპირ უკავშირდება მთარგმნელის, როგორც ინტერპრეტატორის სუბიექტურ ფაქტორს, სადაც მთარგმნელის აღქმითი უნარ-ჩვევები, ფილოსოფიურ-პერცეპტული შესაძლებლობები, ფსიქოლოგიური განწყობა, საკუთარი თავის შეფასება, ენობრივი შესაძლებლობების კომპეტენცია ძალიან დიდი და საპასუხისმგებლო გამოცდის წინაშე დგება.

ნაშრომში განვიხილავთ რა ასიმეტრიულ და რეციპროკულ დამოკიდებულებებს კულტურასთან როგორც ინტრა-, ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში, თან ვეხებით ნოსტრიფიცირებისა და გაუცხოების პრობლემებსაც და აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ ასიმეტრიული და რეციპროკული დამოკიდებულების გარკვევის დროს არ შემოვიფარგლებით ერთი კულტურით, არამედ ვარკვევთ დამოკიდებულების რომელი სახეა ერთი ან მეორე კულტურის სპექტრში. ყოველივე ამას განვიხილავთ თარგმანის ბაზისზე, სადაც რომელიმე ცნების თარგმანის კულტურულ-სპეციფიკური განპირობებულობა ასიმეტრიული და სიმეტრიული ურთიერთობის საკითხს ხაზს უსვამს როგორც ერთი, ასევე მეორე კულტურიდან გამომდინარე. ამ პრობლემის ჩვენეული კუთხით გადაჭრისას შემოვიტანეთ ორი ცნება: ნოსტრიფიცირება (მოშინაურება, გადმოტანა (გათავისება) მაგ.: გადმოქართულება, გაგერმანულება) და გაუცხოება, რომელთა კომბინაციაც შეძლებისდაგვარად ავხსენით ცნება „თონის“ მაგალითზე.

დასკვნის სახით შეიძლება ისიც ითქვას, რომ მთარგმნელი ატარებს რა შინაგან კომუნიკაციას, მიმართავს როგორც სემანტიკურ, ასევე კულტურულ სისტემებს გ.წ. რეფლექსური ნოსტრიფიცირების დროს. ეს უკანასკნელი კი

შეიძლება თარგმნის ბაზისურ ოპერაციადაც ჩაითვალოს, რადგან ჩვენი აზრით თარგმნითი აქტები საბოლოოდ მაინც შედარებითი (ანალიზური) ხასიათისაა, რომლებსაც როგორც კონსტრუქციული ან კიდევ რეკონსტრუქციული, ასევე რეფლექსურ-სელექციური შეფერილობა აქვთ. ტერმინს „რეფლექსური ნოსტრიფიცირება“ დავესესხებით იღია სრუბარს და აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ თარგმანი, როგორც რეფლექსური ნოსტრიფიცირება შეიძლება მივიჩნიოთ შედარებით რეკონსტრუქციულად, მაშინაც კი, როცა მთარგმნელი ორივე აზრობრივ და კულტურულ სამყაროში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ე.ი. ბილინგუალია და კარგად იცნობს ორივე კულტურას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ენა, თარგმანი, ლიტერატურა 2001:
- 2) ენა, თარგმანი, ლიტერატურა 2003:
- 3) ენა კულტურა 2004:
- 4) ენა, თარგმანი, ლიტერატურა 2005:
- 5) თბილისის უნივერსიტეტის შრომები 1999:
- 6) ლებანიძე გურამ 1997:
- 7) საყვარელიძე ნელი 2001:
- 8) საქართველოს მიერაცხოველობის XXIX 2009:
- 9) ფანჯიძე დალი 1999:
- 10) დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა 1999:
- 11) Ayer Alfred Jules 2011:
- 12) Albrecht, Jörn 2005:
- 13) Brinker K 2001:
- 14) Benjamin, Walter 1969:
- გამომცემლობა „ენა და კულტურა“  
თბილისი
- გამომცემლობა „ენა და კულტურა“  
თბილისი
- ფილოლოგიური სერია №1. თბილისი
- გამომცემლობა „ენა და კულტურა“  
თბილისი 2005
- დასავლეთ ევროპის ენები და  
ლიტერატურა. თბილისი
- „ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა  
და ზოგად ენათმეცნიერებაში“ „ენა და  
კულტურა“ თბილისი
- „თარგმანის თეორიის საკითხები“  
თბილისი
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი
- „ქართული თარგმანის ისტორიის  
საკითხები“ - თბილისი
- "თბილისის უნივერსიტეტის შრომები".  
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.  
თბილისი
- “Language, Truth and logic”. 1936. Squashed  
Version Edited by Glyn Hughes
- : „Übersetzung und Linguistik.“ Tübingen
- . „Eine Einführung in Grundbegriffe und Methoden“  
Berlin
- „Die Aufgabe des Übersetzers.“ In: H.J. Störig: Das  
Problem des Übersetzens. Darmstadt

- 15) Bußman Hadumod 2002:  
„Lexikon der Sprachwissenschaft“ – Kröner;  
Stuttgart
- 16) Ernst, P 2004:  
„Germanistische Sprachwissenschaft“ Wien
- 17) Frank Armin Paul 1993:  
„Übersetzen, Verstehen, Brücken bauen“  
Geisteswissenschaftliches und literarisches  
Übersetzen im internationalen Kulturaustausch.  
Göttinger Beiträge zur Internationalen  
Übersetzungsforschung. BAND 8, Teil 1
- 18) Gardt, A 1999:  
. „Geschichte der Sprachwissenschaft in  
Deutschland“ Berlin
- 19) Hansen, Gyde 1995:  
: „Einführung in das Übersetzen.“ Kopenhagen
- 20) Heidegger. M 1984:  
Hölderlins Hymne „Der Ister“. Gesamtausgabe  
53. Frankfurt a.m.
- 21) Humboldt W. v 1973:  
"Schriften zur Sprache", (Hrsg. Michael Böhler),  
Stuttgart
- 22) Humboldt W. v 1963:  
"Schriften zur Sprachphilosophie". Darmstadt
- 23) Humboldt W. v 1988:  
"Schriften zur Sprachphilosophie" (6.  
Auflage).Wissenschaftliche Buchgesellschaft:  
Darmstadt
- 24) Joachim R; Straub Jürgen 2002:  
"Übersetzung als Medium des Kulturverstens und  
sozialer Integration" Frankfurt, New York
- 25) Kleist von Heinrich 2000:  
„Über die allmählige Verfertigung der Gedanken  
beim Reden“ – Dielmann – verlag 16er Reihe;  
frankfurt am Main
- 26) Koller, Werner 1992:  
Einführung in die Übersetzungswissenschaft.  
Heidelberg, besonders Kapitel 2.3.
- 27) Koller, Werner 1979:  
„Einführung in die Übersetzungswissenschaft.“  
Heidelberg,
- 28) Koschmieder, E 1965:  
. „Das Problem der Übersetzung.“ in: „Beiträge zur  
allgemeinen Syntax.“ Heidelberg

- 29) Levy Jiří 1969: „Die literarische Übersetzung.“ Frankfurt an ein
- 30) Maletzke Gerhard 1996: „Interkulturelle Komunikation“ - Westdeutscher Verlag
- 31) Münzberg, Franziske 2003: „Die Darstellungsfunktion der Übersetzung.“ Frankfurt am Mein
- 32) Popper R. Karl 2006: „Alle Menschen sind Philosophen“ – Piper; München, Zürich
- 33) Pinker, S 1998: . Der Sprachinstinkt. Wie der Geist die Sprache bildet. Droemer - Knaur: Düsseldorf
- 34) In G. Eigler (Hrsg.)Platon 1990: . Sophistes. , Platon, Werke in acht Bänden,Band 5. Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft
- 35) Russel Bertrand 2011: „Philosophie des Abendlandes“ – Piper; München, Zürich
- 36) Starzetz Magdalena 2002: „Pragmatische Faktoren im Übersetzung“ – Nordestedt
- 37) Steiner George 2008: „Warum Denken traurig macht“ – Suhrkamp; Frankfurt am Main
- 38) Stolze, Radegnадis 2005: Übersetzungstheorien. Eine Einführung. Tübingen, (vierte, aktualis. Auflage).
- 39) Stolze, Radegudis 1999: Die Fachübersetzung. Eine Einführung. Tübingen
- 40) Srubar ilia 2002: ``in Übersetzung als Medium des Kulturverständens und soziale Integration`` Campus verlag
- 41) Thome, Gisela; Giehl, Claudia 2002: „ Kultur und Übersetzung.“ Tübingen
- 42) Thun Schulz von 1996: „Miteinander reden 1. Störungen und Klärungen“. Hamburg

- 43) Sager, Chuan C 1986:  
 . „Die Übersetzung im Kommunikationsprozess.“ In:  
 „Übersetzungswissenschaft eine Neuorientierung.“  
 Hrsg.: May Srell-Hornly, Tübingen
- 44) Störig, Hans, Joachim 1973:  
 (Hrsg.): Das Problem des Üb. Darmstadt. 2.  
 Auflage
- 45) Koschmieder, E 1965:  
 . „Das Problem der Üb.“ in: „Beiträge zur  
 allgemeinen Syntax.“ Heidelberg,
- 46) Stolze, R 1994:  
 „Übersetzungstheorien.“ Tübingen, 1994
- 47) Salevsky 2005:  
 : „Kultur, Interpretation, Translation.“ Frankfurt am  
 Mein
- 48) Hösing Hans G./ Paul Kußmaul 1982:  
 ”Strategie der Üb. Ein Lehr – und Arbeitsbuch.“  
 Tübingen.
- 49) Wittgenstein L 1980:  
 ,“Tractatus logico-philosophicus / Logisch-  
 philosophische Abhandlung“, Ffm 1980
- 50) Wittgenstein L 2003:  
 Philosophische Untersuchungen. Frankfurt am  
 Main
- 51) Wittgenstein L 2006:  
 Philosophische Bemerkungen, Frankfurt a. M .  
 Suhrkamp
- 52) Wittgenstein L 1960:  
 „Tagebücher 1914-1916“. In: Schriften. Frankfurt  
 a. M.: Suhrkamp
- 53) Wondratschek Wolf 1969:  
 „Früher begann der Tag mit einer Schusswunde“,  
 Hanser-Verlag, München
- 54) Wahl Francois, Le Percu 2007:  
 „Das Wahrgenommene/Das Perzept“ Paris, Fayard
- 55) Wille, Lucyna 2003:  
 „Semantische Figuren in der Üb.“ Marburg
- 56) Бархударов Л. С 1975:  
 . - „Язык и перевод“, М.
- 57) Швейцер А.Д 1988:  
 . - „Теория перевода, статус, проблемы,  
 аспекты“. М.

58) Jaspers Karl 2010:

„Einführung un die Philosophie“, Piper. München, Zürich

ლექსიკონი:

ბოლქაძე-ლიუდკე ნანა 2011 : „გერმანულ-ქართული სინონიმურ-ფრაზეოლოგიური  
ონომასიოლოგიური ლექსიკონი“, ბათუმი

ინტერნეტ-გვერდები:

<http://www.gleichsatz.de/b-u-t/gene/haya2.html>. Alfred Korzybski

<http://www.vds-ev.de/ag-literarisches-sprueche-zitate>